მაკკეინი "ნატოონალებიდან" იწყებს A2
ვიროსის აგონია A3
პრესომბუდსმენი B1

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 6 ოქტომბერი, 2003 წელი. №264 (476) ფასი 50 თეთრი

ქვეყნის დირსება ხალხმა უნდა დაიცვას

ეკა კვესიტაძე

"ერმა უნდა დაიმსახუროს პატივისცემა, თანაგრძნობა და მხარდაჭერა. ოღონდ, დაიმსახუროს თავისი მოქმედებით და არა ხვეწნა-მუდარით. თუ ხალხი სხვებს სთხოვს საკუთარი თავისუფლების დაცვას, ის კარგავს მას," – თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის ეს სიტყვები, რომელიც მან "24 საათთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, ზუსტად ასახავს იმ განწყობას, რომელიც ვაშინგტონში საქართველოსთან დაკავშირებით არსებობს. ამ განწყობას განსხვავებული გულწრფელობით და პირდაპირობით გამოხატავენ ექსპერტები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

დღეს თბილისში გავლენიანი ამერიკელების მთელი კოჰორტა იმყოფება, სენატორ ჯონ მაკკეინის, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის (ამჟამად ამერიკის ერთ -ერთი ყველაზე გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის "ბრუკინგსის" პრეზიდენტის) სტროუბ ტელბოტის, ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ჩათვლით. მათი ვიზიტის მიზეზი, ბუნებრივია, მომავალი არჩევნებია, ხოლო მესიჯი უცვლელი - რომ ამ არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარებამ შეიძლება ძალიან ბევრი რამ გააფუჭოს.

მას შემდეგ, რაც პანკისის პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში მთავარი თემა მომავალი არჩევნებია. ხოლო მიზეზს, თუ რატომ კეთდება ასეთი აქცენტი საპარლამენტო არჩევნებზე, რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს არჩევნები ყველაზე სერიოზული ტესტია – არის თუ არა საქართველო დემოკრატიის ფუნდამენტალური ღირებულებების ერთგული; შესწევს თუ არა ამ ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას და მოსახლეობას ძალა, რომ დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფო ააშენონ.

გაგრძელება A2 გვერდზე

"საქართველოში კორუფცია გაიაფდა, სახელმწიფო მოხელეები შაურად იყიდებიან"

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რომლის უწყებამაც ნავთობის კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაც სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა, აცხადებს, რომ ქვეყანას სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული მოხელეები ანგრევენ. ***"შავი ბიზნესის მფარველები სახელმწიფო სექტორში სხედან, ყველაფერი სახელმწიფო სტრუქტურებიდან იმართება,"*** *– აცხადებს უშიშროების მინისტრი, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

ინგა ალავიძე

- ბატონო ვალერი, თქვენი უწყების მიერ გაჩაღებული ანტიკორუფციული ბრძოლის დასასრული სერიოზული პრეზენტაციით აღინიშნა, თუმცა, თქვენ მაინც არ დააკონკრეტეთ ნავთობის კონტრაბანდისტთა ვინაობა, ანუ, ის ხმაურიანი გვარები, რომელთა დასახელებასაც საზოგადოება ელოდა.

- საქმე ისაა, რომ მე არც დამიდია ხმაურიანი გვარების დასახელების პირობა. მართალი ხართ, ხალხი ელოდებოდა ამას. ახლა აცხადებენ, რატომ არ დაიჭირეთ, არ აღძარით საქმეებიო. იცით, საქმე ისაა, რომ ეს არის საქმიანობის უზარმაზარი სფერო. აქ არ არის სიტუაცია ისე მოწყობილი, რომ მიხვალ და დამნაშავეები ერთად თავმოყრილი დაგხვდება, მოკიდებ ხელს და დაიჭერ. ეს გაცილებით მძიმე თემაა. ჩვენ ამ სფეროში შევედით და ადმინისტრირებით, კონტროლით და სხვადასხვა მექანიზმებით მოვახერხეთ იმ ბიზნესის გათეთრება, რომელიც აქამდე ჩრდილში იყო მოქცეული. საქმე მართლაც რეალურად გავაკეთეთ და ამის დასტური ის სერიოზული ციფრებია, რომელთა ჩამოთვლასაც ახლა არ დავიწყებ. სხვათა შორის, ამ საქმიანობაში აგვყვნენ ის იმპორტიორებიც, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ეს სფერო კონტროლის ქვეშ მოგვექცია და 85 პროცენტით ამას მივაღწიეთ. მასალები, ციფრები დადებულია, ახლა კეთილი ინებონ და უწყებებმა, რომელთაც კონტროლი ევალებათ - თავისი ფუნქცია შეასრულონ.

გაგრძელება A7 გვერდზე

ალიყურმა ჩემპიონი გააღვიძა

გიგა გურასაშვილი

შარშან სეინაეოკში (ფინეთი) ევროპის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა – ვერცხლის მედალი; შარშანვე მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა; წლეულს ბელგრადის ევროპის ჩემპიონატზე ხელი მოეცარა - მეხუთე ადგილი. წლეულსვე ეს წარუმატებლობა ერთბაშად აინაზღაურა – მანუჩარ კვირკველია მსოფლიო ჩემპიონია.

ხუთშაბათს პარიზის გარეუბან კრეტიელში სტარტი აიღო ბერძენ-რომაელთა მსოფლიო ჩემპიონატმა. ასპარეზობაზე, რომელზეც უძლიერესმა ფალავნებმა მოიყარეს თავი, არა მარტო მედლებისთვის ერკინებოდნენ ერთმანეთს, არამედ მათი საზრუნავი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრი ლიცენზიებიც გახლდათ.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატს ოლიმპიური ელფერი დაჰკრავდა, რაც ასპარეზობის მნიშვნელობას ერთიორად ზრდიდა. ბუნებრივია, ფსიქოლოგიური წნეხიც ათმაგად იგრძნობოდა. ასე რომ, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატება წინდაწინვე რთული ამოცანა იყო. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სინჯის მედალი წარმატებად ითვლებოდა.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ დარბაზში და არენაზე საშინლად ცხელოდა, რასაც თან ახლდა უჰაერობა (ალბათ, სავენტილაციო სისტემა არ მუშაობდა). ყველაფერ ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩემპიონატის ორგანიზატორებს რამდენჯერმე სასწრაფო დახმარების გამოძახებაც მოუხდათ, რომ გულწასული გულშემატკივრები გონს მოეყვანათ.

გაგრძელება B5 გვერდზე



მანუჩარ კვირკველია მწვრთნელმა გამოაფხიზლა და მეტოქეს შავი დღე აყარა.

REUTERS

ილჰამ ალიევი იმარჯვებს, მაგრამ შემდეგ?

ზოთა უტიაშვილი

როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს და მხარს დაუჭერს თავის "პოლიტიკურ" მემკვიდრეს ილჰამ ალიევს, ბევრმა გაიხსენა 4 წლის წინანდელი სცენა, როდესაც რუსეთის ასევე ცოცხალ-მკვდარმა პრეზიდენტმა უფლებამოსილება მოიხსნა და სახელმწიფო ასევე ჯან-ღონით სავსე პრემიერ-მინისტრს ჩააბარა.

თუმცა, აზერბაიჯანელების თქმით, ამ ორ გარეგნულად მსგავს მოვლენას შორის არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: თუკი პუტინი ხელისუფლებაში გამოჩენისთანავე გახდა თავისი ქვეყნის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი, ჰეიდარ ალიევი სასიკვდილო სარეცელზეც კი გაცილებით უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს, ვიდრე მისი ახალგაზრდა და ენერგიული მემკვიდრე.

"ჰეიდარ ალიევს თავისი ხალხი ყოველთვის თბილად გაიხსენებს," – განუცხადა ფრანს-პრესს ელმარ ჰუსეინოვმა, ჟურნალისტმა, რომელმაც ალიევების კრიტიკისათვის არაერთი წელი გაატარა გისოსებს მიღმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

გუშინ ჩეჩნეთში ფარსი დაიდგა

მთავარ როლს "კრემლის კაცი" ასრულებდა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. მართალია, ოფიციალური შედეგები მხოლოდ დღეს იქნება ცნობილი, მაგრამ თუ ვინ გახდება პრეზიდენტი, ამას დიდი თავის მტვრევა არ სჭირდება - რა თქმა უნდა, აჰმად კადიროვი, რომელსაც ჩეჩნები "კრემლის კაცად" იცნობენ.

გუშინვე, შუადღისას უკვე ცნობილი იყო, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები "შედგა," რადგანაც, თუ პარასკევს, ღამის 24 საათიდან შემცირდა ელექტროენერგიის გამომუშავება, რის შედეგადაც საქართველოს მომარაგება მნიშვნელოვანწილად შეიზღუდა.

შაბათსვე აფხაზეთის ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ოპოზიციის დამცველთა რიგებში დგებიან

გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან, ხუთი დღის განმავლობაში შიმშილობდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანთა ჯგუფი. ისინი ითხოვდნენ ქვეყნიდან რუსეთის "სამშვიდობო" ჯარების გაყვანის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების შესრულებას.

A2

მთავრობა - სირაქლემას პოზაში

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია და მასზე ხელისუფლების "რეაგირების მასშტაბები", ანუ ის სირაქლემას პოზა, რომელიც ამ არჩევნების წინ მთავრობამ დაიჭირა, ქმნის იმის წინაპირობას, რომ მიუხედავად ნებისმიერი არჩევანისა, ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის შესაძლებლობა, დღეს არსებული ხელისუფლების წყალობით, მინიმუმამდე დავიდეს.

A4

რობინ კუკი: ბლერმა იცოდა, რომ სადამი რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდა

დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის რობინ კუკის განცხადებით, ტონი ბლერმა ერაყში ომის დაწყებამდე იცოდა, რომ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღის ამოქმედება 45 წუთში არ შეეძლო.

A5

კონტროლით შეურაცხყოფილნი

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო ახალ მშენებლობებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას იწყებს, რითაც არქიტექტურის საქალაქო სამსახურებს, გარკვეულწილად, უფლებები ეზღუდებათ. პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, ხუთ სართულზე მაღალი, ნებისმიერი სახის მშენებლობა, თავდაპირველად ხსენებულ სამინისტროსთან უნდა შეთანხმდეს.

A6

უფროსმა თავი

კოკოითის ხელისუფლებისთვის არასასურველი პიროვნება - ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი ალან ძიგოევი, რომლის მოშორებაც ცხინვალის და საქართველოს ხელისუფლებისთვის ერთნაირად სასურველი იყო, დღეს ცოცხალი აღარ არის.

A7

ამინდი

თბილისი	20
ქუთაისი	22
ბათუმი	20
სოხუმი	20
ფოთი	22
თელავი	19
ზუგდიდი	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1130
ევრო	2.4764
გირვანქა სტერლ.	3.5249
რუბლი	0.0694

კუბის რევოლუციამ დროულად მოგვისწრო

"უცნაურია, საკუთარ სამშობლოში პრიზს ვიღებ, როგორც გერმანელი რეჟისორი", - განაცხადა კინოთეატრ "ამირანის" სცენაზე კინორეჟისორმა დიტო ცინცაძემ მას შემდეგ, რაც ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ პიტერ სკარლეტმა მისი გვარი გამოაცხადა. ხოლო, "ოქროს პრომეთე" რეჟისორს ფესტივალის საპატიო სტუმარმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გადასცა. ვერცხლის "პრომეთე" კი ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მიენიჭა პოლონურ ფილმს "ედის" (რეჟისორი პიოტრ ტრცალსკალსკი). ამ ფილმის რეჟისორის ნაცვლად, პრიზი სცენაზე ასულმა პოლონეთის ელჩმა და მისმა მეუღლემ ჩაიბარეს. არასაკონკურსო ფილმებიდან ჟიურის ყურადღების ცენტრში რეზო ესაძის "ჭერი - ანუ დაუმთავრებელი ფილმის მასალა" მოექცა.

თეონა ჭაფარიძე

თბილისის მე-4 საერთაშორისო კინოფესტივალი, ალბათ, ერთადერთი მიზეზით თუ იყო ქართული საზოგადოებისთვის ასეთი აქტუალური: ფესტივალმა მიხეილ კალატოზიშვილის ჩვენთვის აქამდე უცნობი ფილმის - "მე კუბა"-ს ნახვის შესაძლებლობა მოგვცა. რა იხილა თბილისელმა პუბლიკამ კინოთეატრ "ამირანის" გადაჭედილ დარბაზში 3 ოქტომბრის საღამოს დიდ ეკრანზე? - კინორევოლუცია თუ რევოლუცია პირდაპირი მნიშვნელობით? დამეთანხმებით, რომ პირველი – კრიზისში მყოფი ქართული და საერთოდ კრიზისში მყოფი კინოსათვისაა აუცილებელი და აქტუალური, მეორე - ანუ რევოლუცია ჩვენი საზოგადოების ცნობიერებისთვისაა ზედგამოჭრილი. ასე რომ, დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს "კინორევოლუციისა" და "რევოლუციისათვის".

რაც შეეხება ტრანსპორტირებას, საბაჟო რეჟიმს, მოსკოვსა თუ ბრიუსელში დაკავებულ კინოფირებს... ალბათ, მაყურებელს და განსაკუთრებით ფესტივალზე

გაგრძელება B2 გვერდზე

დიტო ცინცაძე კიდევ ერთი პრიზი - ამჯერად მშობლიურ ქალაქში.

ბესო გასვიანელის ფოტო

რუსი ინვესტორი აფხაზებთან წარმოქმნილ ენერგოპრობლემას „აგვარებს"

გასული შაბათ - კვირა ელექტროენერგეტიკული თვალსაზრისით საკმაოდ "ცხელი" აღმოჩნდა. ამ ორი დღის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ და საკმაოდ ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოში ქვეყნის ენერგომომარაგება და, საერთოდ, სტაბილურობა, რაც ხშირად, განსაკუთრებით - ზამთარში ენერგომომარაგებაზე მნიშვნელოვნად გახლავთ დამოკიდებული, რუსეთის კეთილგანწყობაზე "ჰკიდია".

თამარ ხორბალაძე

შაბათ დილით მთელი საქართველო, მათ შორის – თბილისიც, ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. მიზეზი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიერ ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილება გახლდათ - ჰიდროელექტროსადგურ "ენგურჰესზე"

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B1 პრესომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

მაკკეინი "ნაციონალებიდან" იწყებს

სოფო ბუკია

საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, გუშინ თბილისში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ჩამოსული ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი აეროპორტიდან პირდაპირ დედაქალაქის საკრებულოში, მიხეილ სააკაშვილის სამუშაო ოთახში აღმოჩნდა.

მაკკეინთან პირისპირ შეხვედრიდან გამოსულმა სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თუ ხელისუფლება და პრეზიდენტი შევარდნაძე 2 ნოემბერს შეეცდებიან კვლავ არადემოკრატიული და გაყალბებული არჩევნები ჩაატარონ, მაშინ ამერიკა საბოლოოდ შეაქცევს ზურგს საქართველოს. **"ამის თქმის საფუძველს მე სენატორ მაკკეინთან დიალოგი მაძლევს,"** – აღნიშნავს სააკაშვილი.

როგორც თავად სენატორი ამბობს, მისი ვიზიტის მთავარ მიზანს საქართველოს წინასაარჩევნო გარემოს შესწავლა წარმოადგენს.

სენატორმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ღირსეულად ჩაბარებს დემოკრატიის გამოცდას, რის შედეგადაც მისი დამოუკიდებლობის ხარისხი უფრო მეტ სერიოზულ დივიდენდს შეიძენს.

"ამერიკელი ხალხის წარმოდგენაში საქართველო თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოა. ბევრი ამბობს, რომ ამერიკას დღეს მხოლოდ ერაყის პრობლემები აინტერესებს და სხვა არაფერი. ეს მცდარი აზრია, ჩვენ ასევე გვაინტერესებს და დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს, რა პროცესები მიმდინარეობს საქართველოში. ჩვენ კარგად ვიცით, რა რთული გზა გამოიარა ამ ქვეყანამ. მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი რუსეთისგან და სხვა ნებისმიერი ქვეყნისგან. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებას მართებს, უფრო დიდი ყურადღება დაუთმოს მოახლოებულ არჩევნებს, რადგან ამ არჩევნებზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული," – განუცხადა ჟურნალისტებს სენატორმა მაკკეინმა.

მან სააკაშვილთან ძველი შეხვედრებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ არაერთხელ შეხვედრია "ნაციონალების" ლიდერს ამერიკაში.

თუ რა დასკვნა გამოიტანა მაკკეინმა საქართველოს წინასაარჩევნო ვითარების გაცნობის შედეგად, ჯერჯერობით, უცნობი რჩება. **"ნაჩქარევ დასკვნებს ვერ გამოვიტან, ჯერ მთელი რიგი შეხვედრები მაქვს წინ, ბევრი სამუშაოა,"** – განაცხადა მაკკეინმა.

სააკაშვილის კაბინეტიდან გამოსული სენატორი პირდაპირ ჯავახიშვილის ქუჩაზე, "ლეიბორისტების" შეფთან შესახვედრად გაემგზავრა. **"სენატორი მაკკეინი პირველად "ნაციონალურ მოძრაობას" ესტუმრა,"** – იამაყა გუშინ სააკაშვილმა. დღეს სენატორი მაკკეინი პრეზიდენტ შევარდნაძეს შეხვდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ გუშინ კიდევ ორი პატივცემული სტუმარი მიიღო – აშშ გაერთიანებული შტაბების ყოფილი უფროსი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი და სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე სტროუბ ტელბოტი. საუბარი ამ შემთხვევაშიც არჩევნებსა და საქართველოში შექმნილ წინასაარჩევნო ვითარებას შეეხებოდა.

ამერიკელებს ინფორმაცია ლეიბორისტების „შემთხვევითი აგენტისგან" მიუვიდათ

ლელა მჭედლიძე

"ლეიბორისტების" ლიდერ შალვა ნათელაშვილს რომ ჰკითხოთ, ამერიკელი გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე სტროუბ ტელბოტი ყველაზე მეტად მისი გულშემატკივრები არიან. ნათელაშვილი ამას იმითაც ადასტურებს, რომ ამ ამერიკელმა სტუმრებმა საქართველოში სწორედ "ლეიბორისტული" პარტიის ლიდერთან გადაწყვიტეს შეხვედრა. თუმცა, ნათელაშვილს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ სენატორმა მაკკეინმა პირველი შეხვედრის მოწყობა "ნაციონალების" ლიდერ სააკაშვილთან გადაწყვიტა. თუმცა, სენატორმა მაკკეინმა ჯერ კიდევ აეროპორტში ყოფნის დროს დააზუსტა, რომ ამ არჩევნებში მათ არ ეყოლებათ "საკუთარი" კანდიდატურა, ძალა, რომელსაც ისინი მხარს დაუჭერენ...

დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ, შალიკაშვილი ვრცელ კომენტარებს ერიდებოდა. თავად "შრომის" პარტიის ლიდერი კი აცხადებდა, რომ საუბრის ძირითადი თემა ე.წ. ბეიკერის სქემა და მოსალოდნელი გაყალბებები გახლდათ. ნათელაშვილმა შალიკაშვილსა და ტელბოტს საარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო დაღვევების ჩამონათვალიც გააცნო. ნათელაშვილისთვის დღევანდელი ხელისუფლება ერთი ოთხთავა ურჩხულია (შევარდნაძე, ბურჯანაძე, ჟვანია და "რუსთავი-2").

საარჩევნო დარღვევების ჩამონათვალი პარტიის ლიდერის ხელთ საკმაოდ უცნაური გზით აღმოჩნდა. როგორც ბატონი შალვა ამტკიცებს, ხელისუფლებო ბლოკის ჩულურეთის შტაბში გამართულ შეკრებაზე "ლეიბორისტული პარტიის" წევრი შემთხვევით აღმოჩნდა... და, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, არჩევნების გასაყალბებელი ინსტრუქტაჟიც გულდასმით მოისმინა. ახლა ამ საკმაოდ "სანდო წყაროს" მიერ ინფორმირებული ნათელაშვილი ამტკიცებს, რომ **"მოწმობების არქონის შემთხვევაში, რეგისტარციაში მხოლოდ სამთავრობო ბლოკის მხარდამჭერებს გაატარებენ; იმ პირებს, ვისაც საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისვლა, თავისი ჯანმრთელობის გამო, არ შეეძლებათ, გადასატანი ყუთით ხელისუფლების წარმომადგენლები მიაკითხავენ. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები მუდმივ კავშირში იქნებიან საოლქო კომისიის თავმჯდომარეებთან. თუ რომელიმე უბანზე პარტიის ცუდი მაჩვენებლები დაფიქსირდა, მაშინ საუბნო კომისიის წევრმა უნდა მოახდინოს არეულობის პროვოცირება, რათა შემდგომ ეს არჩევნების გაუქმების მიზეზი გახდეს; საოლქო კომისიებში საუბნოდან შესულ ოქმებს სამთავრობო ბლოკის წარმომადგენლებმა თავში ერთიანი ან ბოლოში ნოლი უნდა დაუსვან; ეცდებიან საოლქო კომისიებში სხვა პარტიის წარმომადგენლების მოსყიდვას"** და ა.შ.

ტელბოტ-შალიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ნათელაშვილი დარწმუნდა, **"რომ ამერიკა და საერთაშორისო თანამეგობრობა ჩვენზე არანაკლებად, მეტად თუ არა, იბრძვის საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად"**.

"ნათელაშვილთან ჩვენ კორუფციაზე, იმ მექანიზმებზე ვისაუბრეთ, რითაც სავარაუდოდ, უნდა ავიცილოთ გაყალბება," - აცხადებდა, თავის მხრივ, მაკკეინი. საუბარი კვლავ იყო ბეიკერის რეკომენდაციებზეც, რომლის შესრულება-არშესრულების თაობაზე პასუხს ხვალ მაკკეინი, სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრის შემდეგ, უკვე პრეზიდენტთან შეხვედრისას მოიკითხავს.

ომის ვეტერანები ოპოზიციის დამცველთა რიგებში დგებიან

გიორგი ასანიშვილი

ვეტერანების ერთადერთი იმედი ნინო ბურჯანაძეა.

გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან, ხუთი დღის განმავლობაში შიმშილობდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანთა ჯგუფი. ისინი ითხოვდნენ ქვეყნიდან რუსეთის "სამშვიდობო" ჯარების გაყვანის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების შესრულებას, ვეტერანებისა და ინვალიდებისთვის განკუთვნილი თანხებით სამთავრობო ბლოკის საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შეწყვეტას, ომის მონაწილეთა პრიორიტეტულ დასაქმებასა და დასაქმების პროგრამების დაფინანსებას. მეომართა საპროტესტო აქციით აღმასრულებელი ხელისუფლება საერთოდ არ დაინტერესებულა და მისი მონაწილეები ერთხელაც არ მოუნახულებია. "დაპირების მიცემაც რომ არ შეგეძლოს, როდესაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ბიჭები შიმშილობენ, უნდა მიხვიდე და იკითხო, რა უჭირთ და რა ულხინთ. მთავრობას ელემენტარული ყურადღება უნდა გამოეჩინა და დაინტერესებულიყო, რა სჭირდება ამ ხალხს," - აცხადებს აქციის მონაწილეთა მოსანახულებლად მისული პარლამენტის თავმჯდომარე. მისივე თხოვნით, გუშინ მოშიმშილეებმა აქცია შეწყვიტეს. "ჩვენი ადგომით ვადასტურებთ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას არ ვენდობით და თქვენ გიჭერთ მხარს," - მიმართეს ომის ვეტერანებმა საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერს.

"თქვენი იმედიღა დაგვრჩა, რადგან მთავრობასთან თანამშრომლობა აბსოლუტურად შეუძლებელია", - აღნიშნავდნენ ნინო ბურჯანაძესთან საუბარში აქციის მონაწილეები. ისინი ჰპირდებიან სპიკერს, რომ ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლები აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში და სამთავრობო ბლოკს ერთ ხმასაც არ მისცემენ.

ამასთან, ვეტერანები ხაზს უსვამენ, რომ მათი აქცია სულაც არ ემსახურება ერთი რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას. **"ამ აქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებას არ მივცეთ საშუალება, პოლიტიკურ ზედაპირზე ტივტივი უკვე დაღვრილი სისხლის ფასად და ჩვენი მოქალაქეების პასიურობის გზით შეინარჩუნოს"**, - ნათქვამია ოპოზიციური პარტიებისადმი მოშიმშილეთა მიერ გაგზავნილ პეტიციაში.

აქციის მონაწილეთა ვარაუდს, რომ ხელისუფლება ყველა საშუალებას, მათ შორის უკანონოსაც, გამოიყენებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ნინო ბურჯანაძეც ეთანხმება. მისი თქმით, საპარლამენტო არჩევნების ჩაშლის ან მისი არასამართლებრივად ჩატარების საფრთხე ძალიან დიდია. ამიტომაც მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომ სასწრაფოდ იქნას მოწვეული უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა, რომელზეც არჩევნების ნორმალურად ჩატარების საკითხი იქნება განხილული. იმ შემთხვევაში, თუ შევარდნაძე ამას არ გააკეთებს, ბურჯანაძე "იმუქრება", რომ 8 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე მივა და თავის შეშფოთებას იქ ღიად დააფიქსირებს.

"თუ მინისტრები, თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების ნაცვლად, შემმოწმებლებს გააგზავნიან სკოლებში, გააკრიტიკებენ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ "მიღებულ" არარსებულ გადაწყვეტილებებს, იძულებული გავხდები, ბევრად უფრო რადიკალური განცხადებები გავაკეთო", - მუქარას უთვლის აღმასრულებელ ხელისუფლებას ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი.

"ვაფრთხილებ ხელისუფლებას, რომ არჩევნების ჩაშლისკენ მიმართული მისი ქმედებები ქვეყანაში ძალიან დიდ დესტაბილიზაციას გამოიწვევს", - აცხადებს საპროტესტო აქციის მონაწილეებთან შეხვედრის დროს ბურჯანაძე და აკონკრეტებს, რომ არჩევნების ჩაშლაზე საუბრისას, მას მხედველობაში აქვს ამომრჩეველთა რაოდენობის 500 ათასით გაზრდის მცდელობა, მოქალაქეთათვის პასპორტების და პირადობის მოწმობების ჩამორთმევა, მათი ნომრების შეგროვება და ა.შ.

სპიკერი მოუწოდებს სახელისუფლებო ბლოკს, **"პროვოკაციების მოწყობის ნაცვლად, საკუთარი საარჩევნო კამპანია დაიწყოს"**.

"ჩვენ არ ვიბრძოდით რუსეთისა და შევარდნაძის მონობისთვის", - თავის მხრივ, გულდაწყვეტილნი შესჩივიან ომის ვეტერანები პარლამენტის თავმჯდომარეს და კარსმომდგარ არჩევნებში ოპოზიციურ ძალებს სრულ მხარდაჭერას აღუთქვამენ.

ქვეყნის ღირსება ხალხმა უნდა დაიცვას

პირველი გვერდიდან

ელჩი მაილსი და სენატორი მაკკეინი თბილისის აეროპორტში.

იმ ფონზე, როცა სომხეთში არჩევნების ბედი ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ხოლო აზერბაიჯანში დემოკრატიული არჩევნების მოლოდინიც კი არ არსებობს, საქართველოში არჩევნების გაყალბება კავკასიაში დემოკრატიასთან დიდი ხნით გამომშვიდობებას ნიშნავს, მაშინ, როცა თავისუფალი არჩევნებით საქართველო დადებით პრეცედენტს შექმნიდა და მაგალითის მიმცემი იქნებოდა არა მარტო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, არამედ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებისთვისაც.

ამერიკაში ძალიან კარგად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ეს ხელისუფლება, რომელიც აბსოლუტურად კორუმპირებული და უუნაროა და ვერ ჭრის ყველაზე ელემენტარულ პრობლემებსაც კი, უნდა შეიცვალოს, ხოლო მის შესაცვლელად ყველაზე უმტკივნეულო გზა დემოკრატიული არჩევნებია. ბუნებრივია, ილუზია იმისა, რომ ეს არჩევნები პანაცეა იქნება და ახალი პარლამენტის მოსვლის შემდეგ რამე რადიკალურად შეიცვლება, არავის აქვს. მაგრამ, საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება პირველი სერიოზული ნაბიჯი იქნება. გარდა ამისა, ეს არჩევნები სერიოზულ გავლენას მოახდენს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც მართლაც ყველაზე კრიტიკულია საქართველოსთვის. თუ ხელისუფლება დაინახავს, რომ მას არჩევნების გაყალბება შეუძლია, იგივეს ძალიან მარტივად გააკეთებს საპრეზიდენტო არჩევნებზე.

და რაც მთავარია, თუ გაყალბებულმა არჩევნებმა მაინცადამაინც დიდი სამოქალაქო პროტესტი არ გამოიწვია, ძალაუფლებაში იგივე ხალხის დარჩენა და იგივე კორუფციული სქემებითა და მეთოდებით ქვეყნის მართვა რაღაც ეტაპზე აუცილებლად გამოიწვევს დიდ სოციალურ არეულობას, რადგან ძალიან მწირი რესურსები ამ ხელისუფლებას არ მისცემს იმის საშუალებას, რომ სიტუაცია აკონტროლოს და თუნდაც სტატუს კვო შეინარჩუნოს. ქვეყანაში დაწყებული დესტაბილიზაცია კი ძალიან საშიშია ისედაც არასტაბილური რეგიონისათვის. ეს საფრთხეს უქმნის ენერგო-პროექტების ამუშავებას, ზრდის ტეტორიზმის საფრთხეს, რადგან არასტაბილური ადგილები, სადაც ხელისუფლება ძალიან სუსტია და კორუმპირებული ჩინოვნიკები მზად არიან, ნებისმიერ გარიგებაზე წავიდნენ, ძალიან მიმზიდველია ტერორისტული დაჯგუფებებისთვის.

ეს და კიდევ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს იმ ძალიან დიდი ინტერესს, რომელსაც ამერიკელები ამ არჩევნების მიმართ იჩენენ. ამის გამოხატულება იყო ჯეიმს ბეიკერის, როგორც პრეზიდენტ ბუშის პირადი წარმომადგენლის ვიზიტი თბილისში, რაც თავისთავად იშვიათი მოვლენაა, რადგან ამერიკის პრეზიდენტი ყველა ქვეყანაში ნამდვილად არ გზავნის პირად წარმომადგენლებს დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად მოუცლელობისა, საქართველოში ჩამოსასვლელად დროს პოულობს ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სენატორი ჯონ მაკკეინი.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ეგიდით თბილისში ჩამოვიდნენ სტროუბ ტელბოტი და ჯონ შალიკაშვილი.

ანუ ამერიკის ხელისუფლება, ის გავლენიანი ადამიანები, რომლებიც თავს საქართველოს მეგობრებად მიიჩნევენ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას შეუწყონ ხელი და კიდევ ერთხელ შეახსენონ ხელისუფლებას, ისევე როგორც ოპოზიციურ პარტიებსა და ამომრჩეველს, რომ არადემოკრატიული არჩევნებით ქვეყანა ძალიან ბევრს დაკარგავს.

ეს ცალსახად და ნათლად ჩანდა ყველა იმ ინტერვიუში, რომელიც მთელი ექვსი თვის განმავლობაში ცნობილ ექსპერტებთან და ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან მქონდა, მათ შორის - სენატორ მაკკეინის და სტროუბ ტელბოტის კომენტარებში, მიუხედავად ამ განცხადებების ძალიან დიპლომატიური და ფრთხილი ტონისა.

ცხადია, რომ საქართველოსთვის ერთადერთი სავიზიტო ბარათი - დემოკრატიაა. მაშინ, როდესაც აზერბაიჯანს სერიოზული კაპიტალი აქვს ნავთობის სახით, სომხეთს ძალიან მდიდარი და გავლენიანი დიასპორა ჰყავს (გარდა ამისა, მისი სიახლოვე ირანთან მომავალში მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება), ერთადერთი, რითაც საქართველოს შეუძლია თავისი ადგილი დაიმკვიდროს, დემოკრატიისადმი ერთგულებაა. თუ საქართველოს ღირებულება მხოლოდ მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და სატრანზიტო მნიშვნელობაზე დაიყვანება, ეს მაინცდამაინც საიმედო არ არის. რადგან კასპიისა და, ზოგადად, შუა აზიის ბუნებრივი რესურსების დასავლურ ბაზარზე გასატანად ალტერნატიული მარშრუტების მოძებნა ყოველთვის შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როცა რუსეთი ერთობ დაინტერესებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის კორიდორის დაბლოკვით.

თუ საქართველომ ვერ მოახერხა იმის დამტკიცება, რომ ის ღირსეული ქვეყანაა, რომელსაც საკუთარი მომავალი და დამოუკიდებლობა ძვირად უღირს, მაშინ საერთაშორისო დახმარების დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა დღეს რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორებას და მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლას აქტიურად ლობირებენ ვაშინგტონში - როგორც ხელისუფლებაში, ისე ანალიტიკურ ცენტრებში. ეს ტენდენცია კი საკმაოდ მზარდია ამერიკის გართულებული საგარეო ურთიერთობებისა და ჩრდილოეთ კორეასა და ირანთან დაკავშირებით რუსეთთან თანამშრომლობის აქტუალურობის გამო. რაც შეეხება ევროპას, მას არც არასოდეს ჰქონია განზრახვა, რომ საქართველოს გამო რუსეთთან პრობლემები შეექმნა.

იმ ფონზე, როცა რუსეთის პოლიტიკა ძალიან აგრესიულია და აშკარად მიმართული იმისკენ, რომ დასავლურ ბაზარზე მონოპოლიის შენარჩუნების მიზნით, მაქსიმალურად შეუშალოს ხელი დიდი ენერგოპროექტების ამუშავებას, საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების ეფექტურობის გაზრდა კიდევ უფრო აქტუალურია.

მას შემდეგ, რაც ამ ზაფხულს რუსეთმა საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი ენერგოობიექტი ჩაიგდო ხელში (ამ ხელისუფლების დიდი მონდომებითა და დახმარებით), ვაშინგტონში ყველა აცხადებდა: ეს ფაქტი, მართალია, ცუდია, მაგრამ თუ საქართველოს ხელისუფლება მოახერხებს იმას, რომ მოაწესრიგოს მიწოდებული ბუნებრივი გაზიდან გადასახადების მობილიზება, რუსეთთან ვალი არ დააგროვოს და შემდეგ ამ ვალში რუსეთს ყველაფერი და ყველაფრის უფლება არ მიჰყიდოს, მაშინ საფრთხის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შეიძლება.

ანუ ყველაფერი იმაზე არ არის დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა ამერიკა ინტერესს კავკასიის მიმართ, თუ რუსეთთან გარკვეულ დათმობაზე წავა. არის ისეთი რამ, რაც მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების და ქართველი პოლიტიკოსების გასაკეთებელია, და რაც საბოლოოდ, ძალიან ბევრ რამეს განსაზღვრავს.

ბეიკერის გეგმის ჩავარდნის შემდეგ, რის გამოც ძალიან ბევრი აპათიაში ჩავარდა, ვაშინგტონში აცხადებდნენ, რომ მთავარი მაინც არის ის, რა მოხდება ორ ნოემბერს. ხოლო ის, თუ რა მოხდება ორ ნოემბერს, არა მარტო ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული, არამედ თითოეული ამომრჩევლის ნებაზე - არავის მისცეს თავისი ხმის გათელვის უფლება, რადგან პირველ რიგში, სწორედ ხალხია (ანუ ამომრჩეველია) ის ძალა, რომელსაც შეუძლია საკუთარი ქვეყნის ღირსებისა და მომავლის დაცვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება
სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 3,000,000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 25 თებერვალს, გამოტანილი იქნება №39 აუქციონზე, რომელიც შედგება 2003 წლის 8 ოქტომბერს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არა უგვიანეს 2003 წლის 8 ოქტომბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

მოკლედ

საარჩევნო სიების გამოქვეყნება დაიწყო

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოს 2543 საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა სიები უკვე გამოქვეყნებულია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ავთანდილ სულაბერიძის თქმით, ჯერჯერობით უცნობია, გამოქვეყნდა თუ არა სიები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 257 საარჩევნო უბანში.

სულაბერიძის ინფორმაციით, 19 ოქტომბრამდე მოხდება ამომრჩეველთა სიების მონიტორინგი და შემოწმება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო სამსახურებმაც. მისივე თქმით, საბოლოო სია 23 ოქტომბერს უკვე უნდა არსებობდეს. **"ამჟამად არსებულ საარჩევნო სიებს, რომელიც უკვე ინტერნეტშია განთავსებული, ჯერჯერობით, მხოლოდ წინასწარი სახე აქვს"**, - აღნიშნა ცესკო-ს წევრმა. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. საარჩევნო ბლოკ "ჯუმბერ პატიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი აცხადებს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება კვლავ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სასტუმრო "მარიოტში" გამართულ შეხვედრაზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" საქართველოს რეგიონული ბიუროების კოორდინატორებმა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხზე იმსჯელეს

სტუმრები საარჩევნო პროცედურების მიმდინარეობებით დაინტერესდნენ, კერძოდ, იმით, თუ როგორ მიმდინარეობს რეგიონებში საარჩევნო სიების გამოქვეყნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 9 ოქტომბერს უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით თბილისს ეწვევა. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და უზბეკეთის სახელმწიფო მეთაური ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს განიხილავენ.

ვიზიტისას ხელი მოეწერება რამდენიმე შეთანხმებას, მათ შორის, შეთანხმებას ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შიმშილობის მეხუთე დღეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანებმა, რომლებიც აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვენ, მიიღეს მიმართვა ოპოზიციური პარტიებისადმი. "ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა მოახერხონ ქართველი ერის გამთლიანება და მთელი ძალისხმევა კონფლიქტის ზონებიდან რუსეთის ჯარის გაყვანას მოახმარონ", - ნათქვამია განცხადებაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 6 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატა განიხილავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 26 სექტემბერს გამოცემული განკარგულების კანონიერებას, რომლითაც "ტრადიციონალისტებს" სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციაში გატარებაზე უარი უთხრეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის" 100-მდე წარმომადგენელი ცესკო-ს შენობასთან რამდენიმე დღიან საპროტესტო აქციას მართავს. მათი მოთხოვნებია - არჩევნებისას პარტიებს თანაბარი საარჩევნო უფლებები მიენიჭოს და ცესკო-მ იგორ გიორგაძის კანდიდატურა საარჩევნო სიაში დასაშვებად სცნოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია მიიჩნევს, რომ ოპოზიციის მიერ "წინასწარ, კატეგორიულობით" გაკეთებული განცხადებები 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების შესახებ, "ამომრჩეველს აფრთხობს და მატულობს გულგატეხილთა რაოდენობა", რომლებიც, შესაძლოა, არჩევნებზე აღარ მივიდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

პიროსის აგონია

გოგა ოქროპირიძე
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველო არშემდგარი სახელმწიფოს ზღვარზე

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური სუბიექტები შიგადაშიგ სისხლის გამოშვებასაც აღარ ერიდებიან. ექსპერტები პოსტშევარდნაძისტულ პერიოდში გადარჩენას მათ მხოლოდ შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში უწინასწარმეტყველებენ. ქვეყნის პრეზიდენტი საშიშ ტენდენციაზე - პოლიტიკური ჯგუფების კრიმინალიზაციაზე მიანიშნებს. როგორც ჩანს, სისხლის გამოშვების მთავარი პროცესი ჯერ წინ არის. ამ ფონზე არავის აწუხებს ის ფაქტი, რომ საქართველო არცთუ ნელი ტემპებით არშემდგარი სახელმწიფოს ნიშნებს იძენს.

კარგი დასაწყისიდან ბუნდოვანი მომავლისაკენ

1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ და ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი თოფიანი კაცის ბატონობას. შეიქმნა სამართლებრივი გარემო, რამაც ხელისუფლებას დემოკრატიული პროცესების დაწყების შესაძლებლობა მისცა. გაიზარდა უცხოური დახმარებები. საქართველო დასავლეთისთვის პოსტსაბჭოურ სივრცეში ეკონომიკური განვითარების ტემპების მიხედვით ერთ-ერთ მოდურ და მისაბაძ ქვეყნად იქცა.

1995 წლის შემდგომ უცხოელი ინვესტორების დაინტერესება საქართველოს მიმართ გაიზარდა. ჩვენს ქვეყანაში კაპიტალის დაბანდების სურვილი უამრავმა ცნობილმა კომპანიამ გამოთქვა. 1998 წლის ზაფხულისათვის უცხოურმა ინვესტიციებმა 140 მილიონ დოლარს მიაღწია. ამის პარალელურად გაიზარდა საგარეო ვაჭრობის არეალი და პარტნიორი ქვეყნების რიცხვი ასამდე ავიდა.

საქართველოს მისაბაძი ქვეყნის იმიჯს პირველ რიგში საბიუჯეტო წესრიგი განსაზღვრავდა, რომლის შენარჩუნებაც 1998 წლის აგვისტომდე მოხერხდა. ამ პროცესში მთავარ როლს, სხვადასხვა ფისკალური სტრუქტურების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, იმდროინდელი სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრები ასრულებდნენ. პრინციპი - ჯერ ბიუჯეტი და მერე საკუთარი ჯიბე (რაც იდეალურისგან შორს დგას), მუშაობდა და მიღებული შედეგიც სახეზე იყო. 1998 წლის პირველ ნახევარში ამოღებული საბიუჯეტო თანხები, უცხოურ ვალუტაზე გადაანგარიშებით, დიდად არ ჩამორჩებოდა დღევანდელ მაჩვენებლებს.

1998 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტი მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს - ყოველგვარი მოტივის გარეშე ათავისუფლებს ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს, რაც ქართულ პოლიტიკაში ახალი ტენდენციის დაწყებაზე მიანიშნებს. აღმასრულებლებისა და კანონმდებლების ურთიერთობაში შექმნილი არაჯანსაღი ფონის გამო, იმდროინდელი სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ქართველ ბიზნესმენებს შორის და მთლიანად აკონტროლებდა ფისკალურ სტრუქტურებს, თანამდებობიდან მიდის. ამით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლი წყდება. ხელისუფლება საბოლოოდ ხელიდან უშვებს საბიუჯეტო პროცესის სადავეებს, რომელთა თავმოყრასაც დღემდე ვერ ახერხებს.

1998 წლის მეორე ნახევარში საბიუჯეტო შემოსავლები სიმბოლურ მაჩვენებლამდე შემცირდა, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ გაუგებარი საკადრო ცვლილებებით არ იყო გამოწვეული. ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა იმ პერიოდში რუსეთში წარმოქმნილმა კრიზისმა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩრდილოელ მეზობელთან ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი არ იყო იმდენად მაღალი, რომ საბიუჯეტო პროცესის სრული პარალიზება გამოეწვია. აქ მთავარი როლი მაინც არაპროფესიონალიზმმა და საქმისადმი არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ ითამაშა.

საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი თუ არა, ალბათ ისტორია მაინც გასცემს პასუხს კითხვებს - რატომ აქცია საბიუჯეტო წესრიგი შევარდნაძემ შიდაპარტიული თამაშების არენად? ის კი ცხადია, რომ სწორედ ამის შედეგი იყო 2001 წლის შემოდგომის მოვლენები. საქართველოს პირველ პირს ყოფილ თანაგუნდელებთან დაპირისპირება პიროსის გამარჯვების ფასად დაუჯდა.

საბიუჯეტო პროცესის შიდაპარტიული წინააღმდეგობების სიბრტყეში გადატანამ ხელი შეუწყო კორუმპირებული ნომენკლატურის გააქტიურებას. მათ პრეზიდენტისადმი ერთგულების მტკიცებით და გულში მჯიღის ცემით მიისაკუთრეს თანამდებობები და მარცხენა შემოსავლების წყაროებიც მნიშვნელოვნად გაიზარდეს. ძალაუფლებაშერყეულ შევარდნაძეს ალტერნატივა აღარ დარჩა. მან დასაყრდენად კორუფციაში ჩაძირული მოხელეები აირჩია, რითაც მისი პრეზიდენტობის პერიოდში ქვეყნის განვითარების პერსპექტივას მძიმე განაჩენი გამოუტანა.

საქართველოს ხელისუფლება თავის უსუსურობას ყოველ ნაბიჯზე ავლენს. მისი ამასწინანდელი მცდელობა, არჩევნების წინ მაინც შეესრულებინა დაგეგმილი საბიუჯეტო მაჩვენებლები, წარუმატებლად დამთავრდა. თუ ლოგიკას მივყვებით, ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთეს შედეგებს არც არჩევნების შემდეგ უნდა ველოდოთ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მხრიდან პოსტსოციალისტურ სივრცეში ეკონომიკური რეფორმების გატარების მხრივ საქართველოს ერთ-ერთ ბოლო ადგილზე დაყენება, მიმდინარე პროცესების ლოგიკური შედეგია. ოფიციალური ვაშინგტონი ჩვენს ქვეყანას 25 მილიონით უმცირებს დახმარებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის შეწყვეტის ფონზე ეს უკვე საშიში სიგნალია. შეერთებული შტატები ასეთ ზომებს ძირითადად იმ სახელმწიფოების მიმართ იღებს, რომლებიც გარკვეულ ეტაპზე დამოუკიდებლად განვითარების პერსპექტივას კარგავენ.

კორუფცია - ქართული წესრიგის დედა

კორუფციასთან ბრძოლის ნათლობა საქართველოს პრეზიდენტმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მიიღო. იმ პერიოდში მის ძალისხმევას "სტავკების" გაორმაგება მოჰყვა, თუმცა ქაღალდზე დაფიქსირებულმა არარეალურმა საგეგმო მაჩვენებლებმა მას ჩრდილოეთის პოლიტიკური ოლიმპიასაკენ მიმავალი გზა გაუხსნა.

კორუფციასთან ბრძოლის მეორე ეტაპი შევარდნაძემ 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და შედეგიც დაახლოებით ანალოგიური მიიღო - ქრთამის აღება ხელისუფალთა ურთიერთობის უმთავრეს ატრიბუტად იქცა. თუმცა, 70-იანი წლებისაგან განსხვავებით, ასეთი "მიღწევები" საქართველოს პრეზიდენტს საერთაშორისო თანამეგობრობამ არ მოუწონა. ძველი სისტემის რეანიმაციის მცდელობამ ქვეყნის შიგნითაც უამრავი პრობლემა შექმნა. საქმე ისაა, რომ ტოტალიტარიზმის დროს კლანურ-ნომენკლატურული სისტემა, მისი მანკიერებების მიუხედავად, სახელმწიფო ინტერესებს იცავს და ამ პირობებში კორუფციაც დანაშაულად ითვლება. ანალოგიური მოდელის დემოკრატიის პირობებში გადმოტანა კი საფრთხეს უქმნის სახელისუფლო სტრუქტურების ნორმალურ ფუნქციონირებას, ხოლო კორუფცია დანაშაულის დატვირთვას კარგავს.

რაც უნდა პარადოქსული იყოს, დღევანდელი სახელისუფლო ვერტიკალის სიმტკიცეს კორუფცია განსაზღვრავს. მარცხენა შემოსავლების ფაქტობრივი ლეგალიზება ბუნებრივად იწვევს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების ინტერესების გაერთიანებას არსებული რეჟიმის შესანარჩუნებლად. ამდენად, დღეს შეუძლებელია, ხელისუფლება რეალურად ებრძოლოს კორუფციას, რადგან იგი მისი ცხოვრების წესია.

კორუფციის მასშტაბების შემცირების ერთადერთი გზა სხვადასხვა სფეროში რეფორმების კომპლექსური ჩატარებაა. ეს პროცესი საქართველოში გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო, მაგრამ განვითარება ვერ ჰპოვა. ცალკეულ უწყებაში მომხდარი ცვლილებები კი საერთო ამინდს ვერ ქმნის. ამის მაგალითად თუნდაც სასამართლო რეფორმა გამოდგება. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი ფორმით დარჩენის პირობებში ამ სფეროში კორუფციული სქემები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

სისტემური რეფორმების შეჩერების ფონზე, ანტიკორუფციული სტრუქტურები პარლამენტსა თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თავის მთავარ დანიშნულებას ვერ ასრულებენ. მათი ძალისხმევა ცალკეული არასასურველი პირის მიმართ ხშირად ანგარიშსწორებაში გადადის და სასურველ ეფექტს არ იძლევა.

საქართველოში კორუფციის მაღალი მასშტაბები დიდ პრობლემებს უქმნის ინვესტორებს. უცხოური ფორმების დიდი ნაწილი ამ საკითხს განიხილავს, როგორც ბიზნესის ღირებულებას, რომლის ამოღებაც შემოსავლიდან ხდება. დასავლური კომპანიების ქვეყნიდან წასვლის ტენდენცია იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენთან "სტავკების" ღირებულება მათთვის დასაშვებ ზღვარზე მაღალია.

აღბათ, დღევანდელმა ხელისუფლებამ რომც მოინდომოს კორუფციის მასშტაბების შემცირება, მას "თვითგანწმენდისთვის" ძალა არ ეყოფა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც სახელმწიფო კანცელარიაში გამართული შოუ-თამბირები ანზორ ბალუაშვილის მონაწილეობით, რასაც კონტრაბანდის შემცირება უნდა მოჰყოლოდა. შედეგი საპირისპიროა. როგორც აღნიშნულ პროცესში ჩართული მაღალჩინოსნები აცხადებენ, მათ ვერ შეძლეს ძალოვან სტრუქტურებში არსებული კორუფციული ჯაჭვის გარღვევა.

ძალაუფლება საჭარო ინტერესების გარეშე

ტერმინი "არშემდგარი სახელმწიფო", საერთაშორისო ურთიერთობათა ლექსიკონში ათიოდე წლის წინ დამკვიდრდა. მის მთავარ მახასიათებლებს წარმოადგენს კორუფციის ძალიან მაღალი დონე, სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობის შემცირება, უკონტროლო ტერიტორიები, სამოქალაქო დაპირისპირება და ა.შ. საქართველო, სამწუხაროდ, ასეთი პუნქტების უმრავლესობის შინაარსს სრულად აკმაყოფილებს.

თანამედროვე განვითარებულმა ქვეყნებმა სახელმწიფოს მშენებლობას საფუძვლად ღირსებაზე დამყარებული ბიუროკრატიული ღირებულებები დაუდეს. საქართველოში კი ძალაუფლების სტრუქტურირება არა საჯარო ინტერესზე, არამედ პიროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა აგებული. მაღალი რანგის ქართველი ჩინოვნიკები თანამდებობას განიხილავენ, როგორც კერძო საკუთრებას, რაც საზოგადოების მხრიდან საყოველთაო ნიჰილიზმსა და კანონმორჩილებაზე უარის თქმას განაპირობებს. ამ ფონზე, ბუნებრივია, შევარდნაძის ხელისუფლების ლეგიტიმურობის ხარისხი დღითიდღე მცირდება.

საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური რესურსები ეწურება. საშინაო საკითხების მოუგვარებლობის პარალელურად მას საერთაშორისო არენაზეც სერიოზული პრობლემები ექმნება. იგი დასავლეთთან და რუსეთთან ურთიერთობაში საჭირო ნიშნულს ვერ აღწევს, რადგან ცალსახად ჩამოყალიბებული საგარეო ორიენტირი არ გააჩნია. შევარდნაძე ვერაფრით ახერხებს შეერთებული შტატების ხელისუფლების დარწმუნებას თავის ერთადერთობასა და განუმეორებლობაში და ამით განაწყენებული, რუსეთთან გაუმართლებელ დათმობებზე მიდის. ასეთი ნაბიჯები დღეს საერთაშორისო დიპლომატიის ჩარჩოებში ნაკლებად ჯდება. რუსეთი, როგორც ყოველთვის, საქართველოს მხრიდან ნებისმიერ დათმობას განიხილავს, როგორც სისუსტის გამოვლინებას, ხოლო შეერთებული შტატები მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას ითხოვს. ვალდებულებებს კი საქართველო ძირითადად ვერ (ან არ) ასრულებს და ნელ-ნელა დასავლეთის ნდობას კარგავს.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი დაბალია. სამოქალაქო სექტორის სისუსტის გამო, ზეწოლის ჯგუფები რეალურ ზეგავლენას ვერ ახდენენ მთავრობის საქმიანობაზე. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მთლიანობაში არც საზოგადოებაა დემოკრატიული გარდაქმნების მუხტის მატარებელი, რადგან მას სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში არ უცხოვრია. დღევანდელი ხელისუფლება მის დაკვეთას არ ასრულებს და ამიტომ ბოლომდე ვერ გავამტყუნებთ. როგორც სოციოლოგიური გამოკვლევები მოწმობს, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვს რკინის ხელს და კორუფციაში მონაწილეობას. ამ ფონზე ზოგიერთი პოპულისტი პოლიტიკური ლიდერის მაღალი რეიტინგი საზოგადოების არაფორმირებული ინტერესია და პროგრესს არ ემსახურება. ამიტომ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ საქართველოში ელექტორალური დემოკრატიის დამკვიდრებამ პირველსავე ეტაპზე ქვეყნისათვის სასურველი შედეგი მოიტანოს.

სიტყვის თავისუფლების არსებობის მიუხედავად, მასმედიის საშუალებები სრულფასოვნად ვერ ასრულებენ თავიანთ როლს. კანონების საყოველთაო იგნორირების პირობებში დარღვეულია უკუეფექტის პრინციპი მეოთხე და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. მთავრობამ, როგორც ჩანს, ჟურნალისტების კრიტიკის წინააღმდეგ იმუნიტეტი გამოიმუშავა და ქვეყანაში ძირითადად "წერე და იკითხეს" ნორმები მოქმედებს.

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ქართული სახელმწიფოსათვის აუცილებელი რეფორმების გასატარებლად დღეს რომელიმე ცალკე აღებული პოლიტიკური ძალა იყოს მზად. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებიც, ალბათ, ქვეყანას მნიშვნელოვან სასიკეთო ცვლილებებს არ მოუტანს. არადა, მიმდინარე პროცესების გაგრძელებას სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის, ნგრევისკენ მივყავართ. ამ სიტუაციაში ინიციატივა საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა უნდა აიღოს თავის თავზე, რომელიც აიძულებს ნებისმიერ ხელისუფლებას, რომ არ გადაუხვიოს სახელმწიფოს მშენებლობის ძირითად პრინციპებს.

P.S. დასავლეთის პოლიტოლოგები, არშემდგარ სახელმწიფოებზე საუბრისას, ძირითად აქცენტს აფრიკასა და პოსტსაბჭოურ სივრცეზე აკეთებენ. თუმცა ისინი დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ, რადგან ცალკეული ქვეყნისათვის ასეთი იარლიყის მიწებება მისი საერთაშორისო ავტორიტეტის დაკარგვას ნიშნავს. ამ მხრივ საქართველოს მოსახლეობას დასკვნების გაკეთება 2 ნოემბერს მოუწევს.

უძველესი ქალაქის 55 წლისთავი

ბევრ ძირძველ რუსთაველს სწყინს, როცა ეუბნები, რომ ის საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქში ცხოვრობს. ჩვენი ქალაქი ერთ-ერთი უძველესიაო, ამბობენ და მართალნიც არიან.

რუსთავის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გუშინ მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა ქალაქის სხვადასხვა უბანში. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ამუშავდა შადრევანი, ცენტრალურ პარკში კი ზოოპარკი გაიხსნა, სადაც გალიების ნახევარი ცარიელი იყო. ქალაქის შესასვლელში პომპეზურად გაიხსნა დიდი ხნის ნატრული ცხენების სკულპტურა, რომელიც 7 წლის მანძილზე კეთდებოდა და ფინანსური სიძნელეების გამო, გახსნის დღისთვისაც კი ვერ დაასრულეს.

დიდი ხნით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე რუსთავქალაქობაზე ჩამოსვლას აპირებდა, თუმცა ის საბოლოოდ მხოლოდ მილოცვის ბარათით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, რუსთაველები არ დააღალატა კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ, რომელიც საპატიო რუსთაველების საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალს დაეწრო. რუსთავის საპატიო მოქალაქეები გახდნენ: რობერტ სტურუა, სოსო ალავიძე, ეროსი კიწმარიშვილი, გოგი თოფაძე, სევერიან კვინიკაძე, ნატო თოფურია, ევგენია ჭანტურიძე და ნანა მოსიძე.

საზეიმო განწყობა მცირედით დაჩრდილა რუსთაველ პენსიონერთა მიტინგმა, რომლებიც პრეზიდენტის ჩამოსვლას და მასთან დალაპარაკებას ელოდნენ და ამისათვის გზაც გადაკეტეს. აქციის ორგანიზატორები რუსთაველი "ნაციონალები" იყვნენ. პენსიონერებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ორი თვის პენსიის უახლოეს დღეებში დარიგებას დაჰპირდნენ და ისინიც დაიშალნენ.

დღის ბოლოს ცენტრალურ სტადიონზე თეატრალური ფესტივალის "ოქროს ნიღაბი - 2003"-ის გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. ფესტივალში საქართველოს თითქმის ყველა თეატრალური დასი მონაწილეობდა.

მთავარი პრიზი, გრან-პრი რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მიიღო რობერტ სტურუას სპექტაკლისათვის "ჰამლეტი".

გუშინ რუსთავს მთელი დღის მანძილზე ჰქონდა ელექტროენერგია. დღეიდან, სავარაუდოდ, ქალაქი ისევ ჩაბნელდება და აქაურებს რუსთავქალაქობის ზეიმი ერთდღიან კარგ მოგონებად დარჩებათ.

HEINRICH BÖLL STIFTUNG

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის

უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):
- სოციალური ცვლილებები ქალაქურ ცხოვრებაში
- მიგრაცია
- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების მნიშვნელობის ტრანსფორმაცია
- მას-მედიის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებაში

სოციოლოგია:
- ხელისუფლების ფორმალური და არაფორმალური განხორციელების მექანიზმები
- რელიგია თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული წარმოდგენების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში
- მიგრაციული პროცესები

მდგრადი ქალაქგანვითარება:
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- არსებული საცხოვრებელი გარემოს კომპლექსური რეაბილიტაციის პრინციპები და მეთოდები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- ქალაქი, როგორც ბუნებრივ-ეკოლოგიური კომპლექსი

ჰაინრიხ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელი შექმნას.

ზოგადი მითითებები:
- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისათვის არ არის საჯაღდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დააკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიხ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით და სტიპენდიატების არჩევისას ითვალისწინებს 50%-იან კვოტას.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

ხანგრძლივობა და მოცულობა:
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 13 თვით - 1.12.2003 - 31.12.2004. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვეურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

კონკურსის პირობები:
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1968-1981 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა.

საჭირო საბუთები:
1. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
2. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
3. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიული და პირადული მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ ნლიური სამუშაო გეგმა)
4. 2 მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელის რეკომენდაცია, რომელშიც გიმუშავიათ
5. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
6. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე.

საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:
ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
რადიანის ქ. 5 0179 თბილისი info@boell.ge ფაქსი: 912897

ნუ გაუცრუებთ ლტოლვილებს იმედს!

"ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში გაერო-ს მიღწევები არადამაკმაყოფილებელია და ამ ორგანიზაციის მონაწილეობის ათ წელზე მეტი დროის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც არ მივსულვართ ახლოს კონფლიქტის მოგვარებასთან", – ამ სიტყვებით დაიწყო საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა გამოსვლა ნიუ იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 58-ე სესიაზე. მენაღარიშვილმა, გაერო-ს ასამბლეაზე გამოსვლისას, გააკრიტიკა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა, განსაკუთრებით კი, რეგიონების ხელმძღვანელების ცალმხრივი, უკანონო ქმედებები აფხაზეთში, რაც, მისი თქმით, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სამშვიდობო პროცესს.

მისივე თქმით, კვლავ დაუბრკოლებლად მიმდინარეობს სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა და გაერო-ს გენერალური ასამბლეის ბოლო სესიაზე საქართველოს მხარის მოწოდებების მიუხედავად, აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივად მინიჭების ტემპი არ შემცირებულა, რასაც ტერორისტები რუსეთში მიმოსვლის საშუალებად კარგად იყენებენ. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გაერო-ს ასამბლეის ხელმძღვანელებს მოუწოდა, კიდევ ერთხელ არ გააცრუონ 300 ათასი ლტოლვილის იმედები და გაორმაგებული ძალისხმევით ეცადონ თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებათა განაწილების შესახებ პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე აფხაზების მხარის დათანხმება.

ცესკო კვლავ დაუფინანსებელია

ცესკო-ს მიერ ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ მომზადებული სარჩელი უზენაეს სასამართლოში 6 ოქტომბერს შევა. ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განცხადებით, არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში საარჩევნო პროცესებისთვის საჭირო 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული 6,5 მლნ ლარიდან ცესკო-ს ანგარიშზე ამჟამინდელი მონაცემებით, ჯერ მხოლოდ 200 ათასი ლარია გადარიცხული. დევდარიანის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს დღეებში ფინანსთა სამინისტრო საჭირო რაოდენობის თანხების ცესკო-ს ანგარიშზე გადარიცხვას ვერ უზრუნველყოფს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ჩაიშლება.

თავის მხრივ, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფო ხაზინიდან ცესკო-ს დაფინანსება 7 ოქტომბრიდან დაიწყება.

მედია-ნიუსი

რიგითობა განსაზღვრული არ არის

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რიგითობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების ვადა ცესკო-ს 19 ოქტომბერს ეწურება, თუმცა აღნიშნული საკითხის თაობაზე წილისყრის პირველი მცდელობა 4 ოქტომბერს უშედეგოდ დასრულდა.

ცესკო-ში რეგისტრირებული 22 პოლიტიკური სუბიექტიდან საარჩევნო რიგში თანმიმდევრობის დაზუსტება ცესკო-ს ძველი და ახალი შემადგენლობის დაპირისპირების გამო ვერ მოხერხდა. 2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებში რიგითობის მიხედვით გარანტირებული ადგილები მხოლოდ იმ პარტიებს და ბლოკებს აქვთ, ვინც 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგები აჩვენა.

ამის საფუძველზე "მოქალაქეთა კავშირის" პირველი ნომერი სახელისუფლებო ბლოკს, მეორე – "აღორძინებას", მესამე – "მრეწველებს" და მეოთხე "ლეიბორისტებს" ერგებათ. რაც შეეხება "ნაციონალურ მოძრაობას", ამ ბლოკმა საკუთარი რიგითობა მეხუთე ნომრით განსაზღვრა, თუმცა ამ ადგილზე პრეტენზიას არჩევნებში მონაწილე "მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია" აცხადებს, რომელიც წინა არჩევნებში ბლოკის "ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი — მესამე გზა" სახელით მონაწილეობდა.

მედია-ნიუსი

გოგი თოფაძე ბორჯომის წყლების ამთვისებლებით უკმაყოფილოა

ეთერ მამულაშვილი

შაბათს ბორჯომში, საარჩევნო დაპირებების მოსასმენად, ასეულობით ადამიანის შეკრება "მრეწველებს" დიდად არ გასჭირვებიათ. ამ რაიონში საკუთარი წინასაარჩევნო კამპანია პარტიის ლიდერმა ბორჯომქალაქობას დაამთხვია. თუმცა, ერთი არც თუ სასიამოვნო სიურპრიზი ბორჯომის ცენტრში მისულ პოლიტიკოსებს მაინც დახვდათ. გამგეობის წინ, თბილისელი "ვარსკვლავ-მომღერლების" მოსასმენად შეკრებილი რამდენიმე ათეული თინეიჯერი, "ახლების" დროშას სიამოვნებით აფრიალებდა.

ბორჯომქალაქობა, თბილისიდან ჩასულ სტუმრებთან ერთად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და უბრალო მოკვდავებმა წელს უკვე მეოთხედ აღნიშნეს. მიუხედავად წვიმიანი და ცივი ამინდისა, ბორჯომის ცენტრალური, უღიმღამო ქუჩები ხალხით დილიდანვე გაივსო. წინა დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, რომ ქართული ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად, თითქოს ბორჯომში სახელმწიფო მინისტრი და პრეზიდენტი აპირებდნენ ჩასვლას, ნაწილობრივ არ გამართლდა. მოუცლელობის გამო კანცელარიიდან ბორჯომელებისთვის ტრადიციული მისალოცი ბარათები გაგზავნეს. რაც შეეხება ჩვენს ვარსკვლავ გოგო-ბიჭუნებს, მათ ბორჯომელებისთვის იმედი ნამდვილად არ გაუტრუებიათ და "მიყვარხარ", "გელოდების", "მესიზმრებისა" და "მენატრების", ფონზე, წვიმაშიც კი მშვენივრად "ძიგძიგებდნენ".

მალე მათ ბორჯომის კულტსახლიდან გამოსული "მრეწველები" შეუერთდნენ. "მრეწველთა" ლიდერმა ძალიან მალევე სცენისკენ გადაინაცვლა და ბორჯომელებისთვის მილოცვების შემდეგ, საარჩევნო ლოზუნგები დასცხო. გოგი თოფაძემ აქაურებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ქვეყნის ხსნა და გადარჩენა მხოლოდ მრეწველობაზეა დამოკიდებული...

ბორჯომქალაქობის ოფიციალური ნაწილის დაწყების წინ "მრეწველებმა", დაახლოებით, სამასამდე ადამიანს თავი კულტურის სახლში მოუყარეს და ბორჯომში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რეზო აიწურაძე გააცნეს. სტაჟიან "მრეწველს", პროფესიით ჟურნალისტს, 60 წლის რეზო აიწურაძეს დეპუტატობის მანდატის მოსაპოვებლად სერიოზული ბრძოლა მოუწევს. ეს მანაც კარგად იცის. "24 საათთან" საუბრისას აიწურაძემ ყველაზე ძლიერ მეტოქედ "ნაციონალების" კანდიდატი, მოქმედი გამგებელი ნოდარ გრიგალაშვილი დაასახელა.

სხვათა შორის, ბორჯომის რაიონისა და ქალაქის გამგებლები - ძმები ფოფხაძეები მხარს "მრეწველებს" უჭერენ და ამას არც მალავენ. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - "მრეწველები" ბორჯომის წყლებში შესული ინვესტორით — "თი-ბი-სი" ჯგუფით უკმაყოფილონი არიან. თოფაძე დარწმუნებულია, რომ დღეს ბორჯომის წყლების არასწორი ათვისება ხდება და რომ მინერალური წყლების დიდი ნაწილი ნადგურდება. უფრო მეტი დაკონკრეტებისგან "მრეწველთა" ლიდერი თავს იკავებს და გვპირდება, რომ ამაზე დეტალურად მხოლოდ 2 ნოემბრის შემდეგ ისაუბრებს.

რუსი ინვესტორი აფხაზებთან წარმოქმნილ ენერგოპრობლემას „აგვარებს"



რუსი ინვესტორის "თხოვნით" აფხაზებმა ენგურჰესი "ჩაგვირთეს".

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, ბაზრისთვის უცნობია, თუ რატომ შეამცირა აფხაზურმა მხარემ ელექტროენერგიის მიწოდების მოცულობა. სავარაუდოდ, ეს წყლის დაბალმა დონემ გამოიწვია. სოლისის თქმით, შეიქმნა სპეციალური კომისია საბითუმო ბაზრის ყველა კონტრაქტორის წარმომადგენლების მიერ, რათა გამოარკვიონ, თუ როგორ მოახერხონ ზამთრის პერიოდში ელექტრომომარაგება.

სოლისმა არ გამორიცხა, რომ ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის მკაცრი შეზღუდვები გახხორციელდება, რადგან საკმარისი რესურსი არ არსებობს.

არანაკლებ პესიმისტური პროგნოზი გაკეთდა შაბათსვე სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც ზამთრისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე მსჯელობდნენ.

"ქვეყანაში ენერგოკრიზისი, დაახლოებით, 10-12 დღეში აღმოიფხვრება", – განაცხადა სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, ამჟამად რუსეთთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე მიმდინარეობს სომხეთის დამაკავშირებელი ხაზის "ალავერდის" აღდგენითი სამუშაოები და ამ თვეში ასევე დაგეგმილია მე-9 ენერგობლოკის გაშვება, რის შემდეგაც ქვეყანაში ენერგოკრიზისი აღარ იქნება.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ მასთან შეთანხმებული იყო "ენგურჰესზე" გამომუშავებული ელექტროენერგიის 8,5 მილიონი კილოვატ/საათიდან 6 კილოვატ/საათამდე შემცირება, ვინაიდან **"ეს მოხდა "ენგურჰესის" კაშხლის უსაფრთხოებისთვის, ეს კი ხელს შეუწყობს ზამთრის პერიოდში უწყვეტ ელექტრომომარაგებას"**.

თუმცა, სანამ საქართველოს ხელისუფლება და უცხოელი ინვესტორი ამ პესიმისტურ პროგნოზებს ახმოვანებდნენ, საქართველოში შემოსული რუსი ინვესტორი "დატრიალდა" და გუშინ ცნობილი გახდა, რომ კომპანია "თელასის" ახალმა მეპატრონემ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მიაღწია, რის შედეგადაც აფხაზებმა "ენგურჰესზე" შეზღუდვები მოხსნეს, – ამის შესახებ ინფორმაცია "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ გაავრცელა.

შეთანხმების თანახმად, 7 ოქტომბერს სამმხრივი შეხვედრა გაიმართება, სადაც მონაწილეობას "ენგურჰესის" ადმინისტრაცია, აფხაზები და "თელასის" წარმომადგენლები მიიღებენ. (მიაქციეთ ყურადღება – **"მოლაპარაკებების მხარედ"** საქართველოს ხელისუფლება არ ფიგურირებს). მანამდე ჰესზე დაწესებული ლიმიტი გაუქმდება და "ენგურჰესი" შეზღუდვების გარეშე იმუშავებს.

7 ოქტომბერს "თელასის" ხელმძღვანელები **"ეცდებიან აფხაზები დაარწმუნონ"** და "ენგურჰესზე" დაწესებული შეზღუდვა გააუქმებინონ.

მთავრობა - სირაქლემას პოზაში

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია და მასზე ხელისუფლების "რეაგირების მასშტაბები", ანუ ის სირაქლემას პოზა, რომელიც ამ არჩევნების წინ მთავრობამ დაიჭირა, ქმნის იმის წინაპირობას, რომ მიუხედავად ნებისმიერი არჩევანისა, ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის შესაძლებლობა, დღეს არსებული ხელისუფლების წყალობით, მინიმუმამდე დავიდეს.

თამარ ხორბალაძე

გასულ კვირას სახელმწიფო კანცელარიაში უკვე გაახმოვანეს პროგნოზი იმასთან დაკავშირებით, რომ სსფ საქართველოს პროგრამას, საუკეთესო შემთხვევაში, მომავალი წლის აპრილიდან აღუდგენს.

თუმცა, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური პროცესები "საუკეთესო ვარიანტით" განვითარდეს.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 9 თვის გეგმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გაირღვა – 108,61 მილიონი ლარით. ეს სულაც არ არის გასაკვირი, მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანაში არჩევნებია. არჩევნების წელს კი, როგორც წესი, მთელი ფული სწორედ წინასაარჩევნო ბატალიების დასაფინანსებლად, ანუ კერძო პარტიულ თუ სახელისუფლებო ჯიბეებში მიდის. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ გარღვევის გამო ქვეყანაში ისევ დაიწყო სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაგროვება და არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ფინანსთა სამინისტრო ვერც თავად არჩევნების დაფინანსებას ახერხებს. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ფინანსთა სამინისტროს უზენაეს სასამართლოში უჩივის. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, სარჩელი უზენაეს სასამართლოში ორშაბათს შევა. შეგახსენებთ - 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად ცესკო-მ 6 მლნ ლარი უნდა მიიღოს, თუმცა, ჯერჯერობით, მთავარი საარჩევნო ორგანო მხოლოდ 200 ათასი ლარით არის დაფინანსებული. გარდა იმისა, რომ ბიუჯეტის შეუსრულებლობა ქვეყანაში სოციალური (და არა მხოლოდ) ხარჯების დაფინანსებას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, ეს, თავისთავად, სსფ-ს ერთ-ერთი მთავარი პირობის შეუსრულებლობასაც ნიშნავს.

ცალკე საკითხია 2004 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში გასულ კვირას აბსოლუტურად ფორმალურად შეიტანა. შეიტანა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყველამ კარგად უწყის, ბიუჯეტი თავიდან არის დასაწერი და სსფ-სთან მისი პარამეტრების შეთანხმებაც ჯერ კიდევ წინაა. სხვათა შორის, სწორედ ამის გამო, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ისედაც დაფინანსების გარეშე დარჩენილ პარლამენტში ამ პროექტის გადამრავლებისთვის თავი აღარ შეუწუხებიათ.

"24 საათი" უკვე გამცნობდათ იმის შესახებაც, რომ ასევე შეუსრულებელია სსფ-ს სხვა რამდენიმე პირობა (იქნება ეს ელექტროენერგიის გადასახადის ამოღების მაჩვენებელის გაზრდა თუ სამ მსხვილ საწარმოში აუდიტის ჩატარება და ა.შ.). ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ პირობების შესასრულებლად საქართველოს, გიორგი ისაკაძის ინფორმაციით, 12 ოქტომბრამდე აქვს ვადა მიცემული, ცხადი ხდება, რომ სიტუაცია მართლაც მძიმეა.

სხვათა შორის, გასულ კვირას ორმა სტრუქტურამ – ანტიკორუფციულმა საბჭომ და უშიშროების სამინისტრომ ერთმანეთის პარალელურად გაახმოვანეს კონტრაბანდასთან ბრძოლის შედეგები, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, "განსაკუთრებული მხილებები" ნამდვილად არ შედგა. მეტიც – უშიშროების მინისტრმა საზოგადოებას ისიც კი აუწყა, რომ მისი უწყების შიშით ნავთობპროდუქტების კონტრაბანდისტებმა ხელობას თავი დაანებეს და კანონისმორჩილ მოქალაქეებად იქცნენ. მან ასევე აღმოაჩინა, რომ 2000-3000 ტონა ნავთობპროდუქტების კონტრაბანდა ქვეყნისთვის პრობლემა არ გახლავთ, რითიც უდავოდ საკმაოდ გულუხვი ჟესტი გააკეთა "გაკანონისმორჩილებული" კონტრაბანდისტების მისამართით. ანტიკორუფციულმა კი პრეზიდენტს 17-კაციანი "შავი სია" წარუდგინა, თუმცა ამ სიაში, ძირითადად, უფრო შემსრულებლების გვარები გახლდათ, რომელთა ადგილს, სავარაუდოდ, წარმატებით ჩაანაცვლებენ ახალი "კრისტალურად სუფთა კადრები".

გასული კვირა ენერგოსიახლეებითაც გახლდათ დატვირთული – 1 ოქტომბერს "თბილგაზის" ახალმა მმართველმა ახალი კადრებიც დანიშნა და ბუნებრივ აირზე ფიქსირებული ტარიფის შემოღებაც მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ახალი მრიცხველების დადგმის აუცილებლობას გაუსვა ხაზი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობამ, რომელმაც ერთხელ უკვე დააფინანსა საკუთარი "გამრიცხველიანება", ამისთვის მეორედაც უნდა გადაიხადოს (რა მნიშვნელობა აქვს ერთჯერადად თუ განვადებით, ამით შედეგი არ იცვლება).

ცალკე საკითხია ქვეყნის ელექტრომომარაგებაში შექმნილი მდგომარეობა, რაც სტაბილურად მეტად მძიმეა და ცალკე საუბრის თემა გახლავთ, მით უმეტეს – ამ დღეებში შექმნილი კრიზისის პირობებში.

მოკლედ, არც გასული კვირა (და არც გასული 9 თვე) ქართული ეკონომიკის "წარმატებულ ზრდის ტემპებზე" და ეკონომიკურ აღმავლობაზე საუბრის საფუძველს არ იძლევა, თუმცა, ვეჭვობთ ამან საქართველოს პრეზიდენტს მსგავსი შეფასებების გაკეთებაში, თუნდაც დღევანდელ ტრადიციულ რადიოინტერვიუშიც, ხელი შეუშალოს.

პირის ჟანგში პირადის ბანკის ყველა ფილიალსა და ბანყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პირადის ბანკი ProCredit Bank

პირადის ბანკს მოაქვს შეკი!

ყოველი 21-ე, ჩომელის 15 დეკემბრამდე ბანკნის დებიტის პირადის ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქარად მიიღებს ბენეფიტის. დებიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის ბანყოფილება
0179 თბილისი
მცხეთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს ბანყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

საბჭოს ბანყოფილება
0112 თბილისი
თეატრის მოედანი 3/32
ტელ: (995 32) 98-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის ბანყოფილება
4600 ქუთაისი
წერეთლის ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის ბანყოფილება
2100 ზუგდიდი
თავისუფლების ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09; 7-50-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის ბანყოფილება
3000 მარნეული
როტოყაშვილის ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
marneuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვაჩნაძეთის ფილიალი
0182 თბილისი
კოჯრის ქ. მე-2 ჩიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს ბანყოფილება
0115 თბილისი
ვახტანგ გზაგლეხილი 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 83
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლეჟა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის ბანყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ზესტაფონის ბანყოფილება
6201 ზესტაფონი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 259) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

მოკლედ

თბილისი. თბილისელებმა მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური, ელექტროენერგიის საფასურთან ერთად, შეუძლია "თელასის" ბიზნეს-ცენტრებში გადაიხადონ. ს/ს "თბილგაზის" მმართველი "ახალი მენეჯმენტი" კომპანია "თელასთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა მისი ბიზნეს-ცენტრების მეშვეობით მომხმარებელმა ბუნებრივი აირის საფასური ორგანიზებულად დაფაროს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკის (JBIC) წარმომადგენლები. თბილისში ჩამოსული JBIC-ის წარმომადგენლები, ძირითადად, მათი მხარდაჭერით დაფინანსებული ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის მიმდინარეობით დაინტერესდებიან, რომლის განხორციელებაც ჭიანურდება.

იაპონელების მიერ გამოყოფილი 41 მლნ. დოლარის ოდენობის კრედიტიდან "ხრამი-2"-ის რეაბილიტაციისათვის 20 მლნ. დოლარზე მეტი გამოიყო, თუმცა ჰესის რეაბილიტაცია ჯერ ვერ ხორციელდება.

იტალია-იაპონიის ერთობლივმა ფირმამ "ANSALDO-MITSIU" კრედიტის სახსრებით სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო აპარატურა საქართველოში უკვე შემოიტანა. "ხრამი-2"-ის მმართველმა კომპანიამ "ეი-ი-ეს მტკვარმა" კრეტიდის გადასესხების ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, ამიტომ აპარატურა ამჟამად ინახება. "ხრამი-2"-ის ახალი მეპატრონე რუსული კომპანია "რაოესი" JBIC-ის წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს და პროექტის ბედის გარკვევას აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ზურაბ ნოღაიდელის ინფორმაციით, ადგილობრივი მართვის ორგანოები "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საქმიანობაში ვეღარ ჩაერევიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება. მისი თქმით, ამ საკითხს პრეზიდენტის განკარგულება დაარეგულირებს, რომელიც უახლოეს პერიოდში გამოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის რამაზ ხუროძის წინადადება წყლის რესურსების მარეგულირებელი კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ არასაკმარისად დასაბუთებულად მიიჩნია. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

ერაყი ნავთობის ექსპორტს ზრდის

მომავალ წელს ერაყი დასავლეთის ენერგეტიკულ ბაზარზე ნავთობის ექსპორტირებით 13 მილიარდი აშშ დოლარის მიღებას გეგმავს. ამის შესახებ გუშინ "ოპეკის" გენერალური მდივანი სხვადასხვა ტელეარხების საშუალებით იუწყებოდა. იგი ეყრდნობოდა ერაყის ფინანსთა მინისტრის კამელა ალ-კაილანის მიერ გაკეთებულ განცხადებას. მინისტრის თქმით, ერაყული ნავთობიდან შემოსული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მათი ქვეყნის რეკონსტრუქციას მოხმარდება. ერაყის რეკონსტრუქცია, დაახლოებით, 33 მილიარდ ამერიკულ დოლარს საჭიროებს. საკუთარ გამოსვლაში ალ-კაილანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყის რეაბილიტაციისთვის საჭირო დანარჩენ 20 მილიარდ დოლარს, დახმარების სახით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გამოყოფს.

ცოტა ხნით ადრე შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, ერაყში სამხედრო მოსამსახურეებისთვის და ქვეყნის აღსადგენად, კონგრესს დამატებით კიდევ 87 მილიარდი დოლარის დაფინანსება მოსთხოვა.

სამხრეთის საბადოებიდან ერაყი დღე-ღამეში, დაახლოებით, ერთი მილიონი ბარელის ნავთობის ექსპორტს ახორციელებს, თუმცა ბაღდადში ვარაუდობენ, რომ მომავალი წლის დაწყებამდე ექსპორტირებული ნავთობის წილი დღე-ღამეში 2,2 მილიონ ბარელამდე გაიზრდება.

"ფორდი" თანამშრომლებს ამცირებს

მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანია "ფორდს" საკუთარი თანამშრომლების თორმეტი მილიონით შემცირება მოუწევს. ამის შესახებ იუწყება "Wall Street Journal". კომპანიის საბუღალტრო განყოფილების "ფორდ ევროპას" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ის უარს აცხადებს ბელგიურ ქარხანაში გენკაში "ფოკუს" მოდელის წარმოებაზე. ეს კი 3 ათასამდე ადამიანს უმუშევარს დატოვებს. ხსენებული ქარხანა ორი ტიპის მანქანას - "ფოკუსი" და "მონდეოს" უშვებს. კონცერნის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ პირველი ტიპის მანქანის წარმოება შეწყვიტოს და მთელი ძალები ესპანეთისა და საფრანგეთის ქარხნებში გადაისროლოს. "ფორდის" თანამშრომლების მასიური დათხოვნა, გარკვეულწილად, კომპანიის სამომავლო გეგმებსაც უკავშირდება. "ფორდი" მომავალი წლისთვის დანახარჯების 2.5 მილიონი დოლარით შემცირებას აპირებს.

ცოტა ხნით უფრო ადრე "ფორდის" გერმანულმა განყოფილებამ განაცხადა, რომ კომპანია 1700 თანამშრომლის გათავისუფლებას აპირებს. **"უბრალოდ, ისინი პენსიაზე ადრე გავლენ"**, - აცხადებენ კომპანიაში. თანამშრომლების შემცირება იგეგმება "ფორდის" ამერიკულ ქარხნებშიც. გასულ სამშაბათს კომპანიის ხელმძღვანელობამ პროფკავშირებთან "United Auto Workers" გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია. პროფკავშირმა "ფორდს" დართო ნება, რომ კომპანიამ სამუშაო შტატების რაოდენობა შეამციროს, ან დახუროს რამდენიმე ქარხანა შტატებში. აქ "ფორდი", დაახლოებით, 3000 კაცის გათავისუფლებას აპირებს.

ორი სიტყვით

ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა რუსეთში 2006 წლისთვის შეჩერდება, ანუ მაშინ, როცა ელექტროენერგიის ბაზრის შედარებით ლიბერალიზაცია მოხდება. ამის შესახებ "რაო როსია"-ს მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ ანატოლი ჩუბაისმა გუშინ განაცხადა.

■ ■ ■

რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა ოლეგ ველიაშევმა გუშინ განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად ფედერალური ბიუჯეტიდან 3 მილიარდ 516 მილიონ 200 ათასი რუბლი გამოიყოფა. მისივე თქმით, გამოყოფილი თანხის 97 პროცენტი, რაც დაახლოებით 3 მილიარდ 400 მილიონი ლარია, მთლიანად რუსეთის ფედერაციის რეგიონებში წავა.

■ ■ ■

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მოხუცებულთა და ბავშვთა თავშესაფრებში საკვები პროდუქტების მიწოდება ოქტომბრის ბოლოს შეწყდება, რომლის აღდგენა მხოლოდ მომავალი წლის მარტში გახდება შესაძლებელი. ამის მიზეზია მსოფლიო სავაჭრო პროგრამაში საკვები პროდუქტების დეფიციტი.

დიდი ბრიტანეთის დედოფალი - „ალ-ქაიდას" შესაძლო სამიზნე

ბრიტანული გაზეთის "სანდი ტელეგრაფის" ცნობით, ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურმა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ალ-ქაიდამ", შესაძლოა, დედოფალ ელისაბედ მეორის წინააღმდეგ ტერაქტი განახორციელოს. დეკემბერში ელისაბედ მეორე ნიგერიაში გაემგზავრება, სადაც თანამეგობრობის წევრი ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა კონფერენციაა დაგეგმილი. ოფიციალურ ლონდონს დედოფლის უსაფრთხოება საკმაოდ აღელვებს. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ნიგერიაში ადგილობრივი სამართალდამცავების მხარდასაჭერად და დედოფლის დასაცავად ბრიტანეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და ანტიტერორისტული ქვედანაყოფიც გაემგზავროს. "სანდი ტელეგრაფს" დაზვერვის ინკოგნიტო წარმომადგენელმა განუცხადა, რომ დედოფალზე თავდასხმა ნიგერიაში ვიზიტის დროს სავსებით რეალურია. აფრიკის ამ სახელმწიფოში სამიტი 4 დეკემბერს გაიხსნება და ოთხ დღეს გასტანს. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ "სანდი ტელეგრაფის" ამ პუბლიკაციის კომენტირებაზე უარი განაცხადა.

რობინ კუკი: ბლერმა იცოდა, რომ სადამ რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდა

დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის რობინ კუკის განცხადებით, ტონი ბლერმა ერაყში ომის დაწყებამდე იცოდა, რომ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღის ამოქმედება 45 წუთში არ შეეძლო. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრი ბრიტანული დაზვერვის დოსიეზე დაყრდნობით ირწმუნებოდა, რომ თუკი ერაყის რეჟიმს არ დაამხობდნენ, სადამს მასობრივი განადგურების არსენალის ამოქმედება 45 წუთში შეეძლო.

ოფიციალური ლონდონი რობინ კუკის ამ განცხადებას აბსურდულს უწოდებს. კუკმა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ა.წ. მარტში დატოვა, რადგანაც ის კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას. მან თავისი დღიურების საფუძველზე გამოსცა წიგნი, რომელიც მთავრობაში გატარებულ წლებს შეეხება. ნაწყვეტები ამ წიგნიდან ყოველკვირეულმა გაზეთმა "სანდი ტაიმსმა" გამოაქვეყნა.

რობინ კუკი ამტკიცებს, რომ ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ტონი ბლერმა კერძო საუბარში აღიარა, რომ ერაყის იმჟამინდელ პრეზიდენტს სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნდა და, ამდენად, რეალურ საფრთხეს მისი რეჟიმი არ წარმოადგენდა. რობინ კუკი აცხადებს, რომ განიარაღების საკითხებში გაერო-ს ინსპექტირების მისიის შედეგების მიუხედავად, ბლერი ომის დაწყებისათვის ემზადებოდა.

მისი თქმით, მინისტრთა კაბინეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ერაყის კონფლიქტში ბრიტანეთის ჩართვას მხარს არ უჭერდა.

ორი სიტყვით

ჩუკოტკის გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა, რომელიც საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" მფლობელია, კომპანია "რუსული ალუმინის" აქციების 25 პროცენტი, ამავე კომპანიის მეთაურს ოლეგ დერიპასკას მიჰყიდა. ბრიტანული ყოვედღიური გაზეთის "Financial Times" მონაცემებით, დერიპასკამ ჩუკოტკის გუბერნატორს აქციებში ორი მილიარდი დოლარი გადაუხადა. ახლა დერიპასკას კომპანიის აქციების 75 პროცენტი აქვს. შეგახსენებთ, რომ ხსენებული კომპანია ალუმინის წარმოებით მეორეა მთელ მსოფლიოში.

■ ■ ■

შესაძლოა, ჩეხეთში ევრო 2009 წლამდე ადრე არ გამოჩნდეს. ამ დასკვნამდე ჩეხეთის ფინანსთა მინისტრი და ცენტრალური ბანკი მივიდნენ.

გუშინ ჩეჩნეთში ფარსი დაიდგა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მთავარი კანდიდატი კი, როგორც ვთქვით, აჰმად კადიროვი იყო. დანარჩენი ექვსი კანდიდატის მონაწილეობას მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა რომ ჰქონდა, ეს ყველასთვის ცნობილი იყო.

ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნებს თავად რუსეთის ფედერაციის ლიდერი ვლადიმირ პუტინი გამოეხმაურა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ეს ჩეჩნეთში პირველი საპრეზიდენტო არჩევნებია და მოსახლეობაც, შესაბამისად, ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ირჩევდა. ამდენად, პუტინმა ცალსახად დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ის ასლან მასხადოვს ჩეჩნეთის ლეგიტიმურ პრეზიდენტად არასდროს მოიაზრებდა. იჩქერიის პირველ პრეზიდენტზე გენერალ ჯოხარ დუდაევზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ხოლო, ის ფაქტი, რომ პუტინის წინამორბედმა ელცინის ხელისუფლებამ ასლან მასხადოვის ლეგიტიმურობა აღიარა, ყოფილ "კაგებეშნიკს" არც გახსენებია.

გუშინდელ არჩევნებს, დიდი ხანია, საერთაშორისო ორგანიზაციები ფარსს უწოდებდნენ. თავად აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც ამ მოვლენას სიცრუე უწოდა.

"არავინ ცდილობს თავის მოტყუებას, რომ მოსკოვის მიერ დასმული ხელისუფლების დაკანონების მცდელობა პატიოსან მეტოქეებს შორის გაკეთებულ არჩევანს წარმოადგენს," - იუწყება გუშინდელი "ნიუ-იორკ ტაიმსი."

"რა საჭიროა ხმის მიცემა? ყველაფერი ისედაც გადაწყვეტილია," - განუცხადა "ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტს 21 წლის ჩეჩენმა სტუდენტმა ჯაბრაილ ედილხანოვმა.

გაზეთის ცნობით, ანალიტიკოსები და უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ კადიროვის საარჩევნო ტაქტიკა ისეთივე მარტივია, როგორც მისი პროგრამა. **"ჩეჩნეთის საარჩევნო კამპანიაში ერთადერთი არგუმენტი – კალაშნიკოვის ავტომატია,"** - აცხადებს ადამიანის უფლებათა დამცველი ლევ პონომარიოვი.

"კრემლის კაცმა" ფარსი შვილებსაც აჩვენა.
REUTERS

ჯერ კიდევ სექტემბერში ადამიანის უფლებათა დამცველმა თორმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გააკეთა ერთობლივი განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლებს არ გააგზავნიდნენ. ამის მიზეზი კი ძალზე მარტივია. **"ეს არჩევნები არ არის. ეს ფარსია,"** - განაცხადა არასამთავრობოთა გაერთიანების პრეს-მდივანმა ლუდმილა ალექსეევამ. არც ერთ დასავლურ ორგანიზაციას "არჩევნებზე" დამკირვებლები არ გაუგზავნია.

უფლებათადამცველები და ჩეჩნეთის მოსახლეობა ერთხმად აცხადებდნენ, რომ კადიროვის პირადი არმია ოპოზიციას პირდაპირ ემუქრებოდა, ოპონენტებს იტაცებდა და მთელ რიგ სოფლებს შიშის ქვეშ ამყოფებდა.

"ამომრჩევლები შეშინებულნი არიან. მათ ეუბნებიან: თქვენ ხმა უნდა მისცეთ კადიროვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სოფელში წმენდა დაიწყება და ყველა ახალგაზრდა მოკვდება," - აცხადებს ლუდმილა პონომარიოვა.

გუშინ რომ არჩევნების მაგივრად ფარსი გაიმართებოდა, ეს ყველამ კარგად იცოდა. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ კადიროვის ადმინისტრაციის ბეჭდვის მინისტრმა ბესლან განტემიროვმა განაცხადა, რომ სამართლიანი არჩევნების პირობებში კადიროვი ამომრჩეველთა ხმების 3-5 პროცენტს მიიღებდა. განტემიროვი იმავე დღესვე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ამის შემდეგ კი, მოსკოვმა ყველა რეალური კონკურენტი, ვისაც კი "კრემლის კაცისათვის" ხმების რაღაც რაოდენობის წართმევა შეეძლო, კადიროვს სათითაოდ ჩამოაშორა. ზოგიერთმა მათგანმა, მაგალითად ასლანბეკ ასლახანოვმა "გზიდან ჩამოცილებისათვის" პუტინისაგან მაღალი თანამდებობაც მიიღო, დარჩენილ ექვს კანდიდატს კი, როგორც ვთქვით, სიმბოლური დატვირთვა ჰქონდათ და მეტი არაფერი.

მაშ ასე, ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამდე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში აჰმად კადიროვმა დიდი უპირატესობით "გაიმარჯვა." თუ რის გაკეთებას შეძლებს "კრემლის კაცი," რომელმაც ნდობის მანდატი "შეუპოვარ" საარჩევნო ბატალიებში მოიპოვა, ამასაც არ სჭირდება დიდი მიხვედრა. ჩეჩნეთის მოსახლეობა ახალი სისხლიანი ბრძოლების მოლოდინშია.

ილჰამ ალიევი იმარჯვებს, მაგრამ შემდეგ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუ პუტინის პოპულარობას ბევრი შემატა იმ ფაქტმა, რომ რუსებს კარგად ახსოვდათ, ვინ იყო მისი წინამორბედი, ილჰამი ყოველთვის დაზარალდება "ბაბასთან" შედარებით. როგორც აზერბაიჯანელები, ისე ის უცხოელები, რომლებიც ოჯახს კარგად იცნობენ, ერთხმად ამბობენ: შვილი, რომელსაც აზარტული მოთამაშისა და პლეიბოის იმიჯი უფრო აქვს, ვიდრე პოლიტიკოსის, მამასთან ახლოსაც ვერ მოვა.

პოპულარობა კი მემკვიდრეობით არ გადადის. მით უმეტეს, ელცინისაგან განსხვავებით, რომელმაც იმდენი შეძლო, რომ საკუთარი გადადგომის შესახებ თავად გამოაცხადა და პუტინსაც თავადვე დაუჭირა მხარი, აზერბაიჯანში ალიევის ეპოქის დასასრული ხალხს ტელედიქტორმა ამცნო.

უფროსი ალიევი აზერბაიჯანის ცკკპ-ის პირველ მდივნად 1969 წელს დაინიშნა. 1982 წელს იგი პოლიტბიუროს პირველი მუსულმანი წევრი გახდა, 1987 წელს გორბაჩოვმა პოლიტბიუროდან დაითხოვა, 1993-2003 წლებში კი აზერბაიჯანის პრეზიდენტი იყო.

ალიევის მთავარ დამსახურებად აზერბაიჯანში სტაბილურობის დამყარება, სომხეთთან ომის დასრულება და ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში დასავლეთიდან მილიარდობით დოლარის მოზიდვა ითვლება. თუმცა, რიგითი მოქალაქეების ცხოვრებაზე ეს წარმატებები ნაკლებად აისახა. მათ ისევე უჭირთ და ისევე უუფლებონი არიან, როგორც ალიევამდე იყვნენ.

მისი მემკვიდრე აცხადებს, რომ მამამისის პოლიტიკას გააგრძელებს. სხვათა შორის, ოპოზიციის ლიდერების - გამბარისა და მამედოვის ლოზუნგები ბევრი არაფრით განსხვავდება ალიევის ლოზუნგებისაგან: ორიენტაცია დასავლეთზე, სახელმწიფოსა და რელიგიის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, ნავთობკომპანიებთან თანამშრომლობის გაგრძელება – ის პრინციპებია, რომელთაც ყველა იზიარებს. მათთან ერთად საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობენ ისეთი საინტერესო სუბიექტები, როგორებიც არიან ხელისუფლების მომხრე პრეზიდენტობის კანდიდატები, რომლებიც კანონით მინიჭებულ საეთერო დროს იმისათვის იყენებენ, რომ დაამტკიცონ, რომ გამბარი არის "სომეხი", "თავისი ცოლის მაჩალკა" და "კაგებეს ყოფილი აგენტი".

სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ალიევს ამომრჩეველთა 58 პროცენტი უჭერს მხარს, გამბარს – 22. თუმცა, ამ მონაცემებს სანდოდ არავინ მიიჩნევს.

ალიევი წავიდა.

ალიევი მოდის.
REUTERS

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლის ანდრეას გროსის განცხადებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის არსებული შემადგენლობისა და თანამდებობის პირთა მხიდან კანონებისა და დემოკრატიული ნორმების აბსოლუტური იგნორირების ფონზე, ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება თითქმის შეუძლებელია.

აზერბაიჯანელები ამბობენ, რომ თითქმის გამორიცხულია, საქმე მეორე ტურამდე მივიდეს. "წესით და რიგით," ილჰამ ალიევმა პირველივე ტურში დიდი უპირატესობით უნდა გაიმარჯვოს. თუმცა, მთავარი მერე იწყება.

პირველი კითხვა, რომელსაც ექსპერტები სვამენ, არის ის, მოახერხებენ თუ არა ოპოზიციის ლიდერები არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ მასობრივი დემონსტრაციების ორგანიზებას. გამბარი და მამედოვი აცხადებენ, რომ ამას იოლად შეძლებენ, თუმცა, ჯერჯერობით, მათ წინასაარჩევნო მიტინგებზე რამდენიმე ათასი კაცი თუ გროვდება. ყოველ შემთხვევაში, თუ ალიევი იძულებული გახდა, ხალხის დასარბევად ძალა გამოიყენოს, ეს მის როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ლეგიტიმურობას დიდ დარტყმას მიაყენებს.

მეორე პრობლემას იმაში ხედავენ, რომ ილჰამ ალიევს საკუთარი გუნდი არ ჰყავს. ამდენად, იგი მამამისის ძველ თანამებრძოლებზე და ოჯახის დანარჩენ წევრებზე იქნება დამოკიდებული და თუ იგი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას მოინდომებს, შეიძლება, ხელისუფლება დაკარგოს. იგივე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესების გამო, კლანი გადაწყვეტს, დესტაბილიზაციის საფრთხის თავიდან აცილებისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ალიევი გაწიროს.

ამასობაში, ოპოზიციის ლიდერების ავტორიტეტიც ნელ-ნელა იზრდება. თუკი გამბარი, რომელსაც 1992-1993 წლებში პარლამენტის სპიკერის პოსტი ეკავა, ადრე ანარქიასთან და ქაოსთან ასოცირდებოდა, დღეს კონსტრუქციული პოლიტიკოსის იმიჯი შეიძინა. ახლახან მას მაღალ დონეზე უმასპინძილეს აშშ-სა და თურქეთში. ამბობენ, რომ მას აზერბაიჯანში მოღვაწე ბიზნესმენებიც კარგი თვალით უყურებენ.

აზერბაიჯანელები ამბობენ, რომ მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა. არჩევნები, რომლის ბედიც დიდი ხანია, გადაწყვეტილია, რეალურად ბევრს არაფერს მოიტანს.

ხაიფას ტერაქტისათვის ისრაელმა სირიის ტერიტორია დაბომბა

მორიგ ტერაქტს ცხრამეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

გუშინ ისრაელის სამხედრო ავიაციამ სირიის ტერიტორიაზე განლაგებული რადიკალური დაჯგუფება "ისლამური ჯიჰადის" ბაზაზე დარტყმები განახორციელა. თელ-ავივმა ამ ოპერაციის ჩატარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შაბათს ქალაქ ჰაიფაში რესტორან "მაქსიმში" პალესტინელმა კამიკაძე ქალმა თავი აიფეთქა და ცხრამეტი ადამიანის სიცოცხლეც იმსხვერპლა. მათ შორის ოთხი ბავშვი იყო. ორმოცდაათზე მეტმა ადამიანმა კი სხვადასხვა სახის ჭრილობები მიიღო. მასმედიის ცნობით, ტრაგედია იმ რესტორანში დატრიალდა, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ებრაული და არაბული ოჯახები ერთობლივად მართავდნენ..

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება "ისლამურმა ჯიჰადმა" აიღო. ცნობილი გახდა, რომ ტერაქტი ქალაქ ჯენინში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა განახორციელა, რომლის ძმაც ივნისში ებრაელმა სამხედროებმა სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

გუშინვე დილით, ისრაელის არმიის სპეცდაჯგუფებები ღაზას სექტორში შევიდნენ და რამდენიმე სამიზნეზე ავიადარტყმები განახორციელეს. სპეცოპერაცია ჩატარდა ქალაქ ჯენინშიც, სადაც ებრაელმა სამხედროებმა დაანგრიეს ის სახლი, რომელშიც კამიკაძის ოჯახი ცხოვრობდა. ჯენინში კომენდანტის საათია შემოღებული.

ისრაელის ხელისუფლება მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. მათ განაცხადეს, რომ "ისლამური ჯიჰადის" და "ჰამასის" ტერორისტების ძირითადი საწვრთნელი ბაზები სირიის ტერიტორიაზე, დამასკოსთან ახლოს მდებარეობს. გუშინვე, ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა სირიის ტერიტორიაზე დარტყმების განხორციელება გადაწყვიტა. სამხედრო ავიაციამ მიზანში ეინ საჰერის სწვრთნელი ბაზა ამოიღო და მასირებული იერიში მიიტანა. მსხვერპლის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

სირიის ხელისუფლებამ ისრაელის მიერ მისი ტერიტორიის დაბომბვის გამო აღშფოთება გამოხატა და განაცხადა, რომ დამასკო ამ საკითხს გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე აუცილებლად დააყენებს განსახილველად.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის თანაშემწემ, ტერაქტზე პასუხისმგებლობა პალესტინის ავტონომიის ხელისუფლებას დააკისრა, რომელმაც **"ტერორისტული ორგანიზაციების განიარაღება ვერ შეძლეს."**

თუმცა, თავის მხრივ, ტერაქტი დაგმო პალესტინის ადმინისტრაციამაც, კერძოდ, პრეზიდენტმა იასირ არაფატმა. პრემიერ-მინისტრმა აჰმედ კორეიმ კი პალესტინის შეიარაღებულ რადიკალურ დაჯგუფებებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ და ძალადობის შეჩერებისკენ მოუწოდა.

პალესტინის ადმინისტრაციის მოწოდებების მიუხედავად, უკვე აშკარაა, რომ ამ ტერაქტის შემდეგ ისრაელის ხელისუფლება იასირ არაფატის "მოშორების" მოთხოვნას კიდევ უფრო აქტიურად დააყენებს.

ამასთანავე, გუშინ ისრაელში იუდეველთა დღესასწაული – იომ ქიფური დაიწყო. ხელისუფლებამ ქვეყანაში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები შემოიღო. ისრაელში შესასვლელი გზები პალესტინური ტერიტორიებიდან მთლიანად ჩაკეტილია. იერუსალიმში, თელ-ავივში და სხვა ქალაქებში სამხედროების გაძლიერებული პატრული მოქმედებს.

REUTERS

„ყველგან მუქი ფერი სჭარბობდა... ალფრთოვანებული ვარ!"

გერმანელი ექიმები კონტრასტების ქვეყანაში

ერთობლივი კონსილიუმი.

გერმანელი ექიმები კრისტოფ ველინჰარდტი და გიუნტერ ვილჰელმი ქალაქ ბრაუნშვაის წმინდა ელიზაბეტის ორთოპედიული კლინიკის ქირურგები არიან, რომლებიც საქართველოში ჰუმანიტარული მისიით ჩამოვიდნენ. ისინი ოპერაციებსაც გააკეთებენ და ქართველ სპეციალისტებს ახალი მეთოდის დანერგვაშიც დაეხმარებიან.

ზაზა ფაჩუაშვილი

ორ კლინიკას შორის თანამშრომლობა სამი წლის წინათ დაიწყო, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით თავად ეროვნული სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელს მარინა ღუდუშაურსა და ორთოპედიული სამსახურის უფროსს მიხეილ ზიმლიცკის. ამ ხნის განმავლობაში ერთანეთთან მიმოსვლა და გამოცდილების გაზიარება ხდებოდა. შარშან გერმანიაში იმყოფებოდნენ ქართველი ორთოპედები ლევან ნაჭყებია და ზაზა აზმაიფარაშვილი. წელს ცენტრს გერმანელები ეწვივნენ. გიუნტერ ვილჰელმი საქართველოში პირველად ჩამოვიდა და აი მისი შთაბეჭდილებაც:

"თვითმფრინავიდან რომ ჩამოვედი, აეროპორტში სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი იმდენი შეიარაღებული ხალხი ვნახე, ცოტა შემეშინდა კიდეც. მერე ქალაქში გამოვედით და ყველგან მუქი ფერი სჭარბობდა. სახლებს რაღაც მიშენებები ჰქონდა და ყველაფერი ომისგან დანგრეული მეგონა. ხალხიც უმეტესად შავებით მოსილი დადიოდა. პირდაპირ გეტყვით, კარგ გუნებაზე ვერ დავდექი, მაგრამ ჩვენი კოლეგებისა და მეგობრების ოჯახში ვახშმის შემდეგ მივხვდი, რომ არც ისე ცუდადაა ყველაფერი, როგორც პირველად მომეჩვენა".

კრისტოფ ველინჰარდტი საქართველოში მეორედაა და თბილისური კონტრასტები აღარ გაკვირვებია, თუმცა ერთი დიდი სიურპრიზი, თურმე, მასაც ელოდა.

"აღფრთოვანებული ვარ თქვენი ეროვნული სამედიცინო ცენტრით. პირდაპირ გაოცებული დავრჩი იმით, რაც ვნახე. ბრწყინვალე საოპერაციოა. პოსტოპერაციული, სარეაბილიტაციო და ინტენსიური თერაპიის პალატები ძალიან მაღალი დონისაა. აპარატურა? – ზოგიერთი ისეთი ახალია, ჩვენც კი არა გვაქვს და ვინატრებდით შეძენას. ასეთ თანამედროვე ტექნიკას თუ დავუმატებთ ისეთ კვალიფიციურ სპეციალისტებს, როგორიც ცენტრს ჰყავს, უდავოდ დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული," – გვითხრა კრისტოფმა.

"ასე რომ, თქვენმა სტუმართმოყვარეობამ და ეროვნულმა ცენტრმა სრულიად შეცვალეს ჩემი მძიმე წარმოდგენები," – ჩაერთო გიუნტერი.

გერმანელებთან თანამშრომლობა რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. ამჯერად ჰუმანიტარული ხასიათის ოპერაციებთან ერთად ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მოხდება მუხლის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების დანერგვა. გამოყენებული იქნება ორი ცნობილი ფირმის – "სმის ენნეფიუსა" და "ჯენესის – 2-ს" პროტეზები.

ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გერმანელებთან ერთად ჩატარდება მუხლის ენდოპროტეზირების ორი ერთობლივი ოპერაცია მიხეილ ზიმლიცკისა და ლევან ნაჭყებიას მონაწილეობით, რომლებიც შემდეგ თავად იმუშავებენ ახალი მეთოდით. აღნიშნულის გარდა ერთობლივად გაკეთდება აგრეთვე მუხლის ართროსკოპია და ხერხემლის გამრუდების ოპერაცია ზაზა აზმაიფარაშვილის მონაწილეობით.

"ჩვენი თანამშრომლობა ამით არ ამოიწურება. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას იმის თაობაზეც, რომ გერმანელებმა ხელსაყრელ ფასებში მოგვაწოდონ პროტეზები და აღნიშნული ოპერაციების გარკვეული ნაწილი სახელმწიფო პროგრამაშიც ჩაჯდეს, რათა ჩვენი მოსახლეობისთვის შედარებით ხელმისაწვდომი გახდეს. მოგეხსენებათ, ეს ოპერაციები ჩვენი პირობების გათვალისწინებით ძალიან ძვირია," – გვითხრა მიხეილ ზიმლიცკიმ.

ამის შემდეგ დავინტერესდით და აღნიშნული ოპერაციების ფასები სტუმრებს ვკითხეთ.

აღმოჩნდა, რომ გერმანიაში მუხლის ენდოპროტეზირება 10 ათასი ევრო ღირს, ართროსკოპია – 2 ათასი ევრო, ხოლო სქოლიოზი – 15 ათასი ევრო.

24 საათი: - კი მაგრამ რა ემართებათ მათ, ვინც ამ ოპერაციებს ვერ იკეთებს?

კრისტოფ ველინჰარდტი: - ასეთი რამ გერმანიაში არ არსებობს, ოპერაციას ყველა იკეთებს, ვისაც სჭირდება, იმიტომ, რომ ფულს დაზღვევა იხდის.

კონტროლით შეურაცხყოფილნი

მშენებლობის სამინისტრო ქალაქის არქიტექტურის სამსახურებს ბერკეტებსართმევს

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო ახალ მშენებლობებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას იწყებს, რითაც არქიტექტურის საქალაქო სამსახურებს, გარკვეულწილად, უფლებები ეზღუდებათ. პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, ხუთ სართულზე მაღალი, ნებისმიერი სახის მშენებლობა, თავდაპირველად ხსენებულ სამინისტროსთან უნდა შეთანხმდეს. ახალი ნორმატიული აქტით ქალაქის არქიტექტორები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, სამშენებლო კომპანიები კი დამატებით არაოფიციალურ ხარჯებზე ალაპარაკდნენ.

ეთერ მამულაშვილი

დედაქალაქის ცენტრალურ და ისტორიულ ნაწილში ე.წ. უკანონო და ყოვლად უსახურ მშენებლობებს, წერტილი მხოლოდ მაშინ დაესმება, როცა სათანადო ბერკეტები მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გადაეცემა, - ასე ფიქრობენ სამინისტროში.

მოქმედი კანონმდებლობით ნებისმიერ მშენებლობაზე, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა, ძირითადი პასუხისმგებლობა ადგილობრივი არქიტექტურის სამსახურებს ეკისრებათ. შენობის არქიტექტურულ-გეგმარებითი პროექტი, თავდაპირველად ხსენებულ სამსახურებთან თანხმდება, სპეციალური ექსპერტიზის შემდეგ კი, მშენებლობის ნებართვას ქალაქის მთავარი არქიტექტურები გასცემენ. ცნობისათვის – პროექტის ექსპერტიზას ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო მხოლოდ იმ შემთხვევაში ატარებს, თუკი ხარჯთაღრიცხვა ხუთასი ათას ლარზე მეტია. დანარჩენ შემთხვევებში ამას სამინისტროს მიერ ლიცენზირებული, კერძო კომპანიები აკეთებენ.

მინისტრის მოადგილე გიორგი მირიანაშვილი ირწმუნება, რომ ძალიან ხშირად ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურად არის შემცირებული. **"ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ჩვენს სამინისტროს ყველაზე ნაკლებად შეუძლია ამ კუთხით სიტუაციის გაკონტროლება"**, - თავს იმართლებენ სამინისტროში.

პრეზიდენტის ზემოთ ხსენებული ბრძანებულების თანახმად, რომელიც ძალაში ორი დღის წინათ შევიდა, ნებისმიერი ტიპის ხუთ სართულზე მაღალი მშენებლობა, სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციის გარეშე ვერ დაიწყება. უფრო ზუსტად კი, ბრძანებულების პირველ პუნქტში ნათქვამია: **"თბილისის, ქვეყნის სხვა ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ... ხუთ სართულზე მაღალი საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსგან მიიღებენ სათანადო დასკვნას".**

სამინისტროში დარწმუნებულები არიან, რომ პრეზიდენტის ეს ბრძანებულება, მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ. **"ვფიქრობთ, ერთხელ და სამუდამოდ დამყარდება წესრიგი"**, - გვითხრა მირიანაშვილმა.

ამ ბრძანებულებას ადგილობრივი არქიტექტურის სამსახურები და მსხვილი სამშენებლო კომპანიები თავიდანვე აპროტესტებდნენ, ორივე სხვადასხვა მიზეზის გამო. პირველი ფიქრობს, რომ ხსენებული ნორმატიული აქტით, ფუნქციების დუბლირება ხდება და მათი კომპეტენცია ეჭვქვეშ დგება. **"რბილად, რომ ვთქვა, ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია და ჩემი სამსახურის დაკნინებად მიმაჩნია. მე თავს პროფესიონალად და გამოცდილ ადამიანად მივიჩნევ იმისთვის, რომ ჩემი კომპეტენციის ფარგლებში რაიმე გადაწყვეტილება მივიღო. თუ პრობლემა ისაა, რომ მე არ ვარ პროფესიონალი, მზად ვარ დღესვე დავწერო განცხადება და გადავდგე. არ შეიძლება ყველა მე მასწავლიდეს ჭკუას. გარდა მაგისა, არ შეიძლება არქიტექტურა სართულებით გაზომო, ისევე, როგორც ლექსის ხარისხს კუპლეტების რაოდენობით ვერ განსაზღვრავ"**, - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი როსტომაშვილმა.

სართულებით "გაზომილი" არქიტექტურა.

ბაქარ ბაკრაძის ფოტო

პრეზიდენტის ამ ბრძანებულებით არც სამშენებლო კომპანიები დარჩნენ მოხიბლულები. არქიტექტორებისგან განსხვავებით, ისინი დამატებითი ხარჯების გაღებაზე მიუთითებენ.

"ამით შეთანხმებელი ორგანოების გამრავლება ხდება, რაც ძალიან გაართულებს და შეაფერხებს ჩვენს საქმიანობას. გარდა ამისა, როგორც წესი, ნებისმიერი ახალი შეთანხმება გარკვეული დამატებითი თანხები გვიჯდება. რა თქმა უნდა, ეს არაოფიციალური გადასახადია, რის გარეშეც მშენებლობაზე თანხმობას, პრაქტიკულად, ვერ ვაღწევთ ხოლმე", - გვითხრა სამშენებლო კომპანია "არსის" ხელმძღვანელმა თორნიკე აბულაძემ.

ჩავალთ და ერაყიც აშენდება

ეთერ მამულაშვილი

ქართველი მშენებლები, შესაძლოა, მალე ერაყის სარეკონსტრუქციოდ, ანტიტერორისტული კოალიციის ქვეყნების მშენებელთა რამდენიმეათასკაციან ჯგუფს შეუერთდნენ.

ცნობილ ამერიკულ კომპანია "ბექტელს" რამდენიმე თვეა, ყოველ დღე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ასეულობით სამშენებლო ორგანიზაცია, მათ შორის ქართული კომპანიებიც უკავშირდებიან. "ბექტელისადმი" ასეთი ინტერესის საფუძველი, რამდენიმე თვის წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოსთან **(USAID)** გაფორმებული 680-მილიონიანი ხელშეკრულება გახდა. საკონტრაქტო დოკუმენტაციის თანახმად, ამერიკულ კომპანიას ერაყის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ევალება, რომლის შესრულებასაც "ბექტელი" ქვეკონტრაქტორების დახმარებით აპირებს.

მათ დასაქირავებლად ამერიკულმა კომპანიამ ზაფხულში ტენდერი გამოცხადა. გამარჯვებული კომპანიების გამოსავლენად "ბექტელმა" მათივე რეგისტრაცია ე.წ. ელექტრონული მეთოდით დაიწყო. ყოველი დაინტერესებული ორგანიზაცია შედის "ბექტელის" ვებგვერდზე **(www.bechtel.com)**, სადაც თავდაპირველად ეცნობა ტენდერის პირობებს და წერილობითი სახით, მაქსიმალურად ლაკონურად წარადგენს საკუთარ კომპანიას. მიწოდებულ ინფორმაციას "ბექტელი" საკუთარ წყაროებთან გადაამოწმებს და გამარჯვებულს აარჩევს.

უკანასკნელი მონაცემებით, რეგისტრაცია "ბექტელის" ვებგვერდზე ორიათასზე მეტმა კომპანიამ გაირა. ამერიკულმა კომპანიამ უკვე დაიქირავა 126 სუბკონტრაქტორი კომპანია ინგლისიდან, შვედეთიდან, ამერიკიდან და ა.შ. თუმცა, ტენდერი კვლავაც გრძელდება. უახლოეს დღეებში მთავარი კონტრაქტორის ვებგვერდზე ტენდერში მონაწილეთა გრძელ სიას ოცამდე ქართული სამშენებლო-საპროექტო კომპანიაც შეემატება. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ქართულ ორგანიზაციებს ტენდერში გამარჯვების და "ბექტელთან" ხელშეკრულების გაფორმების სერიოზული შანსები აქვთ. იმ სამშენებლო-საპროექტო კომპანიების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, რომელთაც ტენდერში მონაწილეობის რეკომენდაციას ხსენებული სამინისტრო აძლევს, მინისტრის მოადგილის, მერაბ ნიკოლაიშვილის რწმუნებით, საერთაშორისო სტანდარტებს სრულად შეესაბამისება. **"ერაყის რეაბილიტაციის პროცესში საქართველოს ჩართვას, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც მიესალმება და მხარდაჭერას გვპირდება. ამის შესახებ ჩვენ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ გვაცნობა"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრის დროს ნიკოლაიშვილმა.

"ბექტელის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქართული კომპანიების წარმატების შანსებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის ლევან მიქელაძის ინფორმაციაც მოწმობს. ელჩის მიერ უშიშროების საბჭოს მდივნის, თედო ჯაფარიძის სახელზე გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა: **"საელჩომ ჩაატარა წინასწარი კონსულტაციები შეერთებული შტატების მთარობასთან, რის საფუძველზეც მიიჩნევს, რომ საქართველოს, როგორც კოალიციის წევრ ქვეყანას, აქვს კარგი შანსი, მონაწილეობა მიიღოს ერაყის აღდგენის პროცესში. საელჩო მზად არის დაეხმაროს ქართულ კომპანიებს კონტრაქტორ ფირმებთან დაკავშირებაში".**

როგორც "24 საათმა" "ბექტელის" მედიასთან ურთიერთობის სამსახურისგან შეიტყო, რამდენიმე დღის წინათ, ერთ-ერთ ქართულ სამშენებლო ორგანიზაციას ოფიციალურად გამოუთქვამს ამერიკულ კომპანიასთან თანამშრომლობის სურვილი. შესაბამისად, მან უკვე რეგისტრაციაც გაიარა. დააკმაყოფილებს თუ არა ის "ბექტელის" მოთხოვნებს, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე გაირკვევა. "24 საათი" იმ რამდენიმე სამშენებლო კომპანიასაც დაუკავშირდა, ვინც მშენებლობის სამინისტროს სარეკომენდაციო სიაში მოხვდა. მათ ტენდერში გამარჯვების იმედს აძლევთ საკუთარი ხანგრძლივი გამოცდილება და წარსულში მიღწეული წარმატებები. თურმე, ნუ იტყვით და, ქართველი მშენებლების უშუალო მონაწილეობით აშენებულა უამრავი სხვადასხვა სახის ობიექტი ეგვიპტეში, სომხეთში, რუსეთში, ალჟირში, ავღანეთში, მონღოლეთში, ირანში, ვიეტნამსა და კუბაში.

სხვა სამყარო რომ დაინახონ

დღეისათვის ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში 15 მოზარდია. მათი უმრავლესობა აქ პირველად არ არის. ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ორგანიზაცია "ბავშვთა თანაბარი უფლებების" გამგეობის წევრი მარინე გეგელაშვილი უკვე რამდენიმე თვეა ამ მოზარდებთან მუშაობს. ქალთა კლუბი "პეონი" და "ბავშვთა თანაბარი უფლებები" ერთობლივად ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მყოფი მოზარდების ფსიქოკორექცია და შეძლებისდაგვარად, იმ ფასეულობათა სისტემის შეცვლა, რაც ამ მოზარდებს გააჩნიათ.

ვასილ გულეური

პროექტი ყოველგვარი დაფინანსების გარეშე ხორციელდება. თავდაპირველად, ქალთა კლუბი "პეონი" ქალთა კოლონიაში ახორციელებდა პატიმარი ქალების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას. "მერე გადავწყვიტეთ ბავშვებთანაც გვემუშავა, რადგან ქალები და ბავშვები ყველაზე დაუცველნი არიან, - ამბობს "პეონის" თავმჯდომარის მოადგილე ელისო ამირეჯიბი.

როგორც მარინე გეგელაშვილი აღნიშნავს, გაცილებით ეფექტურია დანაშაულის პრევენცია, ვიდრე შემდგომი ჩარევა: "პრევენცია ადრეული ბავშვობიდან უნდა დაიწყოს და ეს სერიოზულ ორგანიზებულ მუშაობას საჭიროებს – როგორც სკოლაში პედაგოგებთან, ასევე მშობლებთან და თვით ბავშვებთან, როგორც კი შეინიშნება ქცევის მოშლის გამოვლინება."

"უმნიშვნელოვანესია მათი რეაბილიტაცია ხელოვნების მეშვეობით. მათთან მუშაობს რეჟისორი დიმიტრი ოცხელი, რომელსაც მოაქვს სპეციალურად შერჩეული კინოფილმები. ეს მოზარდები არჩევანს მოკლებულნი არიან და არ ჰგონიათ, რომ სხვა სამყაროც არსებობს. გვსურს დავანახოთ ის, რასთანაც შეხება არ ჰქონიათ", – ამბობს ელისო ამირეჯიბი.

ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ არის გარკვეული რისკ-ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კრიმინალური ქცევის აღმოცენებას – გარემოს ზემოქმედება, ოჯახური მდგომარეობა, ნარკოტიკების მოხმარება. ხშირ შემთხვევაში მოზარდი დამნაშავე ხდება მასზე განხორციელებული ძალადობის შემდეგ. სწორედ ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობის აღმოფხვრა, მოზარდთა პრობლემებისადმი საზოგადოებისგან, უპირველესად სკოლისაგან ყურადღება, რადგან მოზარდის მიმართ გამოვლენილი ძალადობის ნებისმიერი ფორმა საზოგადოებას ბუმერანგივით უბრუნდება.

ამჟამად ორგანიზაციები ციხის პერსონალის მომზადებაზე მუშაობენ.

მზერა სხვა სამყაროსკენ.

ვასილ გულეური ფოტო

შეფასებების ფორუმი

გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ „საქართველოს მასწავლებელთა ფორუმზე – 2003" პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქვეყნის პრიორიტეტად განათლება დაასახელა და განათლების მინისტრის ალექსანდრე კარტოზიას მუშაობა დადებითად შეაფასა. ფორუმზე სიტყვით გამოსულმა პედაგოგებმაც და განათლების მინისტრმაც პრეზიდენტ შევარდნაძის საგარეო და საშინაო პოლიტიკა მოიწონეს და სწორედ მის დამსახურებად მიიჩნიეს ყველა წარმატება ამჟამინდელ საგანმანათლებლო სისტემაში. ფორუმი მასწავლებლის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

შეხვედრა, რომელსაც ორი ათასზე მეტი სტუმარი ესწრებოდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული პედაგოგების გამოსვლით დაიწყო. მათ მიმართვაში, ძირითადად, საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმის წარმატებებზე იყო საუბარი. თავად განათლების მინისტრი გაცილებით უფრო კრიტიკული იყო, თუმცა, იმედოვნებს, რომ ნებისმიერი პრობლემა საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმის განხორციელების შემთხვევაში დარეგულირდება.

„ჩვენ თანამიმდევრულად განვახორციელებთ იმ გეგმას, რომელიც დავისახეთ მიზნად და რომელიც საგანმანათლებლო სივრცეს ჭეშმარიტად განათლებულს გახდის", – თქვა მინისტრმა. **მედია-ნიუსი**

წითელი ვარდები სააკაშვილისაგან

მასწავლებლის დღე ქართველი პედაგოგების ერთმა ნაწილმა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერთან მიხეილ სააკაშვილთან ერთად აღნიშნა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გუშინ გრიბოედოვის თეატრში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ პედაგოგებს შეხვდა და განათლების სფეროში შექმნილ პრობლემებზე და ქვეყანაში არსებულ კორუფციაზე ესაუბრა.

სააკაშვილის თქმით, საქართველო ეროვნული კატასტროფის წინაშე დგას. მისი განცხადებით, 5 წლის შემდეგ ქართველი ახალგაზრდების 60 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იქნება, რასაც საფუძვლად მძიმე სოციალური ფონი უდევს.

"ჩვენი ამოცანაა, გადავარჩინოთ და განვავითაროთ განათლების სისტემა, რაც ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარი გახდება" - აღნიშნა სააკაშვილმა.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა არ უარყო, რომ დღევანდელი შეხვედრა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. "ჩვენ ყოველთვის გვახსოვს პედაგოგები, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ საარჩევნო კამპანია არის დემოკრატიის ფორმა. ვისაც არ სურს ამგვარი სახელმწიფოებრივი წყობა, ე.ი. სურს გახრწნილი და კორუმპირებული რეჟიმი" - აღნიშნა სააკაშვილმა.

შეხვედრის ბოლოს "ნაციონალების" ლიდერმა ქართველ პედაგოგებს წითელი ვარდები უსახსოვრა. **ინტერ-პრესი**

ჭიპაშვილი გვირჩევს ვეწვიოთ ჰონგ-კონგს

კლუბ "სარდაფში" გაიმართა მორიგი "აპოლიტიკური" შეხვედრა, რომლის სტუმარი იყო აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თბილისში ჰამლეტ ჭიპაშვილი. მან ძირათადად ისაუბრა საკუთარ მოღვაწეობაზე ამა თუ იმ სფეროში. მან განაცხადა, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი და ერთი რჩევაც მოგვცა: "თუ გინდათ 21-ე საუკუნის პარამეტრები ნახოთ, ჰონგკონგსა და სინგაპურს ეწვიეთო".

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა "აპოლიტიკური" იყო, საუბრის თემა ძირითადად პოლიტიკას ეხებოდა. "დღევანდელი პარლამენტი სპორტკომიტეტს მაგონებს, გვაკლია პროფესიონალი პოლიტიკოსები".

24 საათი

ორი სიტყვით

ქუთაისი. ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკას 130 წელი შეუსრულდა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები ამ საიუბილეო თარიღს 20 ოქტომბერს აღნიშნავენ. საიუბილეო დღეს გადაწყვეტილია, დაარსდეს XIX საუკუნეში გამოცემული წიგნების და გაზეთების მუზეუმი, რომელსაც ანტონ ლორთქიფანიძის სახელი მიენიჭება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

რუსთავი. ქალაქის 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები, პენსიონერთა აქციის გამო, რამდენიმე საათით შეყოვნდა. პენსიონერები გაყინული პენსიების დარიგებას ითხოვდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. 2-5 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამსვლელი სხდომა შავის ზღვის ეკოლოგიის პრობლემებზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თერჯოლა. სოფელ ეწერში ახალი მართლმადიდებლური ტაძარი ამოქმედდა. დღეს მარგვეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე ვახტანგმა ეწერის სამლოცველო აკურთხა და იქ პირველი წირვა ჩაატარა. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. გიგა გელაშვილი, რომლის ექსტრადიცია ისრაელიდან ახლახან განხორციელდა, თბილისის N5 საპყრობილეს 16 ოქტომბერს დატოვებს. გელაშვილის ადვოკატის ვახტანგ თალაკვაძის თქმით, პატიმარს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ რამდენიმე ბრალდება, მათ შორის - საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო წაყენებული, მოუხსნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ცხინვალი. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავების მიერ 26 ოქტომბერს ცხინვალში დაკავებული, რუსეთის ფედერაციის მწვრთნელის თავისუფალ ჭიდაობაში, ჯამბულად თედეევის ბედი გაურკვეველი რჩება. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავებმა თედეევი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დამნაშავეთა დაჯგუფების ჩამოყალიბების ბრალდებით დააკავეს, იგი ამჟამად, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში იმყოფება და წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით ჩვენებებს იძლევა.

ცხინვალის ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ჯამბულად თედეევი ცხინვალში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედვარდ კოკოითის მითითებით დააკავეს.

იმავე წყაროს ცნობით, კოკოითი ყოფილი თანამებრძოლის, შინაგან საქმეთა მინისტრის მურად თედეევის და უშიშროების საბჭოს მდივნის ალბერტ თედეევის უახლოესი ნათესავის, ჯამბულ თედეევის ცხინვალში გამოჩენას წონასწორობიდან გამოჰყავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თერჯოლა. თერჯოლის რაიონის სოფელ ახალ თერჯოლაში მცხოვრებმა, 1949 წელს დაბადებულმა გოდერძი ბუცხრიკიძემ რაიონის პოლიციას ფეთქებადი მასალა ჩააბარა. მან პოლიციაში ერთი ცალი "აკს"-ის სავაზნე 25 ცალი დამუხტული ვაზნით, ერთი ცალი "რგდ"-ს ტიპის ხელყუმბარა და ორი ცალი "ფ-1" ხელყუმბარა მიიტანა და განაცხადა, რომ საბრძოლო მასალები თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერში თევზსაშენის ტერიტორიაზე ნადირობის დროს იპოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიონის პროკურატურა მოკვლევას აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. არასაპატიმრო სასჯელაღსრულებასთან დაკავშირებით ქართველ იურისტებს საკუთარ გამოცდილებას ევროსაბჭოს ექსპერტი პენიტენციალურ სისტემაში მარტინ სედონი გაუზიარებს. იგი საქართველოს 11 ოქტომბერს ეწვევა.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, მარტინ სედონი საქართველოს 6 თვის განმავლობაში სამჯერ ეწვევა, ქვეყანაში არსებულ სიტუაციას შეისწავლის და ქართველ იურისტებს კონსულტაციებს გაუწევს. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, "არასაპატიმრო სასჯელაღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონში 2003 წლის 7 მაისს ცვლილებები შევიდა, რომლის საფუძველზეც, იუსტიციის სამინისტროში არასაპატიმრო სასჯელთაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტი შეიქმნა. დეპარტამენტი საქართველოში ამგვარ სასჯელაღსრულებასა და მათ ზედამხედველობაზე მუშაობს. აღნიშნულ დეპარტამენტში 60 პრობაციის ოფიცერი მუშაობს. არასაპატიმრო სასჯელებია: პირობითი სასჯელი, გამასწორებელი სამუშაოს შესრულება, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობა და სხვა. ამ დროისათვის საქართველში 5000-მდე პირია, რომელსაც არასაპატიმრო სასჯელი აქვს შეფარდებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. საქართველოს შს სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ საკუთარ სახლში წყალტუბოელი თენგიზ თუთბერიძე დააკავეს.

მას პირადი ჩხრეკის დროს, 25 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "ოპიუმი" აღმოაჩნდა. თუთბერიძე დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. წყალტუბოს პოლიციამ აღნიშნულის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. ვანის რაიონის პოლიციამ ლევან ოჩხიკიძე დააკავა, რომელსაც სამართალდამცველები დედის მკვლელობის გამო ეძებდნენ. ოჩხიკიძემ თავის მეუღლესთან ერთად, 23 სექტემბერს 78 წლის დედას - ზინაიდა ბოლქვაძეს სხეულის დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იგი იმ დღესვე გარდაიცვალა.

ლევან ოჩხიკიძემ აღიარა, რომ მან დანით მიაყენა მოხუც დედას სხეულის დაზიანება. მის მეუღლეს, აგრეთვე მკვლელობის ბრალდებით, პოლიცია ეძებს. გამოძიებას აწარმოებს ვანის რაიონის პროკურატურა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამოსამართლო სწავლების ცენტრი მედიისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობის გაღრმავებას ცდილობს. ცენტრის ორგანიზებით 17-20 ოქტომბერს ბაკურიანში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების და მედია-ჯგუფის შეხვედრა მოეწყობა, ხოლო 29-30 ოქტომბერს ლიკანში ევროპელ ექსპერტებთან ერთად, ჩატარდება სემინარი თემაზე: "მედიის და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობა".

გარდა ამისა, 29-30 ოქტომბერს ამავე ცენტრის ორგანიზებით, ევროპელი ექსპერტები ქართველი მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის და მედიის წარმომადგენლებისთვის ორდღიან სემინარს ჩაატარებენ, სადაც უცხოელი ექსპერტები ღონისძიების მონაწილეებს პრესისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობასთან დაკავშირებით, საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. **ინტერ-პრესი**

"საქართველოში კორუფცია გაიაფდა, სახელმწიფო მოხელეები შაურად იყიდებიან"

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბაჩო გელაშვილის ფოტო

"გვარებს, რომელთა დასახელებასაც ასე დაჟინებით მთხოვთ, სახელმწიფო სექტორში შეხვდებით".

- ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ამ ბიზნესის სათავეებთან საკმაოდ სერიოზული ძალები დგანან, სამართალდამცველთა კონტროლის დამყარება სფეროში, რომელსაც ასეთი მაღალი მფარველები ჰყავს, ცოტა რთული საქმეა.

- გულწრფელად გეუბნებით, პირადად ჩემთან იმპორტიორებიდან არავინ გამოსულა კონტაქტზე, არც მათი მაღალი მფარველები დამკავშირებიან. ასეთი რამ არ ყოფილა, რადგან მათ დაინახეს, რომ მივედით და თანაც - საკმაოდ სერიოზულად. თავდაპირველად იფიქრეს, რომ ორი კვირის შემდეგ წავალენ, ახლა თავს დაგვანებებენ, მობეზრდებათ და შეგვეშვებიანო, მაგრამ საბოლოოდ დაინახეს, რომ ასე მარტივად არ იყო საქმე. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ხელის შეშლა ბიზნესმენებიდან, მეწარმეებიდან და ამ სფეროში მოღვაწე არასახელმწიფო სექტორიდან გაცილებით ნაკლებია, ხელს გვიშლიდნენ სახელმწიფო სტრუქტურები. საერთოდ, ყველაფერი იხლართება სახელმწიფო სექტორში და პირდაპირ გეტყვით, რომ გვარებს, რომელთა დასახელებასაც ასე დაჟინებით მთხოვთ, სახელმწიფო სექტორში შეხვდებით. მათი მფარველობის გარეშე ქვეყანაში არაფერი ხდება. სიტუაცია ისე წავიდა და იმდენად საგანგაშოა, რომ კორუფცია გაიაფდა, ანუ, სახელმწიფო მოხელეები შაურად იყიდებიან. აი, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება. ასეთი გაიაფებული კორუფცია სტაგნაციის დასაწყისია. შაურზე გაყიდულ სახელმწიფო მოხელეს ოღონდაც რაღაც მიუგდონ და ძალზე კმაყოფილია, იმის იქით არაფერი აინტერესებს.

- და, რატომ ვერ გამოავლინეთ ეს შაურიანი სახელმწიფო მოხელეები?

- გეტყვით. ჩვენ მათი საქმიანობის შესახებ სოლიდური ინფორმაციები მოგვეპოვება, მაგრამ ამ ინფორმაციებს იურიდიული საფუძველი სჭირდება, რაც ძალზე რთული თემაა. სახელმწიფო მოხელეთა და მათთან გარიგებაში მყოფ პირთა გამოვლენა, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინებით, საქართველოში შეუძლებელია. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ეს გარიგება ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანია.

- ერთ თვეში ამ საქმიანობას თავს დაანებებთ, ანუ შედეგი, რომელიც დღეს გაქვთ, როგორ უნდა "დამაგრდეს", მით უმეტეს, როცა ამ ბიზნესის მფარველ სახელმწიფო მოხელეებზე საუბრობთ.

- ჩვენ მიერ მიღწეული შედეგიდან დაბლა ჩამოსვლა იმას ნიშნავს, რომ უნდა დადგეს იმ სტრუქტურების თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც მისი შენარჩუნება ევალებათ. ანუ, მათ მიერ გამოჩენილი ელემენტარული სამსახურებრივი გულგრილობის გამო თუ სახელმწიფოს მილიონობით ზარალი მიადგება, პასუხი უნდა აგებინონ ვინმეს. ამის გამო, თუ დაიჭერენ ერთ სახელმწიფო მოხელეს, მეორეს, მესამეს და ეს ტრადიცია დამკვიდრდება, ალბათ, გვეშველება რამე.

- ბატონო ვალერი, ბოლო პერიოდში უშიშროების სამინისტროს სახელთან კიდევ ერთი სკანდალი დაკავშირდა. საუბარია სამინისტროს მიერ დაკავებულ ესპანელ ბიზნესმენთა გატაცებაში ბრალდებულ ალან ბორჩაშვილზე, რომელიც ახლა გათავისუფლებულია. არადა, მისი დაკავება ძალზე პომპეზურად ამცნეთ საზოგადოებას.

- 2003 წლის ივნისში, ჩვენი მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა ესპანელი ფრანცისკო როდრიგეს კაბალა. მინდა გითხრათ, რომ ესპანელი ბიზნესმენების გატაცების საქმე, მართალია, ქვემდებარეობით ჩვენ არ გეკუთვნოდა, მაგრამ გარკვეული ოპერატიული მოსაზრებებით, პროკურატურიდან გამოვითხოვეთ, კარგა ხანი ვმუშაობდით, საკმაოდ სერიოზული მასალები მოვიპოვეთ. ჩამოვიყვანეთ ყოფილი მძევალი და ჩავატარეთ მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის - გამტაცებელთა ფოტოსურათებზე ამოცნობის პროცედურაც. მის მიერ ამოცნობილ გამტაცებელთა შორის, რომელთა ნაწილიც, სხვათა შორის, გარდაცვლილია, აღმოჩნდა ალან ბორჩაშვილი. ამის შემდეგ ჩავატარეთ ღონისძიება და ალან ბორჩაშვილი დავაკავეთ. შემდგომში ესპანელი ამოცნობაზე გავიყვანეთ და მან თქვა: ეს პიროვნება ძალიან ჰგავს ადამიანს, რომელიც მდარაჯობდა, მაგრამ ეს ის არ არისო. ჩატარდა დაკავებულის იდენტიფიკაცია და მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ ის მართლაც არ იყო გამტაცებელი, მივიღეთ კანონიერი პროცესუალური გადაწყვეტილება – ის გავათავისუფლეთ პატიმრობიდან. ჩვენი მონაცემებით, ესპანელთა დარაჯი - "კაკო"-ალენ ბორჩაშვილი - ჩვენ მიერ დაკავებული ბორჩაშვილის ბიძაშვილი უნდა იყოს.

მინდა გითხრათ, რომ ეს ნამდვილად არ იყო ჩვენი შეცდომა, შეცდა ამომცნობი და ჩვენ კანონით დადგენილ ფარგლებში ვიმოქმედეთ. ვერავინ იტყვის, რომ ალან ბორჩაშვილი უკანონოდ გვყავდა დაკავებული, მას სხვა დანაშაულები არ დაუმტკიცდა, ამიტომაც დადგენილი წესით, ბოდიში მოუხადეს და გაუშვეს. სხვათა შორის, ამ საქმეს ცოტა თუ გავყვებით, შესაძლოა ძალზე ბევრი ისეთი პირი გამოვლინდეს, ვისაც შეხება ჰქონდა ამ გატაცებასთან.

- თქვენ არაერთხელ თქვით, რომ ესპანელთა გატაცებაზე სამი ჯგუფი მუშაობდა - ინფორმაციის მიმწოდებელი, შემსრულებელი და შემნახავი ჯგუფი. ვრცელდება ინფორმაციები, რომ დაკავებულია კრიმინალთა დიდი ნაწილი, არადა, გარდა შოთა ჭიჭიაშვილისა, სხვა არც ერთი გამტაცებელი არ არის დაკავებული. რატომ ვერ მოახერხეთ დანარჩენების დაკავება?

- ჩვენ ძალიან ბევრი, ძალზე სერიოზული ინფორმაცია მოგვეპოვება, უამრავი რამ ვიცით, მაგრამ ამ მასალებს პროცესუალური დამაგრება სჭირდება და ვმუშაობთ ამაზე. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები იძებნებიან, მათთვის ცნობილია ეს და ამიტომაც შემიძლია თქმა, ესენი არიან: ალან ბორჩაშვილი, მუსლიმ ხანგოშვილი, თემურ ქავთარაშვილი, მამუკა ხუზარაული, მეწყვდ ჭიჭიაშვილი, რომელიც დაკავებულია. აი, ესენი არიან გამტაცებელთა ჯგუფის წევრები. ისინი იყვნენ შემსრულებლები და გარკვეული პერიოდი ტყვეების შემნახავის ფუნქციასაც ასრულებდნენ. სხვათა შორის, შენახვის საქმეში ჩეჩნებიც იყვნენ ჩართულნი, ბოლოს ტყვეების გადაყიდვა მოხდა და ისინი ჩეჩნურ-ქისტური ჯგუფის ხელში აღმოჩნდნენ. ესპანელ ბიზნესმენთა დახსნა, საბოლოოდ, ფულის მეშვეობით მოხდა. რაც შეეხება შემკვეთს, ესპანელების საქმეში შემკვეთის დასახელება ძალზე ძნელია, თუნდაც ოპერატიული თვალსაზრისით.

- "24 საათში" გამოქვეყნდა ესპანელთა ჩვენებები, მათ გატაცების ორგანიზატორად უშიშროების ყოფილი გენერალი ლევან კენჭაძე დაასახელეს. გავრცელებული ინფორმაციით, ამ გატაცებაში სხვა მაღალჩინოსნებიც იყვნენ ჩართულნი.

- ესპანელთა ეს განცხადება მათთვის მეევლუდ ჭიჭიაშვილის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, დასკვნები თქვენ გააკეთეთ.

- მთავარი ფიგურანტი - შოთა ჭიჭიაშვილი, კვლავ მოსკოვის საპყრობილეშია. რატომ არ ხერხდება მისი ექსტრადიცია? სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, მისი მფარველი ქართველი მაღალჩინოსნები ახლაც მოქმედებენ, რადგან ჭიჭიაშვილის საქართველოში ჩამოსვლა და ალაპარაკება მათ ხელს არ აძლევთ.

- არა, ეს გამორიცხულია. რუსეთის პროკურატურის ფორმალური პროცესის გამო ვერ ხერხდება მისი ექსტრადიცია, ჩემი ვიზიტის დროს რუსი კოლეგებისგან მივიღე პრინციპული თანხმობა მის გადმოცემაზე, მაგრამ როგორც გითხარით, არის გარკვეული პროცესუალური წინააღმდეგობები. ჭიჭიაშვილს რაღაც საქმეები იქაც გამოუძებნეს. თანაც ერთიცაა, ჩვენს ციხეებში არსებული პირობებიდან გამომდინარე, მისი ექსტრადიციის დაჩქარების აუცილებლობას მაინცდამაინც ვერ ვხედავ, მით უმეტეს, ჭიჭიაშვილი ის პიროვნებაა, ვისაც არ გაუჭირდება ჩვენი ციხის გატეხვა.

- რუსეთში თქვენი ვიზიტისას, რატომ არ შედგა თქვენი შეხვედრა ჭიჭიაშვილთან? არადა, თქვენ მის დაკითხვასაც გეგმავდით.

- მასთან შეხვედრაზე პირადად მე, ტაქტიკური მოსაზრებით განვაცხადე უარი, ყველაფერი გამზადებული იყო, მაგრამ ლეფორტოვოში წასვლა ბოლო მომენტში გადავიფიქრე. ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი.

- რუსული პრესა წერდა, რომ რუსეთის პროკურატურა ქართველ მინისტრს ევაჭრება, ჭიჭიაშვილში დაკავებულ ჩეჩნებს ითხოვსო.

- ასეთი საუბრები იყო, მაგრამ პირადად ჩემთან ვაჭრობა არ ყოფილა, თუმცა, ამასთან რომ არის დაკავშირებული ჭიჭიაშვილის გადმოცემის გაჭიანურება, ფაქტია.

- ბატონო ვალერი, დარწმუნებული ხართ, რომ ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიცია მოხდება და ის რეზონანსული გატაცების საქმეები, რომელთანაც ჭიჭიაშვილია დაკავშირებული, ლოგიკურად დასრულდება?

- არ მინდა ჭიჭიაშვილის იდიალიზება მოვახდინო, მაგრამ მისდამი, უფრო ზუსტად, ჭიჭიაშვილის საქმეებისადმი საოცარი სპორტული ჟინი მაქვს და ეს საქმე ბოლომდე მივა.

თუმცა, ვფიქრობ, რომ ყველაფერი მაინც დროის საკითხია, თანაც, თუ სხვა ნიუანსები არ გამოიკვეთება, რომელთა დაკონკრეტებასაც ახლა ნუ მომთხოვთ, ამ საქმეებს ლოგიკური დასასრული ექნება.

გალის რაიონში დაძაბულობაა

ბოლო დღეებში მნიშვნელოვნად გართულდა მდგომარეობა გალის რაიონის სოფლებში. შაბათ-კვირის მანძილზე მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით, ჭუბურხინჯში რიგგარეშე ოთხმხრივი შეხვედრის ჩატარებაც კი დაიგეგმა, თუმცა კი აფხაზური მხარის გამოუცხადებლობის გამო, დღეისთვის გადაიდო.

ქართველი სამართალდამცველები შაბათ-კვირას გალის რაიონის სხვადასხვა სოფლებში მომხდარ შემთხვევებს შორის გარკვეულ კავშირს ხედავენ.

შაბათს, გამთენიისას, გალის რაიონის სოფელ გაგიდას მოსახლეობას აფხაზ ბოევიკთა შეიარაღებული დაჯგუფება დაესხა თავს. თავდამსხმელებმა გადაწვეს რამდენიმე სახლი. გაჩენილ ხანძარს ემსხვერპლა გალის რაიონში მყოფი წალენჯიხელი, ვინმე კვარაცხელია. გარდა ამისა, აფხაზებმა ტყვედ აიყვანეს ბადრი ბარქაია და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

კვირას დილით კი, სოფელ დიხაზურგასა და საბერიოს შორის მომხდარი ორმხრივი სროლის შედეგად, აფხაზური საბაჟოს ორი თანამშრომელი და ერთი ქართველი ქალი დაიღუპა. ზუგდიდის პოლიციის ცნობით, მოკლული მებაჟეები - მამა-შვილი საიჩუკები ცოტა ხნის წინათ გადასახლდნენ აფხაზეთში და საბაჟოზე მუშაობდნენ. ქართული მხარის ვარაუდით, მებაჟეების "გაზ 24"-ის მარკის ავტომანქანას სწორედ იმ ბანდიტებმა გაუხსნეს ცეცხლი, რომლებმაც წინა დღით გაგიდაზე თავდასხმა მოაწყვეს. ცხადია, განსხვავებული აზრი აქვთ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცველებს. სეპარატისტების უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი გივი აგრბა აცხადებს, რომ ორი აფხაზი მესაზღვრე და ადგილობრივი მაცხოვრებელი ქალი ქართული დივერსიული ჯგუფის თავდასხმის შედეგად დაიღუპნენ. მეტიც, მისი თქმით, ორმხრივი სროლების შედეგად მოკლული იყო ასევე ორი თავდამსხმელი, რომელთა ცხედრებს ქართულ მხარეს უახლოეს დღეებში გადასცემენ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, ჯერჯერობით, მომხდარის გამო ისევ ქართული მოსახლეობა ზარალდება, რადგანაც აფხაზებმა ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ენგურის ხიდზე მოძრაობა გადაკეტეს და ქართველებს გალის რაიონში გადასვლა აუკრძალეს.

სასამართლო დარბაზიდან მაინც ვერ გაათავისუფლებენ

შარშან აგვისტოში, გირევის საგუშაგოსთან საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის დაკავებული 13 ჩეჩენი პატიმრიდან ერთ-ერთის - ხამზატ ისაევის პროცესი საოლქო სასამართლოში 8 ოქტომბერს განახლდება. სავარაუდოდ, სასამართლო კოლეგია საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს. ჩეჩენი პატიმრის ადვოკატის არჩილ ჩოფიკაშვილის თქმით, სასამართლომ გასულ მოსმენებზე განსახილველ საქმეებში ისაევისგან და სხვა ჩეჩნებისგან დაკავების დროს ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი უკანონო მტკიცებულებად სცნო.

ადვოკატის თქმით, დარჩა მხოლოდ საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდება. როგორც ჩოფიკაშვილმა განმარტა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა, თუკი პირი თავშესაფარს ითხოვს. მისივე თქმით, ისაევი სასამართლომ კიდევაც რომ გაამართლოს, იგი დარბაზიდან ვერ გათავისუფლდება, რადგან მას კიდევ ერთი დანაშაულისთვის გაასამართლებენ.

როგორც ცნობილია, ისაევისა და სხვა ჩეჩნების წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმე მაშინ აღიძრა, როცა თბილისის N5 საპყრობილეში 2002 წლის 4 ოქტომბერს, 5 ჩეჩენის რუსეთში ექსტრადირების დროს, მათ ბადრაგს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს.

ინტერ-პრესი

ეკოპოლიციის თანამშრომელი მანქანაში ჩაცხრილული იპოვეს

გორის რაიონის სოფელ ატენში დაუდგენელმა პირებმა საკუთარ ავტომანქანაში ეკოპოლიციის თანამშრომელი, 37 წლის ესტატე ჯიოშვილი მოკლეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული მრავალჯერადი ჭრილობებისაგან, ჯიოშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

გორის რაიონის პროკურორის რომან გვიშიანის განცხადებით, სამართალდამცავები ამჟამად რამდენიმე ვერსიაზე მუშაობენ. მისივე თქმით, არაა გამორიცხული მკვლელობა შურისძიებას, სამსახურებრივ საქმიანობას ან ბიზნეს-ინტერესებს უკავშირდებოდეს, რადგან ესტატე ჯიოშვილი მცირე ბიზნესითაც იყო დაკავებული - მას სოფელ ატენში ხის დამამუშავებელი საამქრო ჰქონდა.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ტყვიის მასრები და გულები. პროკურორი ვარაუდობს, რომ ისინი "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტისაა.

ამასთან, პროკურორის თქმით, გამოძიებას სხვა მნიშვნელოვანი ხელჩასაჭიდი დეტალებიც აქვს. ცნობილი გახდა, რომ გამთენიისას, დაახლოებით ოთხ საათზე, ჯიოშვილის მობილურ ტელეფონზე ჯერ-ჯერობით დაუდგენელმა პირმა დარეკა, რის შემდეგ იგი სახლიდან საკუთარი ავტომანქანით გავიდა, ნახევარი საათის შემდეგ კი მოკლული იპოვეს. დაფიქსირებულია ტელეფონის ნომრებიც.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლითაა აღძრული. პროკურორი იმედოვნებს, რომ მომხდარი დანაშაული მალე გაიხსნება.

პრაიმ-ნიუსი

მოიკლა თუ არა „სამხრეთ ოსეთის" სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილმა უფროსმა თავი

თამარ კაკიტაძე

კოკოითის ხელისუფლებისთვის არასასურველი პიროვნება - ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი ალან ძიგოევი, რომლის მოშორებაც ცხინვალის და საქართველოს ხელისუფლებისთვის ერთნაირად სასურველი იყო, დღეს ცოცხალი აღარ არის.

რამდენიმე თვის წინ მუხრან ბაგრატიონის შვილის – თეონა ბაგრატიონის გატაცებისთვის დაპატიმრებული ალან ძიგოევი ორი დღის წინ №5 საპყრობილის №18 იზოლირებულ საკანში მკვდარი იპოვეს. სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობის დასკვნით, რაც გვამის გარეგნულ დათვალიერებას ეყრდნობა, ძიგოევმა თავი მოიკლა. გარდაცვლილის საკნის თვითმხილველთა თქმით, პატიმარმა საწოლზე მიბმული სპორტული ტანსაცმლის ზონარით ჩამოიხრჩო თავი. თუმცა, გამოძიებას, რომელსაც სასჯელაღსრულებით დაწესებულებაზე ზედამხედველობის პროკურატურა აწარმოებს, ძიგოევის გარდაცვალებისთვის საბოლოო სახელი ჯერაც არ დაურქმევია. საპყრობილეში მკვლელეობა მოხდა თუ თვითმკვლელობა, გამოძიება მას შემდეგ ისაუბრებს, როცა ძიგოევის გვამზე ჩარატებული ექსპეტიზა დასკვნას გააფორმებს. გამომძიებელ სურენ ბარიგიანის თქმით, გვამს გარეგნული დათვალიერებით გადასერილი ყელი და ორივე ხელზე გადაჭრილი ვენები აღენიშნება.

"აღნიშნული ტრამვები ძიგოევს სიკვდილამდე აქვს მიყენებული თუ სიკვდილის შემდეგ, ამაზე პასუხი ექსპერტიზამ უნდა გაგვცეს. ამასთან, ექსპერტიზისგან ველოდებით პასუხს იმაზეც, იმყოფებოდა თუ არა ძიგოევი ნარკოტიკული, ალკოჰოლური ან რაიმე სხვა ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ," – ამბობს ბარიგიანი.

მართალია, გამოძიება გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში რეალურ სახელს დაარქმევს ძიგოევის გარდაცვალების ფაქტს, მაგრამ ძნელი სათქმელია, იტყვის თუ არა პროკურატურა პატიმრის თვითმკვლელობის, თვითმკვლელობამდე მიყვანის თუ მკვლელობის რეალურ მიზეზს. არადა, ალან ძიგოევის პიროვნებიდან გამომდინარე, რასაც ქართველი სამართალდამცველები დაკავების დღიდან ნაკლებად ახმოვანებენ, არ არის გამორიცხული, რომ საქმე უფრო დიდ პოლიტიკასთან გვქონდეს, ვიდრე ერთი მორიგი პატიმრის თვითმკვლელობაა.

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ქართველი სამართალდამცველები თეონა ბაგრატიონის გატაცების საქმეზე ქართული-ოსურ დაჯგუფებას დაპატიმრებდნენ, მთავრობის ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე უშიშროების მინისტრმა საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა. აფხაზეთის კრიმინალებზე საუბრის შემდეგ ვალერი ხაბურძანია ე.წ. სამხრეთ ოსეთის იმ კრიმინალურ დაჯგუფებების ხელმძღვანელებსაც შეეხო, რომლებიც ცხინვალის ოფიციალური სტრუქტურებში საკმაოდ მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდნენ. სწორედ აღნიშნულ მთავრობის სხდომაზე გაიჟღერა პირველად ძმები ძიგოევების გვარმა, რომლებსაც "ძიკებადაც" მოიხსენიებენ. ერთ-ერთი ძმა - ალან ძიგოევი იმ პერიოდში ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური იყო, მეორე ძმა კი უშიშროების საბჭოს თავჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა. სხვათა შორის, მაშინ ხაბურძანიამ საქართველოს ხელისუფლება ქართული მხარის მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან მოსალოდნელი ექსტრემიზმის, ტერორიზმის და კრიმინოგენული მდგომარეობის "ექსპორტზეც" გააფრთხილა და მათ ორგანიზატორებში სწორედ ძმებ ძიგოევებს გულისხმობდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, "ძიკების" შიში და მათი მოშორების სურვილი მარტო ქართული მხარის ინტერესებში არ შეფიდოდა. უშიშროების მინისტრის გამოსვლიდან რამდენიმე თვეში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში გადატრიალების მცდელობა მოხდა. ცხინვალის ხელისუფლების ინფორმაციით, იგი ე.წ. სამხრეთ ოსეთში პრეზიდენტ კოკოითის წინააღმდეგ მომხდარი შეთქმულება სწორედ ძმები ძიგოევების ორგანიზებით დაიწყო. მაგრამ, კოკოითმა მაშინ ყველა მოწინააღმდეგის "დაამარცხება" შეძლო, რომელთა უმრავლესობა ციხეში აღმოჩნდა, ნაწილმა კი თავს გაქცევით უშველა. გაქცეულთა შორის იყო ალან ძიგოევიც, რომელმაც დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. როგორც ამბობენ, მას საქართველოში საკმაოდ გავლენიან პირებთან ჰქონდა კონტაქტები, მაგრამ აქ, შესაძლოა უკვე დიდმა პოლიტიკამ გადასძლია და ცხინვალის ხელისუფლებისთვის არასასურველი პიროვნება, გადატრიალებიდან ორიოდ კვირაში, ქართველმა სამართალდამცველებმა სამეგრელოში სხვა ოს კრიმინალებთან ერთად დააპატიმრეს.

თავდაპირველად თეონა ბაგრატიონის გატაცებისთვის დაპატიმრებული ალან ძიგოევი, სასურველი "ნადავლი" აღმოჩნდა ქართველი სამართალდამცველებისთვისაც, რადგან მის სახელს დაუკავშირდა მანამდე გაუხსნელი მნიშვნელოვანი დანაშაულები. ძიგოევის და ოსური ჯგუფის დაკავებისთანავე შინაგან საქმეთა მინისტრმა სასწრაფოდ გაავრცელა იმ დანაშაულთა ვრცელი სია, რაშიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცდანიშნულების მცდელობა მოხდა. ცხინვალის ხელისუფლების ინფორმაციით, იგი ე.წ. სამხრეთ ოსეთში პრეზიდენტ კოკოითის წინააღმდეგ მომხდარი შეთქმულება სწორედ ძმები ძიგოევების ორგანიზებით დაიწყო. მაგრამ, კოკოითმა მაშინ ყველა მოწინააღმდეგის "დაამარცხება" შეძლო, რომელთა უმრავლესობა ციხეში აღმოჩნდა, ნაწილმა კი თავს გაქცევით უშველა. გაქცეულთა შორის იყო ალან ძიგოევიც, რომელმაც დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. როგორც ამბობენ, მას საქართველოში საკმაოდ გავლენიან პირებთან ჰქონდა კონტაქტები, მაგრამ აქ, შესაძლოა უკვე დიდმა პოლიტიკამ გადასძლია და ცხინვალის ხელისუფლებისთვის არასასურველი პიროვნება, გადატრიალებიდან ორიოდ კვირაში, ქართველმა სამართალდამცველებმა სამეგრელოში სხვა ოს კრიმინალებთან ერთად დააპატიმრეს.

თავდაპირველად თეონა ბაგრატიონის გატაცებისთვის დაპატიმრებული ალან ძიგოევი, სასურველი "ნადავლი" აღმოჩნდა ქართველი სამართალდამცველებისთვისაც, რადგან მის სახელს დაუკავშირდა მანამდე გაუხსნელი მნიშვნელოვანი დანაშაულები. ძიგოევის და ოსური ჯგუფის დაკავებისთანავე შინაგან საქმეთა მინისტრმა სასწრაფოდ გაავრცელა იმ დანაშაულთა ვრცელი სია, რაშიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური და მისი მეგობრები იყვნენ ეჭვმიტანილები. თეონა ბაგრატიონის გატაცება, ერედვის საგუშაგოზე პოლიციელ უშანგი ცოტნიაშვილის მკვლელობა, ასევე პოლიციელ წოწორიას მკვლელობა, გიორგი და ალექსანდრე ხაჭიურების გატაცება, აკაკი ჭოველიძის ავტომობილის გატაცება, სავარაუდოდ, ზურაბ დურგლიშვილის და მარია გოგინაშილის გატაცება და სხვა – ეს იმ დანაშაულების შემოკლებული სიაა, რაზეც კობა ნარჩემაშილი ძიგოევის დაპატიმრების დღეებშივე საუბრობდა. თუმცა, მოგვიანებით გენერალურმა პროკურატურამ, სადაც ბაგრატიონის გატაცების საქმეს იძიებენ, ძიგოევის საქმე ცხინვალის გზაზე მომხდარი იოსებაშილის მკვლელობითაც "გაამდიდრა".

იყო თუ არა ძიგოევი ნამდვილად ზემოდ ჩამოთვლილი დანაშაულების ავტორი, რეალურად ვეღარასოდეს დადგინდება, რადგან მთავარი დამნაშავე უკვე მკვდარია. ამიტომ, დღეს უფრო მნიშვნელოვანია მისი გარდაცვალების მიზეზი, რაზეც რამდენიმე ვერსია უკვე გავრცელდა.

ერთ

კარგი მმართველობის კონცეფცია

არჩევნების მოახლოებასთან ერთად თვალსაჩინო ხდება საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების კრიზისი. იგი ქვეყანაში არსებული საერთო მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამიტომ, პირველ რიგში, ამ სფეროში არსებული მახინჯი მხარეებია წარმოსაჩენი, შემდეგ კი მათი გამოსწორების გზებია გასარკვევი.

ლევან იზორია

უპასუხისმგებლობა პოლიტიკურ ცხოვრებაში

ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მოქმედი სუბიექტი ხელისუფლებაა. აქედან გამომდინარე, უწინარესად ხელისუფლება არის პოლიტიკური ცხოვრების სიმახინჯეზე პასუხისმგებელი. საქართველოში ხელისუფლების უპასუხისმგებლობა განსაკუთრებით სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ასპექტშია შესამჩნევი. ხელისუფლება პასუხს არ აგებს კანონის დარღვევისთვის. შესაბამისად, მის მიერ დამკვიდრებული პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე მახინჯი მხარე სწორედ უპასუხისმგებლობასა და დაუსჯელობაში ვლინდება. ეს ელემენტები თანდათან პოლიტიკური ცხოვრების სხვა სუბიექტების - პოლიტიკური პარტიების მოქმედების წესი ხდება.

წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტების უპასუხისმგებლობა მოქმედება განსაკუთრებით თავს იჩენს პარტიული კაპიტალის დაგროვებისა და არჩევნებში ხმების მოპოვების ტაქტიკაში. ქვეყანაში არ არსებობს პარტიული ფულის წარმომავლობისა და მისი ხარჯვის კონტროლი. სამაგიეროდ, ყალიბდება არჩევნების გაყალბების, სავაჭრო გარიგებების, ანუ ზოგადად პარტიული კორუფციის ტრადიციები.

სამართლებრივი სახელმწიფოს ნაცვლად სახეზეა კორუფციული სახელმწიფოს ნიშნები. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ყალიბდება ქვეყანაში დამკვიდრებული კორუფციული წესრიგის საფუძველზე. წინასაარჩევნოდ აღნიშნული წესრიგის ლოგიკა ითხოვს რაც შეიძლება მეტი კაპიტალის მოხვეჭას, არჩევნების მანიპულაციას და გაჭირვებული მოსახლეობის მოსყიდვას.

საქართველოში დამკვიდრებული უპასუხისმგებლო პოლიტიკური ცხოვრების სტილი უარყოფით როლს თამაშობს ზოგადად დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისა და კერძოდ პარტიების განვითარების საქმეში. ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი პოლიტიკურში, მკვიდრდება სამართლის გვერდზე ავლით კერძო ინტერესების განხორციელების პრინციპი. პარტიებს შორის იქმნება არაჯანსაღი პოლიტიკური კონკურენცია, აგრესია, ხელისუფლებაში ყოველგვარი გზით მოსვლის სურვილი. ეს ფაქტორები განსაკუთრებით არჩევნების წინ ხდება ნათელი.

არჩევნების გაყალბებისა და პარტიული კორუფციის პარალელურად აშკარა ხდება ასევე პოპულიზმის ტენდენციები. მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა წინასაარჩევნო კამპანიაში აქცენტს აკეთებს ისეთი სოციალური ხასიათის პრობლემების გადაჭრაზე, როგორიცაა პენსიების გაცემა, ელექტროენერგიაზე ტარიფის დაკლება და სხვ. ხშირად ეს მხოლოდ დაპირებად რჩება, უკეთეს შემთხვევაში კი ამ ამოცანების განხორციელება მოკლევადიანი პროგრამის ხასიათს ატარებს. იშვიათია ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი გრძელვადიანი კონცეფციები.

გრძელვადიანი პროგრამა

ზემოთაღნიშნული ტენდენციები იმდენად საშიშია, რომ მისმა განმტკიცებამ შეიძლება საერთოდ კითხვის ქვეშ დააყენოს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება საქართველოში.

პარტიული ფულის უკონტროლო მომოქცევით, შესაძლოა, არჩევნები იქცეს საქართველოში მუდმივი გაყალბების, კორუფციისა და მოტყუების საფუძველი. ასეთ პირობებში ფინანსურად ძლიერებს ყოველთვის ექნებათ მოსახლეობის გაჭირვებაში შენარჩუნებისა და მათზე მატერიალური საშუალებით ზემოქმედების სურვილი.

წინასაარჩევნოდ მოკლევადიან პერსპექტივაში გათვლილი პარტიული დაპირებები და პოპულიზმი მხოლოდ არჩევნებში ხმების მოსაპოვებლად არის გათვლილი, ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით კი, განწირული.

ასეთი ტენდენციების საფუძველზე, პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული ხარვეზების გამოსწორება პრაქტიკულად შეუძლებელია. არჩევნები დაემსგავსება დიდ პოლიტიკურ სცენას, სადაც პოლიტიკოსი მსახიობები მაყურებლის გულის მოსაგებად ერთმანეთს საჩუქრების დარიგებასა და მასხარაობაში შეეჯიბრებიან. არჩევნების შემდეგ კი სცენა დაეთმობა ნაცნობ, მოსაბეზრებელ სპექტაკლს, მხოლოდ მთავარი როლების ახალი შემსრულებლებით.

საქართველოში ზოგადად დემოკრატიის განვითარებისა და კერძოდ სამართლიანი არჩევნების ჩატარების წინაპირობა პოლიტიკურ ცხოვრებაში პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებაა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია სამართლის როლი. სამართლის დაცვის მოვალეობა კი ხელისუფლებას აკისრია. მის გარეშე იგი უმოქმედო და უსუსურია.

ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარტიის იმ კონცეფციას, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას ქვეყნის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას დაუკავშირებს. ეს სტრატეგია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისკენ უნდა იყოს მიმართული. დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ სახელმწიფოში, სადაც რეალურად მოქმედებს სამართლისა და კანონის უზენაესობის პრინციპი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იარსებებს დეფექტური, მოჩვენებითი დემოკრატიის ფორმები.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის აღნიშნული სახის გძელვადიანი პროგრამის განხორციელების აუცილებლობაზე მსოფლიო გამოცდილება მეტყველებს. ლათინური ამერიკის ქვეყნებში დემოკრატიის მშენებლობის 20 წლიანმა უშედეგო მცდელობამ ცხადყო, რომ დემოკრატიისთვის და ეკონომიკური აღმავლობისთვის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი აღნიშნულ ქვეყნებში სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუტების უსუსურობაა. საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი არჩევნების მიუხედავად, კორუფციის მაშტაბები, კლიენტელიზმი, დაუსჯელობა, ხელისუფლების ფაქტობრივი დაუნაწილებლობა არის ლათინური ამერიკის ქვეყნებში რეალობის ის ძირითადი მოვლენები, რაც აფერხებს და წრეში აქცევს განვითარებას.

დემოკრატიის მშენებლობის 10 წლიანი გამოცდილებით მძიმე სიტუაციაა საქართველოში. სამართლებრივი სახელმწიფოს არარსებობა ასამარებს აღმშენებლობის პერსპექტივებს. დღეს, არჩევნების წინ, საქართველოში აუცილებელია ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით ისეთი პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გრძელვადიანი პროგრამის განხორციელებაზე იქნება ორიენტირებული. საინტერესოა, აღნიშნული პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები.

კარგი მმართველობა

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება მხოლოდ კარგი მმართველობის პირობებშია შესაძლებელი. კარგი მმართველობა გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ ნებას, რომლის ამოსავალი პრინციპია, ხელისუფლება არა საკუთარი ძალაუფლებისთვის, არამედ მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

კარგი მმართველობისთვის საზოგადო ინტერესები, როგორც სამოქმედო პრინციპი, ნიშნავს თითოეული მოქალაქისთვის განვითარების თანაბარი პირობების უზრუნველყოფას. იგი გამორიცხავს ცალკეული პიროვნების თუ პირთა ჯგუფის მიმართ გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას, ნაცნობობის, მეგობრობის ან ნათესაობის მიხედვით.

ეკონომიკურ ასპექტში ეს ნიშნავს თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისით, კარგი მმართველობის დოქტრინა მკვეთრად უპირისპირდება კერძო ინტერესების საფუძველზე მოქმედებას. ძალაუფლება მისთვის არ წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის მოხვეჭის, სტრატეგიული რესურსების ხელში ჩაგდების წყაროს. იგი კრძალავს მონოპოლიის ყოველგვარ გამოვლინებას და თავისუფალი კონკურენციისთვის ხელს უწყობს ბაზრის რაციონალურ რეგულირებას.

ასეთ პირობებში ფართო ასპარეზი ეძლევა ადამიანის ნიჭისა და უნარის გამოვლინებას, საბოლოო ჯამში კი, განვითარებას.

კარგი მმართველობის ჩამოყალიბება მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი. ორივე მათგანი ურთიერთგანპირობებული კატეგორიაა. შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არის მიზანი, ხოლო კარგი მმართველობა - მისი განხორციელების საშუალება.

სამართლის დაცვა, ანუ თვითშეზღუდვა კარგი მმართველობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმია. როგორც მორალური პრინციპები კარგავენ ამორალური პიროვნების საქციელში თავიანთ მნიშვნელობას, ისე სამართალი კარგავს ცუდი მმართველობის პირობებში საკუთარ დანიშნულებას.

სამართლის განხორციელება მხოლოდ ხელისუფლების თვითშეზღუდვით და პასუხისმგებლობით შეიძლება. მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შესწევს უნარი კორუფციული წესრიგის ასალაგმად და მართლწესრიგის დასამყარებლად. საბოლოო ჯამში, იგი უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პასუხისმგებლობის კულტურის დამკვიდრებასა და საერთოდ დემოკრატიის განვითარების შესაძლებლობას.

განათლება

კარგი მმართველობის შექმნის გრძელვადიანი პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს განათლებული სახელმწიფო მოხელეებისა და რაციონალური ადმინისტრაციის ჩამოყალიბების გეგმას.

საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო მოხელის აღზრდისა და მისი განსწავლის ტრადიციები. თანამედროვე განვითარება დღის წესრიგში აყენებს სპეციალური ადმინისტრაციული სკოლის შექმნის აუცილებლობას, სადაც სახელმწიფო მოხელის მომზადება ძირითადად პასუხისმგებლობის, საქმის ცოდნისა და მოუსყიდველობის პრინციპებს დაემყარება.

განათლების შედეგი უნდა იყოს ისეთი სახელმწიფო მოხელის აღზრდა, რომელიც მზად იქნება თავისი პროფესიული მოვალეობა აღასრულოს საზოგადო ინტერესისა და სახელმწიფოს ერთგულ სამსახურში. მისი ბიბლია პროფესიულ საქმიანობაში უნდა იყოს კანონი და სამართალი.

აუცილებელია, ადმინისტრაციის სამსახურში კანდიდატის მიღება მოხდეს გამჭვირვალე საკონკურსო წესით. თავად ადმინისტრაციის ფარგლებში სახელმწიფო მოხელის დასაწინაურებლად საფეხურებრივი სისტემის შემოღებაა მნიშვნელოვანი. დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურზე დაწინაურების კრიტერიუმები ცოდნასა და გამოცდილებაზე ორიენტირებული უნდა იყოს. აღნიშნული კრიტერიუმები მკაცრად უნდა იყოს საკანონმდებლო გზით რეგულირებული, რათა დაწინაურების დროს თავიდან იქნას თვითნებობა აცილებული.

საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი საბოლოო ჯამში რაციონალური ადმინისტრაციის შესაქმნელად შესაბამისი საფუძვლების მომზადება უნდა იყოს. დღეს საქართველოში სახეზეა ნეოპატრიმონიალური სახელმწიფო სამსახურის სისტემა, რომელსაც საბჭოთა პერიოდშიც ჰქონდა ფესვები მყარად გამდგარი. აღნიშნული სისტემის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო მოხელე უფრო ზემდგომის ნების აღმსრულებელია, ვიდრე კანონის. ეს სისტემა პატრიმონიალური, ანუ მონარქიული სახელმწიფოებიდან იღებს დასაბამს.

ნეოპატრიმონიალურ სახელმწიფო სამსახურში მიღების კრიტერიუმს პიროვნების მიმართ, კერძოდ ზემდგომის მიმართ ერთგულება განსაზღვრავს. პროფესიონალიზმისა და მოუსყიდველობის ადგილს, ძირითადად, ნათესაობა, ნაცნობობა, მეგობრობა და პარტიული ნიშანი იკავებს.

რაციონალური ადმინისტრაციის პირობებში, საჯარო მოხელე დგას მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ სახელმწიფოს სამსახურში.

ინსტიტუციონალური რეფორმა

კარგი მმართველობისთვის მოხელეების პროფესიონალიზმთან და პასუხისმგებლობასთან ერთად, მუშაობის მოქნილობისა და ეფექტიანობის მიზნით, მნიშვნელოვანია აღმასრულებელი სტრუქტურების გონივრული ორგანიზება,. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ისევ ძალაშია საბჭოთა პერიოდის ტრადიციები. აუცილებელია ინსტიტუციონალური რეფორმები.

რაციონალური ადმინისტრაციის ფარგლებში სახელმწიფოს ერთგული მოხელის არსებობა მხოლოდ სათანადო ანზღაურების პირობებშია შესაძლებელი. სახელმწიფოსგან მოხელე ღირსეულად უნდა დაჯილდოვდეს მისი ერთგულებისთვის. ამისთვის მმართველობის მთელი ენერგია უნდა იყოს მობილიზებული ბიუჯეტის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის და ხელფასების თანმიმდევრული ზრდისთვის. სახელმწიფო და მისი მოხელეები უნდა იყვნენ ერთმანეთის სამსახურში.

დღეს საქართველოს მმართველობით სფეროში სახეზეა ფუნქციების დუბლირება, გადატვირთული და ზედმეტი სტრუქტურების სიჭარბე. ეს ყველაფერი ადმინისტრაციას ბიუროკრატიულს ხდის. ინსტიტუციონალურმა რეფორმებმა მმართველობით სფეროში სიმარტივე და სიცხადე უნდა უზრუნველყოს.

რეფორმების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ინსტიტუტების დემოკრატიზაცია და მათი ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა უნდა იყოს. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ადმინისტრაცია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს. ცალკეული სტრუქტურის მოხელეებისთვის განსაზღვრული კომპეტენციები და ფუნქციები კი, სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნების შესაბამისად, მკაცრად უნდა იყოს საკანონმდებლო გზით რეგლამენტირებული.

დისციპლინა, მიზანმიმართულობა და კოორდინაცია

კარგი მმართველობის ჩამოყალიბებისა და შესაბამისად სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის გრძელვადიანი პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლებაში მოსული ძალის დახვეწილი მენეჯმენტით. ამისათვის, მმართველობით საქმიანობაში მნიშვნელოვანია დისციპლინის, მიზანმიმართულობისა და კოორდინაციის ელემენტები.

დისციპლინა და მიზანმიმართულობა ყოველგვარი შემოქმედებითი საქმიანობის წარმატების საფუძველია. მმართველობის ხელოვნება და განსაკუთრებით რეფორმების განხორციელების უნარი დამოკიდებულია მუდმივ მობილიზაციაზე, დაუდევრობამ და უყურადღებობამ შეიძლება საბედისწერო შედეგი გამოიღოს. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია ხელმძღვანელი პირის როლი.

მმართველობის რეფორმა მრავალ სფეროს მოიცავს. იგი კომპლექსური ხასიათის მოვლენაა, რომელიც მკაცრ კოორდინაციას ითხოვს. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში დღეს არსებული უწყებრივი განხეთქილებისა და შეუთანხმებელი მოქმედებების საფუძველზე. ანალოგიური მდგომარეობაა სხვადასხვა სახის რეფორმის კომისიებსა და ამ კომისიის მუშაობის სფეროს განკუთვნებულ სამთავრობო სტრუქტურებს შორის.

ეს ყოველივე დღის წესრიგში აყენებს აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთ ორგანიზებას, რომელიც ოპტიმალურ დონეზე აიყვანს მუშაობის დისციპლინირების, მიზანმიმართულობისა და კოორდინაციის საკითხს, ანუ გააუმჯობესებს მუშაობაში პასუხისმგებლობის პრობლემას. ამ თვალსაზრისით, გამართლებული და მიზანშეწონილი იქნება მინისტრთა კაბინეტის შექმნის იდეა.

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიული განვითარების შანსი არსებობს მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველზე, კარგი მმართველობის პირობებში. არც ერთ პროგრესულ წინადადებას, მათ შორის ყველაზე გენიალური ეკონომიკური ხასიათის რეფორმის კონცეფციას არ ექნება პრაქტიკული შედეგი, ცუდი, უპასუხისმგებლო მმართველობის ხელში. ასეთი მმართველობის „რეფორმები" განხორციელდება მხოლოდ საკუთარი კლანის ინტერესებში.

პირველი რიგის ამოცანა რჩება სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, წინასაარჩევნოდ პრაგმატულია პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც აღიარებს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პრიორიტეტს და მოსახლეობას მისი განხორციელების მიზნით, კარგი მმართველობის უნარში დაარწმუნებს.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

ანაბრები და დეპოზიტები

"საქართველოს ბანკი" გთავაზობთ ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებზე და დეპოზიტებზე თანხის განთავსებას ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით (წლიური)

ვადები	ეროვნულ ვალუტაში	უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო)	ბირჟანაძა სტერლინგში
ზრდადი	8 %	8%	-
მოთხოვნამდე	2,0 %	2,0 %	2,0 %
31-89 დღე	5,0 %	4,0 %	-
90-179 დღე	8,0 %	7,0 %	-
180-269 დღე	10,0 %	9,0 %	-
270-389 დღე	11,0 %	10,0 %	-
390-545 დღე	11,5 %	10,5 %	-

"საქართველოს ბანკში დეპოზიტების და ანაბრების განთავსების შემთხვევაში თქვენ ისარგებლებთ დამატებითი შეღავათებით:

- "საქართველოს ბანკი" თავის მეანაბრეებს სთავაზობს შეღავათიან საპროცენტო განაკვეთებს მათ მიერ ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა და ანაბრების უზრუნველყოფით გაცემულ კრედიტებზე. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება ამ დეპოზიტებზე დასარიცხი წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აღემატება მას ოთხი პროცენტული პუნქტით.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებულიCirrus/Maestro (Visa Electron).
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული Cirrus/Maestro (Visa Electron), ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ან Visa Classic.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart (Visa Classic) ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 50.000 აშშ დოლარზე მეტ თანხას, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart (Visa Classic) და სამედიცინო დაზღვევა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ
"საქართველოს ბანკის" ფილიალებში ან დაგვირეკეთ: 444 444

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ერთ დროს ხშირად ვკითხულობდი სინანულის კანონებს — აღმოსავლურ-ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის ეს სახეობა ქართულ ტრადიციაში გალობანის სახელითაცაა ცნობილი. ამ ლიტერატურის ყველაზე სახელგანთქმული ნიმუში წმიდა **ანდრია კრიტელს** მიეწერება, თუმცა კი მისი საბოლოო ვერსია მრავალი ავტორისა და, შესაძლოა, მრავალი საუკუნის კვალს ატარებს. ასეა თუ ისე, სინანულის გალობა ყოველთვის პირველ პირშია შეთხზული, ოღონდაც ეს "მე" სულაც არაა მისი ავტორი — "მე" ყოველი ქრისტიანია, ვისაც კი დედამიწის ზურგზე უცხოვრია და, მაშასადამე, შეუცოდავს კიდეც. ამიტომ კანონში მოცემული "მე" ხშირად ადარებს საკუთარ თავს ცოდვიანობით გამორჩეულ სხვადასხვა პერსონაჟს, რომელთაგან პირველობა კაენს ეკუთვნის. სხვებიც საღვთო წერილიდან არიან აღებულნი. რატომ? სხვანაირად რომ ყოფილიყო, ვინმე თანამედროვე ცოდვილისთვის რომ შეედარებინა ავტორს საკუთარი თავი, კანონის ტექსტი ხომ მის პირად ცხოვრებას მიეჯაჭვებოდა და ვეღარ გადასწვდებოდა საუკუნეებსა და კონტინენტებს, სულიერად ვერ შესძრავდა მრავალი ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებში ლოცვად დამდგარ ქრისტიანებს, რომელთათვის ძველი და ახალი აღთქმა უპირატესი წყაროა საღვთო და კაცობრივი ღირებულებებისა. ჰოდა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქრისტიანული ჰიმნოგრაფია მაქსიმალურად ზოგადი და პოეტური უნდა იყოს...

რისთვის დამჭირდა ეს პოპულარული ექსკურსი ლიტურგიკაში?

უბრალოდ, ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პარლამენტის კვლევით დეპარტამენტში მომუშავე ერთმა მეგობარმა მაცნობა, რომ პარლამენტის ბიბლიოთეკაში უკვე ერთი თვეა, რაც ქართული გაზეთები და ჟურნალები არ შემოსულა. უფულობის გამო...

ჯერ ხომ ჩვენი დეპუტატები იმდენად არიან დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის შიგნით და მის გარეთ არსებული ვითარებით, იმდენად სწყურიათ, მარად და სწრაფად ცვალებადი სინამდვილის მაჯაზე ეჭიროთ ხელი, რომ დეპარტამენტში სწორედ რომ მათი ტევა აღარაა. ოჰ, ეს რა ვთქვი? ირონიას მიუჩვეველ მკითხველს შეიძლება, მართლაც, ასე ეგონოს: ფეხებზედაც არა ჰკიდიათ ეს შენი მარად და სწრაფად ცვალებადი სინამდვილე ჩვენს დეპუტატებს, ჩემო მკითხველო! ამიტომაც ერთი თვეა, რაც 50 თეთრად ღირებული "24 საათიც" არ შედის პარლამენტის ბიბლიოთეკაში. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — პარლამენტის ბიბლიოთეკაში-მეთქი. სამაგიეროდ კი ჩვენი დეპუტატები, მაგალითად, იერუსალიმში დადიან ანთებული სანთლების ჩამოსატანად. ერთი მარტო ბილეთის ღირებულება ვიკითხოთ და ვიანგარიშოთ, "24 საათის" რამდენი წლის "პადშივკა" დაამშვენებდა პარლამენტის ბიბლიოთეკას ამ თანხით. ახლა გასაგები გახდა კავშირი ლიტურგიულ პოეზიასთან? ჯერ არა?

მაშინ წარმოვიდგინოთ, რამდენი შრომა უნდა იერუსალიმიდან საქართველოში ანთებული სანთლების ჩამოტანას: ჯერ ხომ არ უნდა ჩაგიქრეს თვითმფრინავში (ნუ გავამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ ტრაპზე გამოსვლის წინ გამოყენებული ჩვეულებრივი სანთებელაც ივარგებს ცეცხლის აღსადგენად — ცინიკოსები და ნიჰილისტები ხომ არა ვართ), მერე კიდევ ტელევიზიის პირველ არხზეც ხომ უნდა გამოაჩინო საკუთარი სულიერი სიმაღლე. ყველამ უნდა ნახოს, როგორი ანთებული მზერითა და ცხელი გულით იჭერდი ზეციდან მომავალ ჩაუქრობელ ალს. აბა, რამდენიმე ასეული ლარი რომ, უბრალოდ, ბიბლიოთეკისათვის შეგეწირა, რათა კოლეგებს გაზეთების კითხვა შეძლებოდათ დაუბრკოლებლად (ეჰ, მანამდე არაფერი გვეტკინა მე და შენ, ჩემო მკითხველო!) — ამას ხომ ვერავინ დაინახავდა და არც არაფერში ჩაგეთვლებოდა. ჰოდა, აქედან მომდინარეობს ქართული ქველმოქმედების ორი ძირითადი პრინციპი: ის **მაქსიმალურად თვალშისაცემი** უნდა იყოს (კაენის ცოდვასავით) და **მაქსიმალურად უსარგებლო** (როგორც ზემოხსენებული ცოდვის რომელიმე კონკრეტული პიროვნებისადმი იკრიმინირება, რაც რეალურად არასოდეს დაზარალებს ამ პიროვნებას). აბა, დაფარული რომ იყოს, მაშინ რა სარგებელი აქვს კეთილისმყოფელს? თანაც ეს კეთილისმყოფელი, მართლაც, ღმერთი ხომ არაა, დიდი-დიდი შეიძლება ერთი გამდიდრებული გორსალა იყოს და ყველას ხომ, მართლაც, ვერ გასწვდება. ვისაც ვერ გასწვდება, იმას ეწყინება. ქართველი კი უმალ მარჯვენა ხელს მოიჭრის, ვიდრე თვისტომსა და მოყვასს აწყენინებს. ამიტომაც ისევ ისა სჯობია, სრულიად უსარგებლო იყოს ეს ქველმოქმედება. მაშინ არც არავის ეწყინება და, პირიქით, შეიძლება თანამემამულეთა გულები ასეთივე გარეგნული აღტკინებით აივსოს. თუკი ვინმე ჩუმად გულში შეუკურთხებს, ხმამაღლა განცხადებას ხომ მაინც მოერიდება... თუმცა, ერთი არსებითი რამ ასხვავებს ქართულ ქველმოქმედებასა და სინანულის გალობას — ჩვენი ქართველი ქველმოქმედის "მე" სულაც არაა ზოგადი, პირიქით, თავიდან ბოლომდე კონკრეტულია და მას და მხოლოდ მას აღნიშნავს.

და საერთოდ, ბევრს ნუ მალაპარაკებ, მკითხველო, შენ თვითონაც შეამჩნევდი უკვე, რომ ამგვარი ქველმოქმედება ქრისტიანული სინანულისა და მოწყალების მართლაც რომ დიამეტრულად საპირისპიროა. ჰოდა, ბევრს ნუ მალაპარაკებ, მით უმეტეს, რომ საკითხი აქ არ თავდება: სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ფული ხომ უნდა გამოიყოს ვიღაცის მიერ! მაგრამ ჩვენი 30-საუკუნოვანი (და როგორც თურმე ახლა ვიღაც ვარაუდობს, 31-საუკუნოვანი) სახელმწიფოებრიობის დეგრადაცია ყველა სფეროში და ყველა დონეზე მჟღავნდება და ამის მისახვედრად სულაც არაა სავალდებულო მაინცდამაინც სამთავრობო სხდომაზე დასწრება. ჩვენ მაინც დავესწროთ!

აბა, ამოვიღოთ პირიდან საღეჭი რეზინი და შეუმჩნევლად ავაკრათ კანცელარიის კედელს. ესეც ტყუილად არ მიხსენებია — ჯერ ერთი, ერთმა სახელმოხვეჭილმა მუსიკოსმა შემომჩივლა, ჩვენების შეშვება არც ერთი ნორმალური თეატრის სარეპეტიციოში ან საგრიმიოროში არ შეიძლება, ყველგან "ჟუვაჩკებს" აკრავენო. მეორეც, იმიტომ ვახსენე ეს, როგორც ჩანს, უკიდურესად ეროვნული საქციელი, რომ **თამარ ხორბალაძემ** 26 ივნისის პუბლიკაცია სწორედ ასე დაასათაურა: *ნუ ღეჭავთ მთავრობის სხდომაზე!* ჰოდა, ჩვენც ამოვიღოთ პირიდან სამკურნალო "დიროლი" და ვნახოთ აქ განხილული საკითხები და მათი გადაწყვეტის მეთოდები.

1) **ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური მინისტრების კონფლიქტი**. შევარდნაძე გუბერნატორებს პირდება, რომ მთავრობის სხდომაზე კატეგორიულ განცხადებას გააკეთებს — რაღაც უმნიშვნელო მოტივით (**მირიან გოგიაშვილი** სხდომას არ ესწრება) დაპირებას არ ასრულებს — აცხადებს, რომ "**რეგიონის ხელმძღვანელთა და მინისტრების დაპირისპირების პრეცედენტი უნდა აღმოიფხვრას**". საკითხი გასაგებია და არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ "ნორმალურ" ქვეყანაშიც შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, იტალიაში. მაგრამ გადაწყვეტის ფორმა? ლამის ერთი ლენინისდროინდელი შტამპი გავიხსენო — "ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური". იმას ვამბობდი, რომ გადაწყვეტის ფორმა ნამდვილად საბჭოურია — აღმოიფხვრას. რას ნიშნავს ეს სიტყვა? თან გავითვალისწინოთ, რომ *პრეცედენტი უნდა აღმოიფხვრას*! სხვა სიტყვებით: გადაწერეთ წარსული! — გვიბრძანებს პრეზიდენტი. — თითქოს და არასოდეს ყოფილა!

პრეცედენტი უკვე შექმნილია, ბატონო პრეზიდენტო, მისი აღმოფხვრა ისევე შეუძლებელია, როგორც წარსულის ნებისმიერი სხვა მოვლენისა. ამისთვის ერთადერთი ხერხი დავიწყებაა. ჰოდა, თქვენი სურვილიც მხოლოდ ერთს შეიძლება ნიშნავდეს: "თავი გამანებეთ, კიდევ ერთხელ ნუღა შემაწუხებთ ამით, აღარ გავიგონო, გესმით!".

2) **სახელმწიფო მინისტრისა და ანტიკორუფციული ბიუროს კონფლიქტი**. დროს და ადგილს ნუ დავკარგავთ ამ კონფლიქტის ბუნების განხილვაზე, მით უმეტეს, რომ ეს საქმე სიღარიბის დაძლევის პროგრამის საფუძველზე წარმოიშვა. საქართველოში სიღარიბის დაძლევაზე სალაპარაკოდ კი მე ნამდვილად არ მეყოფა ფანტაზია. ვნახოთ, როგორ გადაწყვიტა ეს კონფლიქტი შევარდნაძემ: "**ანტიკორუფციულ პროგრამაში გათვალისწინებული, 30 აპრილს ვადაგასული ხელისუფლების რეფორმირების გეგმა სახელმწიფო მინისტრის პასუხისმგებლობის დაყენების საფუძვლად დღეს ვერ იქცევა, თუმცა მასზე მონიტორინგის უფლება, ანუ პასუხისმგებლობის წამოჭრის უფლება მაინც ანტიკორუფციულს რჩება**". ესეც ასე: ჯორბენაძე სამშვიდობოს გავიდა, უგულავას კი სათამაშო საყვირი შეაჩეჩეს ხელში — შენ იცი, დროზე დაჰკარ განგაშიო. ამას თურმე "კომპრომისი" ჰქვია ქართული სახელმწიფოს მმართველობაში. მაგრამ კომპრომისი, ანუ ორმხრივი დათმობა ყოველთვის რაღაცის მისაღწევად ხდება. აქ ერთადერთი, რასაც მიაღწიეს, პრეზიდენტის დროებით სიმშვიდეა. ეს ყოფილა ჩვენი მთავარი მიზანი და არსებობის საზრისი!

3) **საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონფლიქტი**. ო, ეს დავიდარაბა უკვე კარგა ხანია გრძელდება ჩვენს რეალობაში და პრესის ფურცლებზეც. მართალი გითხრათ, რაღაც ირაციონალური შიშის გარდა ვერავითარი დასკვნა ვერ გამოვიტანე ჩემთვის ძალიან რთული ტექსტებიდან, სანამ 28 ივნისის ნომერში არ წავიკითხე (თავიდან ბოლომდე და ყურადღებით) **რევაზ საყევარიშვილის** ანალიზური სტატია *მახვშის აგონია*. აქ იმდენად დაწვრილებით, სრულად და, ამავე დროს მარტივად და გასაგებადაა გადმოცემული თვით კონფლიქტის არსი, ერთი მხრივ, სავალუტო ფონდის აქტუალური მდგომარეობა და, მეორე მხრივ, შევარდნაძის შესაძლო მოტივაციები, რომ მეც კი გავიგე. ყველას ვურჩევ, თუ რაიმე ვერ გაიგო სავალუტო ფონდის პერიპეტიებში, რევაზ საყევარიშვილის სტატიას მიაკითხოს! ეჰ, საბრალო პარლამენტარები — უკვე მესმის მათი ფეხსაცმელების ერთობლივი ბაკუნი, უკვე ჯგროდ მიიჩქარიან ბიბლიოთეკისაკენ. იქ კი? — Ну, блин, облом! — ერთი თვეა, რაც გაზეთი არ მიუღიათ. არ გაგიჟდები კაცი? — გაზეთს ვერ ყიდულობ შენი კანონმდებლებისათვის და სავალუტო ფონდზე იქაჩები! მაგრამ გაქაჩვაცაა და გაქაჩვაც. აბა, წავიკითხოთ:

"**ათი წელი გვერდში გვედგა და ახლა აპირებს შუა გზაზე მიტოვებას, პროგრამების შეწყვეტას?! პროგრამების დაწყება, რაღაც გარკვეულ დონემდე მიყვანა და მერე მისი შეწყვეტა ასე ადვილი არ უნდა იყოს. მე სექტემბერში გაერო-ში გამოვალ და იქ განვაცხადებ ამის შესახებ...**".

რევაზ საყევარიშვილმა უკვე აგვიხსნა, რატომ გაერო-ში და არა, ვთქვათ, ძმობილ ლუკაშენკოსთან. ჩვენ სხვა რამეს მივაქციოთ ყურადღება: ეს რა არის, ბატონო პრეზიდენტო, ეს რა დონეა? როგორ უნდა დაიჯეროს ქართველმა ხალხმა, რომელსაც 31-საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის გარდა, როგორც გვარწმუნებენ, განათლებისა და სიდარბაისლისაკენ ლამის გენეტიკური მიდრეკილება ახასიათებს, რომ თქვენ, მართლაც, ამ დონეზე მეტყველებთ და მსჯელობთ მთავრობის სხდომებზე. ლამის ის ვიკითხო, მახვშებმა რა დაუშავეს რევაზ საყევარიშვილს-მეთქი: ეს დალოცვილები თავის საქმეს აკეთებდნენ და მათ ციცქნა სოციუმს ავად თუ კარგად უვლიდნენ, სანამ სტალინმა კოლექტივიზაციით და ინდუსტრიალიზაციით არ ჩასცხო თავში, შაღვა დადიანმა კი "თეთნულდით". ეს კი რაღა დოზანაა? — "**ათი წელი გვერდში გვედგა**", "**გაერო-ში გამოვალ და იქ განვაცხადებ**". ასეა, ჯერ "დედიკოს ვეტყვიო", ამბობენ, მერე "ქურდთან მივალ"... ესეც, თითქოს, უფრო დგას თავის ადგილზე, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტის (ქვეყნის პრეზიდენტის-მეთქი) ზემოხსენებული დისკურსი. ეგეთები ახსოვთ გაერო-ში? — ცხონებულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ფეხსაცმელი ურახუნა მაღალ ტრიბუნას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ხრუშჩოვის ხსენებაზე სხვაც ვიფიქრე: სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრობამ ნუთუ ვერავითარი კვალი ვერ დაამჩნია ამ კაცის სულს? თუ საკუთარ სახლში არაფრის გრცხვენია ხოლმე?

ჰო, სული ვიკითხეთ და პასუხსაც ახლავე მოგახსენებთ: "**საფინანსო ორგანიზაციების წინაშე, შესაძლოა, ქართული მხარე რაღაცაში დამნაშავეა, მაგრამ ამის გამო შეიძლება მთავრობა დავითხოვოთ?!**" ვინ თქვა პირველმა მთავრობის დათხოვნის შესახებ? თამარ ხორბალაძის პუბლიკაციიდან გამომდინარეობს, რომ თვით შევარდნაძემ. ვთარგმნოთ ადამიანურ ენაზე, თუ რას ეუბნება პრეზიდენტი თავის მთავრობას: "ოღონდ ერთი თმის ღერი არ ჩამოვარდეს ჩემი თავიდან და თქვენ, ბიჭებო, ისე შეგახოცავთ ხელებს, რომ თქვენი მოწონებული". აქაც პრეზიდენტის სიმშვიდეს უნდა შეეწიროს მინისტრების კარიერაცა და ჩვენი ჯიბეც.

4) **სახელმწიფო მინისტრისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის კონფლიქტი**. კონტროლის პალატას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეუმოწმებია. **ავთანდილ ჯორბენაძეს** კი უთქვამს, რომ კონტროლის პალატის მუშაობის მეთოდები საბჭოთა პერიოდის "სახალხო კონტროლის" მუშაობის მეთოდებს ჰგავს. ვინ იცის, რას გულისხმობდა ამ სიტყვებით სახელმწიფო მინისტრი — "სახალხო კონტროლის" მუშაობას იგი (მისი წარსულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) ჩვენზე უკეთ უნდა იცნობდეს და, ალბათ, ჩვენზე უკეთ გაეგება, რას უნდა შეადაროს ის და რას არა. როგორც ეტყობა, სულხან მოლაშვილიც იცნობს "სახალხო კონტროლის" ავან-ჩავანს, თორემ ტყუილად ხომ არ ეწყინებოდა! ეწყინა კი არა, გაცეცხლდა კაცი: "**პრეზიდენტის გარდა, აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არა აქვს კონტროლის პალატის მუშაობის შეფასების უფლება, მით უფრო — ოფიციალურ სხდომაზე**". ვერაფერს იტყვი, ფლობენ ჩვენში ნართაულ ენას: თან საკუთარი ღირსება დაიცვა, თან "ხაზეინს" გაუგორა კოჭი. მაგრამ მერე, ცოტა არ იყოს, დავთრები აერია: "**კონტროლის პალატას რომ სახალხო კონტროლის მეთოდებით ემუშავა, საღეჭ რეზინებთან დაკავშირებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა**". ეს რაღას ნიშნავს? საქმის ბოლომდე მიყვანა კარგია, "სახალხო კონტროლი" საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, ესე იგი, "სახალხო კონტროლი" კარგი ყოფილა. რატომღა ეწყინა მოლაშვილს? მკაცრი ლოგიკა ვერაფერი მრჩეველია, როცა საქმე საქართველოს მთავრობას ეხება. როგორც ეტყობა, მოლაშვილის ეს სილოგიზმი შემდეგს ნიშნავს: რას მაკრიტიკებთ, თქვე კაი ადამიანებო, თქვენიანი რომ არ ვყოფილიყავი, ხომ ყველას ყოფას გიტირებდით, ოფიციალურად ვერავინ ვერაფერს დაგიმტკიცებთ, მაგრამ ჩემი სიტყვების გასამაგრებლად, ოქმის გარეშე ამას გეტყვით: "**ჯანდაცვის სამინისტრო 1996 წლიდან საღეჭ რეზინებს, მათ შორის, "დიროლს", ფარმაცევტულ პროდუქციად არეგისტრირებს და ამით საბაჟო გადასახადი 5 პროცენტამდე მცირდება, მაშინ, როდესაც ეს პროდუქცია, ჩვეულებრივ, 35-პროცენტიანი საბაჟო გადასახადით უნდა იბეგრებოდეს**". ხომ ხედავთ, როგორ დაგინდეთ, თქვენ კი ესა და ისაო! რატომ არ მიიყვანა მოლაშვილმა საქმე ბოლომდე? ამისთვის თურმე "**სათანადო გარემო არ არის**".

აბა, როგორი გარემოა? ვნახოთ, რა მოჰყვა ამას. რა და სახელმწიფო მინისტრის რისხვა: "**შეისწავლეთ ჩემი კავშირი საღეჭი რეზინების ბიზნესთან... შეისწავლეთ ჩემი კავშირი ყბადაღებულ შეთქმულების საკითხთან... ასეთი პასუხგაუცემელი, გახშირებული ბრალდებების პირობებში მე შემდგომი მუშაობა გამიჭირდება**". აქამდე ხომ ავშენდით და ეგაა! როგორც ვხედავთ, სახელმწიფო მინისტრიც რაღაც "გარემოს" თუ "პირობებს" იმიზეზებს. ეს, უბრალოდ, პაროლია, სიტყვაა, რომელიც პრეზიდენტს მიანიშნებს: ახლა კი გიმტყუნა დაბალანსების შენეულმა ალღომო. გარემო პირობები მაშინაა კარგი, როცა ყველა კმაყოფილია. გარემოს მაშინ იხსენებენ, როცა რაღაც მოიკოჭლებს პირად ურთიერთობებში.

გადაწყვეტილება კი როგორი მოჰყვა: პრეზიდენტმა "**მიზანშეწონლად ჩათვალა სახელმწიფო მინისტრის და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მონაწილეობით ერთობლივი კომისიის შექმნა, რომელიც საღეჭი რეზინის ბიზნესის საკითხს შეისწავლის**". მართალია პრეზიდენტი: მოჩხუბარი ბიჭები ერთად უნდა დაამწყვდიო, უმალ გამონახავენ საერთო ენას გაჭირვებიდან გამოსვლის მიზნით. შედეგი რა იქნება, ჩემო ბრძენო მკითხველო? — მართალი ხარ, შენც მრავალი გამოცდილება შეგძინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გვერდი-გვერდ გატარებულმა ათმა წელიწადმა. ალბათ, მართალს ვარაუდობ, რომ ბაჟში 30-პროცენტიანი განსხვავების "რესტრუქტურიზაცია" მოხდება. პრეზიდენტიც, როგორც ყოველთვის, სიმშვიდეს და აუმღვრევლობას შეინარჩუნებს.

ესეც ასე. დასრულდა მთავრობის სხდომა. მე კი მონოგრაფიის ჟანრში ვცადე ბედი, რადგან თითქმის მთელი დღევანდელი პუბლიკაცია გასულ კვირას გამოქვეყნებულ ერთადერთ სტატიას მივუძღვენი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ სხვა რამ არ წამიკითხავს? არა, უბრალოდ, გაზეთი თავის საქმეს განაგრძობს და მისი ნახევარი გვერდიც, ოკეანის წვეთისა არ იყოს, ჩვენი უბადრუკი რეალობის საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა. ეს სურათი კი სხვა არაფერია თუ არა ბიბლიური "საძაგელი მოოხრებისაი".

კუბის რევოლუციამ დროულად მოგვისწრო

დამთავრდა თბილისის IV საერთაშორისო კინოფესტივალი

პირველი გვერდიდან

აკრედიტებულ ჟურნალისტებს, არასოდეს დაავიწყდებათ მრავალჯერ შეცვლილი ფესტივალის პროგრამა და ორ კინოთეატრს შორის ("ამირანი" - "კინოს სახლი") თავგზააბნეული სირბილი.

დაბნეულობამ კულმინაციას მიაღწია დიტო ცინცაძის გახმაურებული "გასროლის შიშის" ჩვენებაზე. მის ნახვას ხომ მთელი თბილისი მოუთმენლად ელოდა. მაყურებლის პირველმა ტალღამ (და მათ შორის - მეც) ფილმი ვიდეოკასეტაზე, თარგმანის გარეშე, ინგლისური სუბტიტრებით იხილა "კინოს სახლის" ეკრანზე. დაკავებულმა ფირმა მხოლოდ ათსაათიანი სეანსისათვის ჩამოაღწია ბრიუსელიდან თბილისში. ღამით კი პროგრამა "ფსიქოს" ეთერიდან კინომცოდნე გოგი გვახარიამ, რომელიც, მოგეხსენებათ, ფესტივალის ჟიურის წევრიც გახლდათ, საზოგადოებას აუწყა, რომ ფესტივალის დახურვის დღეს კინოთეატრ "ამირანში" მაყურებელს ცინცაძის ფილმის ფირზე ნახვის შესაძლებლობა ექნებოდა.

მაინც რით მოხიბლა სან-სებასტიანის ჟიური წარმოშობით ქართველი რეჟისორის გერმანულმა ნაწარმმა? შესაძლოა, ევროპისათვის მარად აქტუალურმა თემამ - სიმარტოვის შიშმა და ფილმის მოულოდნელმა, ეფექტურმა დასასრულმა.

საქართველოში რომ იყოთ, რაზე გადაიღებდით ფილმს, - ვკითხე რეჟისორს. "ქუჩაში გამვლელთა სახეებს რომ ვხედავ, აქ უამრავი თემა შეიძლება მოიძებნოს. ალბათ, ყველა მათგანი მძიმე იქნება. საერთოდ, ათი-თხუთმეტი წუთი რომ დავფიქრდე, უფრო ზუსტ პასუხს გაგცემდით," - მიპასუხა მან.

პირადად ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მაყურებლისათვის, დიტო ცინცაძის "გასროლის შიში" გემოვნებით გაკეთებული ერთი რიგითი ევროპული სურათია. მისი ნახვის შემდეგ ყველაზე მეტად ფილმის მუსიკა დამამახსოვრდა. კომპოზიტორ გიო ცინცაძის ელეგანტური, მონოტონური და "ვერაგი" აკორდები ფილმის სიუჟეტს, თითქოს, მოკლედ მოგვითხრობს.

ფესტივალის საზეიმო დახურვის შემდეგ ჟიურის წევრს კინომცოდნე გიორგი გვახარიას გავესაუბრე. **"დიტო ცინცაძის ფილმი, მართლაც, საუკეთესო იყო ფესტივალზე წარმოდგენილ ათ საკონკურსო ფილმს შორის. ჩემი აზრით, ეს ძალიან გერმანული ფილმია, დისტანციური, ფასბინდერისა და ბრეხტის სკოლა, მაგრამ იგრძნობა ქართული ნიუანსებიც, შავი იუმორი და თვითირონია. მე პირადად, დიტოს წინა ფილმებიდან განსაკუთრებით მომწონს მისი მოკლემეტრაჟიანი "ეროტიკული ამბავი.**

"ვერცხლის პრომეთეზე" პოლონურ ფილმს კონკურენციას ირანული წარმოშობის რეჟისორის ამირ ნადირის ამერიკული ფილმი "მარათონი" უწევდა. მაგრამ, ჟიურის არჩევანი საბოლოოდ მაინც "ედიზე" შეჩერდა, - გვითხრა კინოკრიტიკოსმა.

ფესტივალის მსვლელობის დროს ორად-ორი დარბაზის სიცარიელე კი გიორგი გვახარიამ იმით ახსნა, რომ, - **"საფესტივალოდ არასანახაობრივი ფილმები იყო შერჩეული. მომავალში ფეტსივალის ორგანიზატორებს ვურჩევდი, რომ არასაკონკურსო პროგრამაში ნაკლებად ექსპერიმენტული ფილმები ჩართონ".**

ფესტივალის დახურვის ცერემონიალმა კომიკურ ჟანრში ჩაიარა. ცერემონიალის პარალელურად, სცენაზე მექანიკოსები დაუღალავად მუშაობდნენ, რათა დადუმებული მიკროფონები როგორმე აემუშავებინათ. საერთაშორისო ჟიური კი წუხდა ქართული კინოს კრიზისის გამო და აღფრთოვანებით საუბრობდა ქართულ სუფრასა და სტუმართმოყვარეობაზე. **ჰელმა ზანდერს-ბრამსი - ჟიურის წევრი:** "ვიდრე ვერცხლის პრომეთეს მფლობელს გამოვაცხადებდე, მინდა, გითხრათ, რომ დღეს "ყაზბეგში" ვიმოგზაურე და ვისწავლე ხინკლის გაკეთება - ქალბატონისგან, რომელიც წარსულში კინოს მენეჯერად მუშაობდა და რომლის სტუდიაც 1997 წელს დაიხურა". **პიტერ სკარლეტი - ჟიურის თავმჯდომარე:** "არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამდენ ხაჭაპურს შევჭამდი და ამდენ შთამბეჭდავ სასმელს დავლევდი. ორი საათის წინ თქვენს სამეფო აბანოში ვისიამოვნე".

და მაინც, კუბის რევოლუცია და კალატოზიშვილის ჰავანური კადრები ფესტივალის მაყურებელს არასოდეს დაავიწყდება... და ალბათ, ჟიურის წევრებსაც გაუჭირდათ, "მე კუბას" ფონზე დანარჩენ საფესტივალო ფილმებზე ესაუბრათ.

ფესტივალი რომან პოლანსკის ცნობილი "პიანისტის" ჩვენებით დასრულდა.

"ვერცხლის პრომეთეს" პოლონეთის ელჩს გადასცემენ.

ხაჩატურიანა გაიანეს და ხმლებით ცეკვის ფონზე

ნათია ვადაჭკორია

უდიდესი კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის წვლილი მსოფლიო მუსიკალურ ხელოვნებაში "იუნესკომ" იმით აღნიშნა, რომ წლევანდელი წელი (კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წლისთავი) "ხაჩატურიანის წლად" გამოაცხადა. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმართება ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. კომპოზიტორის დაბადების დღეს – 6 ივნისს მოსკოვის დიდმა თეატრმაც გამართა კონცერტი, ნოემბრის თვეში კი სომხეთში ხაჩატურიანისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი იმართება, რომელზეც საქართველოდან ცნობილი მუსიკათმცოდნე გულბათ ტორაძეა მიწვეული.

საქართველოში, ალბათ, განსაკუთრებით ეამაყებათ, რომ არამ ხაჩატურიანი დაბა კოჯორში დაიბადა, ხოლო 18 წლამდე თბილისში ცხოვრობდა და ეს მას არასდროს დავიწყებია. სახლს, სადაც კომპოზიტორი ცხოვრობდა, მემორიალური დაფა დღემდე ამშვენებს. არამ ხაჩატურიანის ქმნილებები - საფორტეპიანო თუ სავიოლინო კონცერტები, ბალეტები "გაიანე" და "სპარტაკი", მეორე სიმფონია, მუსიკა ლერმონტოვის "მასკარადისთვის" - მუსიკალური ხელოვნების ოქროს ფონდშია შესული. ეს ნაწარმოებები მუდმივი დღესასწაულის განცდას ტოვებს. ამიტომაცაა, რომ ხაჩატურიანის მუსიკის შესრულება და მოსმენა უემოციოდ და ამაღლებული გრძნობების გარეშე შეუძლებელია.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად ერთი საკმაოდ ცნობილი ფაქტიც გამოდგება. როგორც ცნობილია, ერნსტ ჰემინგუეი, ჩარლი ჩაპლინი, იან სიბელიუსი, ჰერბერტ ფონ კარაიანი და სხვა ძლიერნი ამა ქვეყნისა თავს ხაჩატურიანის მეგობრებად თვლიდნენ. ერთხელ, კომპოზიტორის ესპანეთში გასტროლების დროს ექსცენტრულმა მხატვარმა სალვადორ დალიმ ხაჩატურიანი თავისთან დაპატიჟა. დათქმულ დროს ხაჩატურიანის წასაყვანად ლიმუზინი მოვიდა და კომპოზიტორი მხატვრის სასახლეში წაიყვანა. სალვადორ დალის ლაქია ხაჩატურიანს სარკეებიან, დიდ სასტუმრო დარბაზში შეუძღვა, სადაც სტუმრისთვის სუფრა უკვე გაშლილი იყო. სტუმარს მასპინძლის მოსვლამდე ათასი ნუგბარი შესთავაზეს. ამ ცდაში საკმაო ხანი გავიდა და უცებ დინამიკებიდან "ცეკვა ხმლებით" გაისმა. გაოცებულმა ხაჩატურიანმა აქეთ-იქეთ მიმოიხედა და იატაკის საწმენდ ჯოხზე ამხედრებული, სრულიად შიშველი და სასტუმრო დარბაზში შემოჯირითებული სალვადორ დალი დაინახა. ექსცენტრული დალი იატაკის ჯოხის ქნევით და თვალების უაზრო ცეცებით დარბაზის მეორე მხარეს გაჯირითდა და საპირისპირო მხარეს გაუჩინარდა. ამის შემდეგ გაოცებულ კომპოზიტორს ლაქიამ აუწყა, რომ აუდიენცია დამთავრებული იყო. გაცოფებული ხაჩატურიანი სალვადორ დალის ნაჩუქარ ილუსტრაციების ალბომს ფანჯრიდან უპირებდა გადაგდებას, თუმცა შემდეგ გადაიფიქრა. კომპოზიტორი საკმაოდ მიმტევებელი ადამიანი გახლდათ და თანაც, იმ დროის მსოფლიოში - სალვადორ დალიზე გაცილებით პოპულარული.

სომხეთის ეროვნული კამერული ორკესტრი არამ კარაბეკიანის დირიჟორობით

რაც შეეხება კომპოზიტორის საიუბილეო კონცერტს, რომელიც თბილისის ოპერის სცენაზე გაიმართა, ორგანიზებული იყო ფრანგული ორგანიზაცია Shen-ის, საქართველოს და სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ. ამიტომაც, მსმენელთა შორის განსაკუთრებით ჭარბობდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. საკონცერტო პროგრამაში, რომელსაც სასომხეთის ეროვნული კამერული ორკესტრის, მისი დირიჟორის – არამ კარაბეკიანის და სოპრანოს – ნუნე ბადალიანის შესრულებით ვისმენდით, აჟღერდა მოცარტის, ედვარდ აირაპეტიანის, ედვარდ მირზოიანის, დიმიტრი შოსტაკოვიჩის, სერგეი რახმანინოვის, პოლინა ვიარდოს, საიათ-ნოვას და ბოლოს ხაჩატურიანა-ალტუნიანის ნაწარმოებები.

უდავოდ აღნიშვნის ღირსია სომხეთის ეროვნული კამერული ორკესტრი. სიმართლე გითხრათ, ასეთი მაღალი დონის და კარგად მომზადებული ორკესტრისთვის კარგა ხანია, არ მომისმენია. დამსწრე საზოგადოების აზრით, ორკესტრის დირიჟორი არამ კარაბეკიანი იერსახით საოცრად წააგავდა სულხან ცინცაძეს. საიუბილეო საღამოს დასასრულს კი დირიჟორი, ორკესტრი და სოპრანო ნუნე ბადალიანი მსმენელმა სცენაზე ხუთჯერ გამოიძახა.

წიგნის სახლი

ანა ქორძაია-სამადაშვილი

"წიგნის სახლი" კარგა ხნის გახსნილია – სექტემბერში უკვე უამრავი მნახველი, მყიდველი და მუდმივი მყიდველიც კი ჰყავდა, გუშინ "საყვარელ მკითხველს" საჩუქარიც კი გადაეცა. ასე რომ, დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის მისი წარდგენა აღარანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს – ისედაც ყველამ ყველაფერი ვიცით. უბრალოდ, გუშინ მისი ოფიციალური გახსნა შედგა.

დასავლეთ ევროპაში ჩვენი საყვარელი ადგილი წიგნის მაღაზიები იყო. არა იმიტომ, რომ გაუგონრად წიგნიერები და განათლებულები ვიყავით. უბრალოდ, შესანიშნავ სავარძელში მოკალათება და სწორედ იმის წაკითხვა შეგვეძლო, რაც გაგვიხარდებოდა – არც გვიტატანებდნენ, აქ რას გვიკეთებთო, არც ხმაური იყო, ყავასაც ჩინებულს გვთავაზობდნენ. უნდა ითქვას, რომ ჩვენი იქ ყოფნით არც მაღაზია ზარალდებოდა – ძალიან კარგი წიგნი როცა გვხვდებოდა, აუცილებლად ვყიდულობდით ხოლმე, შუაგზაზე მისატოვებლად არ გვემეტებოდა.

მაღაზია, ბიბლიოთეკა, კაფე და ინტერნეტი

სწორედ ასეთი სიამოვნება ელის ყველას, ვინც "წიგნის სახლს" ეწვევა. თბილისში, საბურთალოზე, გამსახურდიას (ჩემთვის პეკინის) ქუჩაზე, 31-ში, იქ, სადაც ოდესღაც კინოთეატრი "თანამგზავრი" იყო, შესანიშნავი წიგნის მაღაზია გაიხსნა, "წიგნის სახლი" – აქ წიგნების შეძენაც შეიძლება, კარგი ყავის დალევაც, ინტერნეტით სარგებლობაც. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მაღაზიის ერთ-ერთმა მესვეურმა, მამუკა ხანთაძემ აღელვებით მომახსენა, ეს ინტერნეტ-კაფე არააო, ანუ დღისით თამაში და ღამით პორნოგვერდების თვალიერება აქ არ მოსულა.

მამუკა ხანთაძე, ნინო ჟვანია, ერეკლე ასტახიშვილი – სწორედ მათ ვუმადლით იმას, რომ "ნამდვილი" წიგნის მაღაზია, ვაკისა და გლდანის გარდა, ამიერიდან საბურთალოზეც იარსებებს. მისი გახსნის იდეა ნინო ჟვანიას ორიოდე წლის წინათ მოუვიდა და გადაწყდა, რომ ეს არა უბრალოდ წიგნის მაღაზია, არამედ ბიბლიოთეკაც იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ბიბლიოთეკა იქ იმთავითვე არსებობდა და დღესაც არსებობს. მამუკა ხანთაძის თქმით, "წიგნის სახლის" ერთ-ერთი მიზანი სწორედ ბიბლიოთეკის დახმარებაა – ეს სფეროც ხომ უნდა განვითარდეს!

მამუკასთან საუბარი საკმაოდ რთული ამოცანა აღმოჩნდა – "წიგნის სახლის" გახსნას უამრავი ხალხი ულოცავდა. "საგამომცემლო სფეროს განვითარების საქმეში უკვე დიდი შრომაა ჩადებული – მრავალი ადამიანისა. ბევრი ვიწვალეთ. ახლა ეს დარგი უკვე განვითარებულია და წიგნით ვაჭრობის დროც დადგა".

მამუკას თქმით, ახალი წიგნის მაღაზიების გახსნის აუცილებლობა უკანასკნელი წლების განმავლობაში ფილარმონიაში გამართულმა წიგნის ბაზრობებმა ნათელჰყო – იქ წიგნები შესანიშნავად იყიდება. ასე რომ, მამუკა კიდევ ერთ "გაუკვალავ ბილიკს" დაადგა.

ოდესღაც გვიხსნიდნენ, რომ წიგნი შემდეგ ჯაჭვს გადის: გამომცემლობა - წიგნით მოვაჭრე – ბიბლიოთეკა. მაშ, სულ მალე მამუკა ხანთაძე ბიბლიოთეკარის სტატუსითაც მოგვევლინება?

"ბიბლიოთეკა ამ ჯაჭვში ერთადერთი არაკომერციული რგოლია," ამიხსნა მამუკა ხანთაძემ, "ეს უკვე სახელმწიფოს საქმეა. ჩვენ, გამომცემლები და წიგნით მოვაჭრენი, ბევრს ვაკეთებთ; ჰოდა, ნახონ, რას ვშვრებით და ბიბლიოთეკას მათ მიხედონ".

წიგნის სახლის პრეზენტაციას მრავალი სტუმარი ჰყავდა.

მართალია, ერთ ბიბლიოთეკას უკვე ეშველა – "წიგნის სახლის" სახით.

რას ამბობს ხალხი

ყველა კმაყოფილია: ლიტერატორებიც, გამომცემლებიც, მკითხველებიც და პეკინზე საშოვარზე გამოსული მათხოვრებიც – წიგნიერი ხალხი ხომ გულჩვილია.

რაც შეეხება მაღაზია "პარნასს", მისი მესვეურები, ღევან თითმერია და გია დარსალია, "წიგნის სახლის" საზეიმო გახსნაზე იყვნენ მობრძანებული. ბატონმა დარსალიამ ამიხსნა: "წიგნის სახლს" ჩვენ კონკურენტად არ მივიჩნევთ. პირიქით. ეს დამატებითი სტიმულია. მაღაზიები ცოტაა, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვეხმარებით ერთმანეთს. ჩვენ სულ სხვა რამ გვიწევს კონკურენციას – ის, რომ ქართველ ხალხს არ აქვს იმდენი ფული, რომ არჩევანის წინაშე არ დადგეს – წიგნი იყიდოს თუ ბავშვის სათამაშო".

"წიგნის სახლი" მრავალს უკვე ზამთრის "გადაგორების" შესაძლებლობად ესახება. რა ჯობია – კარგი წიგნები, მშვენიერი ყავა, იქვე, ბიბლიოთეკაშიც აისეირნებ და იქნები ასე, ნეტარი, მით უმეტეს, რომ მზიანი მხარეა...

თბილისი. ენციკლოპედია

"წიგნის სახლის" საზეიმო გახსნაზე ახალი ენციკლოპედიის, "თბილისის" პრეზენტაცია გაიმართა. ეს პირველი ქართული სამეცნიერო გამოცემაა, რომელიც ერთ ქალაქს ეძღვნება. საპატიო მოქალაქეების ნუსხით დაწყებული და დედაქალაქში აღმართული ქანდაკებებით დამთავრებული – ყველაფერი ერთ ტომშია თავმოყრილი. ეს სიამოვნება 35 ლარი ღირს, მაგრამ თუ გული გულობს...

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის სახელით "წიგნის სახლში" შეკრებილ საზოგადოებას ბატონმა ავთანდილ საყვარელიძემ მიმართა.

მართლაც, ამგვარი წიგნის არსებობა შესანიშნავი მოვლენაა. თუმცა, ლაშა ბაქრაძემ სრულიად საოცარი რამ მითხრა: მამამისის, აკაკი ბაქრაძის შესახებ ამ წიგნში ნათქვამი ყოფილა, რომ მან 1997 წელს ღირსების ორდენი მიიღო. ლაშა ამ ფაქტს სასტიკად უარყოფს: "მამაჩემს უღირსი მთავრობისგან არავითარი, მით უმეტეს, ღირსების ორდენი არ მიუღია და არც მიიღებდა. რაღაცეების მოგონება სულ არაა საჭირო. ძალიან კარგი იქნება, თუ შეასწორებენ, ალბათ, სხვა რამეებიც იქნება შესასწორებელი".

და ბოლოს

"წიგნის სახლის" გახსნა დღესასწაული იყო. ვულოცავთ ყველას, ვისაც ეს ამბავი გაუხარდა. და თუკი "თბილისში" მნიშვნელოვან მოვლენათა შორის ისიცაა აღნიშნული, რომ 1829 წლის 27 მაისს ჩვენს ქალაქს ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი ეწვია, შემდეგ გამოცემაში, ალბათ, იმასაც აღნიშნავენ, რომ 2003 წლის 5 ოქტომბერს გაიხსნა "წიგნის სახლი".

P.S. ლიტერატურის მოყვარულთათვის: ამიერიდან "ლიტერატურული ხუთშაბათობები" ოთხშაბათობით, წიგნის სახლში გაიმართება: ზაალ სამადაშვილი ლიტერატურულ ციკლს, "ახალ განზომილებას" წარმოადგენს. ოთხშაბათს, 5 საათზე, რევაზ ინანიშვილის "რჩეულის" პრეზენტაცია შედგება.

მოდის მილანური ფინალი

თამარ ბაბუაძე

გუშინ, 5 ოქტომბერს მილანში მოდის უდიდესი დღესასწაული დამთავრდა. ზამთრის პირზე განსაკუთრებული მაღალი ტემპერამენტის მქონე მაყურებლისთვის დიზაინერებმა 2004 გაზაფხული-ზაფხულის კოლექციები წარმოადგინეს. განსაკუთრებულად მაღალი ტემპერამენტი კი ტყუილუბრალოდ არ გვიხსენებია – მხოლოდ მათ შეუძლიათ ერთდროულად მიაქციონ ყურადღება შემოდგომა-ზამთარში მოდურად ჩაცმას და თან საგაზაფხულო სეზონისთვისაც ხუთიოდე თვით ადრე დაიჭირონ თადარიგი.

თუმცა, არჩევანის გაკეთება აშკარად გაუძნელდებათ. მოდის ახალ ტენდენციებს ყველაზე მოდურებს ხომ 100-მდე დიზაინერი ახვევდა თავს. მათ შორის ისეთი გავლენიანი და დიდი სახელები, როგორებიცაა: ჯორჯო არმანი, "დოლჩე & გაბანა", "ბარბერი", Moschino, "ჩერუტი 1881", "პრადა", "მაქსმარა", "აისბერგი", ლაურა ბიაჯოტი, ემილიო პუჩი, "გუჩი", "ტრუსარდი", "ბლუმარინი", რობერტო კავალი, "ჯანი ვერსაჩე - ვერსუსი"...

გუშინ ბოლო ჩვენება მილანში 14:30-წთ-ზე გაიმართა და ტომაზო სტეფანელის ჩვენებით დაიხურა. თუმცა, ცხადია, ამინდი მოდის კვირეულზე ძველებურად დიდმა სავაჭრო ნიშნებმა შექმნეს. გადავხედოთ რამდენიმე მათგანის კოლექციას და ვნახოთ, რასა და რას შორის მოუწევთ საგაზაფხულოდ არჩევანის გაკეთება ყველაზე მოდურებს:

დონატელა ვერსაჩე: გამოჩნდა თუ არა დიზაინერი პოდიუმზე, მაყურებელს მაშინვე გაუჩნდა რაღაც ძალზე ტემპერამენტულისადმი წინათგრძნობა. დონატელას, როგორც ყოველთვის, მყვირალა ფერებითა და პოპ-არტის ილუსტრაციებით გაწყობილი მაისური ეცვა, მკლავზე უამრავი ფერადი სამაჯური ჰქონდა ასხმული, ხოლო შავ შარვალზე, ქამრის ნაცვლად გამჭვირვალე ნაჭერი ჰქონდა ჩადგმული. ეს ყველაფერი მის გაშლილ, ყვითელ თმაზე განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა.

მას იგივე განწყობით შემოსილი მერაია ქერი და ჯგუფ "დესთინიზ ჩაილდსის" ყოფილი წევრი, ბეიონს ნოულსი უმშვენებდა გვერდს. პირველი – თეთრი ფეხსაცმლითა და იმგვარად შეჭრილ-შემოჭრილი თეთრი კაბით, რომ მაქსიმალურად გამოჩენილიყო მისი ბიუსტი, მეორე – ფოსფორისფერი მწვანე კაბით, რომელზეც უცნაურად ბრჭყვიალებდა ხელჩანთა – ხასხასა მწვანე ტყავის, მთლიანად ძვირფასი თვლებით გაწყობილი საკიდურით.

წინათგრძნობა გამართლდა. ვერსაჩეს 2004 წლის ზაფხული, მართლაც, სულ ნეონის შუქით და მზის სხივებით განათებული წარმოუდგენია. და არა მარტო ზაფხული; ასეთივე უნდა იყოს შიფონის კაბებიც, მხოლოდ ორ თასმაზე დამაგრებული ფეხსაცმელებიც და საცვალებიც კი. რა თქმა უნდა, ეს ქალბატონი პასტელისებურ ფერებს არც არასდროს სცემდა პატივს, მაგრამ იმდენი ტემპერამენტი, რამდენიც ამ ახალ კოლექციაში იგრძნობა, მაინც არასდროს ყოფილა.

ვერსაჩეს აზრით, 2004 წლის გაზაფხული/ზაფხულის ქალბატონები თავხედურად უნდა აჩენდნენ სხეულის ყველა ლამაზ დეტალს – მუცელს, თეძოებს, ზურგს. შორტებიც კი ისეთი მოკლე უნდა იყოს, რომ ძლივს ფარავდეს უკანალს.

დონატელა გამოსავალს სთავაზობს ე.წ. "ოფის-გოგონებსაც" – მათ, ვისაც წესით სამსახური არ უნდა აძლევდეს საშუალებას, აყვნენ ვერსაჩეს ტემპერამენტულ იდეებს. მათ შემთხვევაში დონატელა კომპრომისზე მიდის (სავარაუდოა, რომ გოგონების ხელმძღვანელი და თანამშრომელი მამაკაცების ნერვებს ინდობს) და მხოლოდ ძალზე მყვირალა ფერის, მაგრამ სამაგიეროდ დახურული კაბებითა და ლაბადებით იფარგლება, დაახლოებით ისეთით, ლინდა ევანგელისტას რომ აცვია.

ასე რომ, დონატელა გვთავაზობს: შიფონს, როგორც მთავარ ქსოვილს, რაც შეიძლება მკვეთრ ფერებს, ღრმა დეკოლტეებს, მინის და მომდგარ შარვლებს.

"გუჩი": ტომ ფორდი შეუდარებელია, რა მოხდება, გეი არ იყოს – ამ მოსაზრებას მსოფლიოს მრავალი ქალი ეთანხმება. თუმცა, არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია, ფორდს ხელს სულაც არ უშლის იმაში, რომ ქალებმა ნომერ პირველ მამაკაცად აღიარონ და დაასკვნან: "გუჩის" სახლს სათავეში უკონკურენტო ლიდერი უდგას. ვინ, თუ არა მან, იცის ყველაზე უკეთ, რა სურთ ქალებს.

და აი, რა სურთ ქალებს, ტომ ფორდის აზრით, 2004 წლის გაზაფხულზე: მაშინ როცა დანარჩენი დიზაინერები შთაგონებას საბერძნეთში დაგეგმილი ოლიმპიური თამაშებისგან იღებენ და ქმნიან კაბებს თითქოს ქალ-ღმერთებისა და ქანდაკებებისთვის, ფორდის მოდელები მაინც ქალურობასა და მიწიერებას ინარჩუნებენ:

სატინისა და აბრეშუმის ძალზე სექსუალური კაბები; ალაგ-ალაგ გამჭვირვალე, ტანზე მჭიდროდ მომდგარი, შავი და კანისფერი ქსოვილები; მათზე დაუდევრად მიკერებული ვერცხლისფერი კუდები; პუანტის შთაგონებით შექმნილი ულამაზესი ფეხსაცმელები; უცნაური და მასიური სამაჯურები, ორიგინალური ხელჩანთები, მინიქვედაბოლოებზე მიმაგრებული, დაქარგული ნაჭრები; ფერები – შავი, პასტელის ყავისფერი, ნაზი ყვითელი და ხასხასა მწვანე.

"ფენდი": "ეს ყველაფერი ცხოვრების წრეს ეხება – მზის ამოსვლის ფერები, დედამიწა, წყალი... მინდოდა ქალური ბუნებრიობისთვის გამესვა ხაზი. მიზნის მიღწევა ტანზე მჭიდროდ შემოხვეული რბილი ქსოვილებით ვცადე", - განაცხადა კარლ ლაგერფელდმა ჩვენების ბოლოს.

ნაომი კემპბელი "დოლჩე & გაბანასთვის".

ვერსაჩე ცეცხლოვანი ფერებით.

მანამდე კი პოდიუმი დაიპყრეს "ფენდის" ქურქით შემოსილმა ქალებმა. ვარდისფერის სრული გამა, აკვამარინი, მწვანე; ზღარბის ეკლებივით დაჭრილი აბრეშუმი, რომელიც ფეხისა და თეძოს სილამაზესაც აჩენს და ქსოვილისაც და ასეთივე ფორმებით დაჭრილი, ფერადი აბრეშუმის ჩანთები.

ცხადია, ეს სამი სავაჭრო ნიშანი მთელი კვირეულის შესახებ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის, მაგრამ თუ იმასაც დავძენთ, რომ "პრადას" სახლმა გაზაფხულის მთავარი თემა – ქალურობა, პასტელისებური ფერებით გამოხატა, მაშინ ნაწილობრივ მაინც გვეცოდინება ახალი წლის მოდური ტენდენციები. ასე რომ, ყველაზე მოდურებო, გადახედეთ და დაფიქრდით. არჩევანის გასაკეთებლად დრო გაქვთ – მთელი ხუთი თვე.

მერაია ქერი, დონატელა ვერსაჩე და ბეიონს ნოულსი.

ტომ ფორდის მგრძნობიარე და სექსუალური ქალები.

ვარსკვლავების რჩეული

ანა ქორძაია-სამადაშვილი

რა აქვთ საერთო დევიდ ბექჰემს, მადონას, კლაუდია შიფერსა და ბრედ პიტს? მათ ერთი სათაყვანებელი კაცი ჰყოლიათ: სტივენ კლაინი, 38 წლის ნიუ იორკელი, რომელიც ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფოტოგრაფია.

ძვირფასო ფოტოგრაფებო! მადონამ რომ გკითხოთ, სურათებს ხომ არ გადამიღებდიო, რას იტყვით? ჯერჯერობით ასეთ შემოთავაზებას გულგრილი არავინ დაუტოვებია, და რაც არ უნდა ამაყად ეჭიროს თავი, ყოველი ხელოვანი გულის სიღრმეში ძალიან ნასიამოვნები რჩება ხოლმე. გამონაკლისი, ცხადია, არც სტივენ კლაინი ყოფილა, მასაც გულს მოეფონა, მაგრამ როცა ჰკითხეს, რაღა თქვენ აგირჩიათ მადონამ თავისი ალბომის, American Life-ის სარეკლამო ფოტოგადაღებისთვისო, აუღელვებლად თქვა: "არ ვიცი. ამ კითხვაზე მადონა უკეთ გაგცემთ პასუხს".

საერთოდ, კლაინს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს, სიტყვაძუნწია, ინტერვიუებისგან თავს იკავებს და ეჯავრება, როცა სურათებს უღებენ. სამაგიეროდ, თავის შემოქმედებას ის სულ სხვა, და ბევრად უფრო ბრძნული გზით უწევს რეკლამას. სტივენ კლაინი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მსახიობების, მოდელებისა და მუსიკოსების ფოტოგრაფია. მან გადაიღო კრისტი ტარლინგტონის, იოგას წყალობით, უნაკლო სხეული ამერიკული "ვოგის" გარეკანისთვის – მერე რა, რომ კრისტის ვერცხლისფერი სამოსი ფარავდა? კლაინის კამერას მაინც არაფერი გამოეპარება. მის მიერ გადაღებული ჯასტინ ტიმბერლეიკი პირსისხლიანი და ოქროსკბილიანი გარეწარია - ასეთად NSYNC-ის ლიდერი არავის წარმოედგინა.

ხუმრობა საქმეა? - კლაინს თავად ფინქმა სთხოვა, ფრიად ორაზროვან პოზაში გადაეღო მისთვის სურათი. შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფას ჟურნალში, W-ში, სტივენ კლაინის მიერ გადაღებული მადონას სურათები 44 გვერდზეა განლაგებული, და ისეთი ფოტოებია, სუნთქვა შეგეკვრებათ.

პრიმა-ბალერინა მადონა რეპეტიციების დროს; მადონა ბადისებრ წინდებში, დაუჯერებელ პოზაში განისვენებს საკმაოდ უსუფთაო ფიცარზე; მადონა კრისტიან ლაკრუას მიერ შექმნილ აალებულ სამოსში – მას კბილებდაკრეჭილი კოიოტები უდგანან გვერდში... ასეთი მადონა არასოდეს არავის უნახავს, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოსურათების რაოდენობით ის მსოფლიო რეკორდსმენია. სტივენ კლაინის ეს ფოტოსურათები ნიუ იორკის ხელოვნების გალერეა "დიტრიხში" გამოიფინა და დიდი წარმატებაც ხვდა წილად. მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდოები წინაა - ფოტოგრაფი სტივენ კლაინი მადონას ახალ ვიდეოკლიპს, Nothing Fails-ს გადაიღებს.

უკვე 15 წელია, რაც კლაინი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მოდების ჟურნალებისთვის მუშაობს. მანამდე ის ისლანდიის დიზაინის სკოლაში ხელოვნებას სწავლობდა, მაგრამ კარგად ხვდებოდა, რომ ასე შორს წასვლას ვერ მოახერხებდა. "კარგი მხატვარი არა ვარ, თან ფული მჭირდება," ახსნა კლაინმა. ამიტომ მან ფოტოგრაფიის შესწავლა დაიწყო. მართალია, ამ საქმეში მიღებული სამხატვრო განათლება ძალიან გამოადგა. "სინათლისა და ფერის სრულყოფილი შეთანხმება ფოტოგრაფისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მრავალი ფოტოსურათის გადაღების შთაგონებას დიდოსტატთა ტილოებსაც ვუმადლი," აღიარა კლაინმა.

ოთხმოციან წლებში პარიზში ჩასულმა კლაინმა "დიორის" კოსმეტიკის სარეკლამო კამპანიებზე მუშაობა დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ უკვე საკუთარ ძალებში დარწმუნებული ფოტოგრაფი ნიუ იორკში დაბრუნდა, თუმცა იქ გარკვეულ სირთულეებსაც შეეჯახა: ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მისი "პირქუში" ფოტოსურათები დიდი მოწონებით არ სარგებლობდა – ჟურნალის გარეკანებზე მოდელებს ბედნიერი ღიმილი უნდა ჰქონოდათ, ჰოლივუდის ვარსკვლავი კი ნახევარღმერთივით უნაკლო უნდა ყოფილიყო. კლაინი ამ დინებას არ გაჰყვა, მას საკუთარი გზა ჰქონდა. როგორც ხედავთ, მისი დროც დადგა, და დღეს უკვე ის აყენებს პირობებს, და არა ვინმე სხვა: "გადაღებისთვის მოსამზადებლად მე დრო მჭირდება. ჩემთვის ყველაზე დიდი საშინელება ის იქნება, რომ გავლილი გზა კვლავ გავიარო". ჯერჯერობით მას ეს საფრთხე არ დამუქრებია – ამის დასტური მისი პორტფოლიო გახლავთ.

სტივენ კლაინს, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, ინტერვიუები დიდად არ უყვარს, გერმანულმა ჟურნალმა "მაქსმა" რამდენიმე სიტყვა მაინც დასტყუა, და ცალკეული თემები, რომლებსაც ჩვენი გერმანელი კოლეგა შეეხო, უაღრესად საინტერესოდ მეჩვენა. მაგალითად: მართლა ისეთი ჭირვეულები და აუტანელები არიან ვარსკვლავები, როგორც ჰყვებიან ხოლმე?

სტივ კლაინი ამ სფეროში, ცხადია, შესანიშნავად ერკვევა და, ალბათ, რაღაცეები დაეჯერება კიდეც. ის მოჰყვა, რომ "ისინი, ვისთანაც მე მომიწია მუშაობა, ძალიან სასიამოვნო ადამიანები იყვნენ, კარგი პროფესიონალები. სხვა თუ არაფერი, მათ უნდოდათ, რომ გადამეღო... ჩვეულებრივ, არც მე ვაძალებ ვისმეს, ისეთი პოზა მიიღოს, რომელიც მისთვის არასასიამოვნო იქნებოდა." კლაინი ყველას თავისებურად უდგება – ჯერ პიროვნების გაცნობას ცდილობს: "როცა მსახიობი მყავს გადასაღები, მის ფილმებს ვუყურებ, მუსიკოსებისას – ალბომებს ვუსმენ.... მაგრამ ხშირად ვარსკვლავები სულ სხვანაირები არიან, ვიდრე მე წარმომედგინა. ყველაფერს ისევ პირადად მათგან მირჩევნია ინფორმაციის მიღება".

კლაინის თქმით, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე მადონამ მოახდინა. "მე მისი მსგავსი არავინ შემხვედრია. მასზე ამბობენ, მხოლოდ საკუთარი აზრი აინტერესებსო. სინამდვილეში ის, უბრალოდ, შემოქმედებით პროცესში იღებს მონაწილეობას, რაც, ჩემი აზრით, ფანტასტიკურია. მას დაუჯერებელი ენერგია და ინტუიცია აქვს. მადონამ მკაფიოდ იცის, რა უნდა."

W-ს მადონასადმი მიძღვნილი გამოცემის წარმატების შემდეგ ამავე ჟურნალის გარეკანზე სტივენ კლაინის მიერ დანახული ბრედ პიტიც გამოჩნდა, და ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა "მამაკაციანი ჟურნალი" დიდებულად გაიყიდა. ამ წარმატებას სტივენ კლაინი მარტივად ხსნის – პიტი ძალიან მამაკაცურია და იმიტომო. ახლა სტივენს სულ სხვა "ჯიშის" ადამიანების გადაღება უნდა – მაიკლ ჯექსონის და პრინცისა. ალბათ, გადაიღებს კიდეც – ყოველ შემთხვევაში, აქამდე მისთვის ამ საქმეზე უარი არავის უთქვამს.


ბრედ პიტი სტივენ კლაინის ობიექტივისთვის პოზირობს.

ფეხბურთი

რონალდინია რონალდო არ არის

ბრაზილიის ნაკრებმა რონალდოს მომხიბვლელი მეუღლე მილენა დომინგეში - რონალდინია, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანა, მაგრამ ყველა მიმომხილველი ერთიანად ალაპარაკდა, რომ რონალდინიას მსოფლიო ჩემპიონატზე წაყვანა უბრალო სარეკლამო ტრიუკი იყო და მეტი არაფერი. რონალდინია ხომ რონალდო არ არის. ამ მოსაზრებას ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი პაულო გონსალვეშიც დაეთანხმა. მან Reuters-ს განუცხადა, რომ ფეხბურთელი მე-20 ნომრით ჩემი გუნდის თამაშს ვერ გააძლიერებს.

ამის მიუხედავად, სენიორა მილენა ბრაზილიის ნაკრებში ყველაზე პოპულარულ პერსონაჟად მიიჩნევა. რეპორტიორები დაუღალავად იკვლევენ მილენ დომინგეშის ბიოგრაფიის სულ უფრო ახალ დეტალებს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

საინტერესოა, მაგრამ რონალდოსთან შეხვედრამდე მილენას საკმაოდ უფერულ ფეხბურთელად მიიჩნევდნენ. 1997 წელს, როცა რონალდინია "კორინთიანსის" ღირსებას იცავდა, მთელი სეზონის განმავლობაში ერთხელაც ვერ დალაშქრა მეტოქის კარი. მომავალი ქმრის გაცნობის შემდეგ კი დომინგეშის ოსტატობა დღითიდღე კი არა, არამედ ყოველ საათს იზრდებოდა!

ყმაწვილქალობაში მილენა ვერ იტანდა ქვედა კაბებს. არასოდეს ყურყუტებდა სარკესთან და მეგობრების წრეში არასოდეს ოცნებობდა პრინცებზე. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გამოიყურებოდა მომავალი სექს-ბომბა. ამ პატარა გოგონაში დედამ ლამაზმანი შეიცნო. 1995 წელს სწორედ მან შეიყვანა სამოდელო სააგენტოში 15 წლის "საოცრება". შედეგად მილენამ ყველა მოდელი ფეხბურთით დააჯავადა და სააგენტოს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, საკუთარი ფეხბურთის გუნდიც კი ჩამოეყალიბებინა.

მილენა დომინგეშს მიიჩნევდნენ ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მსოფლიოში, მაგრამ მისი წლიური ხელფასი მხოლოდ 310 000 დოლარი იყო. რონალდოს 6 მილიონთან შედარებით ეს გროშებია.

როცა მომავალმა ფეხბურთელმა თავის ძმებს პირველად სთხოვა, თავის გუნდში აეყვანათ, ბევრი ფიქრის გარეშე ის კარში ჩააყენეს. თუმცა, მილენა კარში დიდხანს ვერ გაჩერდა, თავისი ადგილი დატოვა, მიიღო ბურთი, შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში და ულამაზესი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ მილენას კარში დაყენებას ვერავინ ბედავდა.

ერთხელ მილენამ ტელევიზორში დაინახა მარადონა, რომელიც კენწლავდა და ბურთით გაუთავებლად, უშეცდომოდ ჟონგლიორობდა. რონალდინიამ გადაწყვიტა, ბურთით ჟონგლიორობაში მსოფლიო რეკორდი მოეხსნა. რეკორდის შტურმისთვის სერიოზული მზადება დაიწყო. ვარჯიშებში ასეთი რამეც იგულისხმებოდა: ბურთი თავზე უნდა გაეჩერებინა და, ამასთან, საკვები მიეღო, ან... მოეშარდა. შედეგად, რონალდინიამ მიიღო 9 საათი და 6 წუთი განუწყვეტელი კენწლვა და ჟონგლიორობის დედოფლის ტიტული.

მილენა დომინგეში ბრაზილიის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი ქალია

ვინ გააუვატიურა 17 წლის გოგონა?

ინგლისში, ფეხბურთელებთან დაკავშირებით, დიდი სკანდალი მოხდა. რვა ფეხბურთელს, რომელთაგან ერთი ინგლისის ნაკრების წევრია, 17 წლის გოგონას გაუპატიურებაში ედება ბრალი. მაგრამ ბრალიც არის და ბრალიც. თუ ფეხბურთელებს ძალადობა დაუმტკიცდებათ, სავარაუდოდ, მათი საფეხბურთო კარიერა დასრულდება. ასეა თუ ისე, გამოძიება მიმდინარეობს და მისი შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ინგლისის ნაკრების წევრს გაუმართლა.

დევიდ ბექჰემის დამ, რომელიც სწორედ ბრალდებული ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის "გელფრენდია", გაზეთ "სანთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ მას უტყუარი ალიბი აქვს თავისი მეგობრის სასარგებლოდ. თუმცა, 21 წლის ჯონ ბექჰემი თავს იკავებს მეგობრის ალიბის კომენტირებისგან. ქალბატონი ბექჰემი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ იმ საღამოს, როცა დანაშაული მოხდა, ის თავის მეგობართან ერთად იყო წვეულებაზე, რომელიც გვიან ღამით დასრულდა.

ლონდონის პოლიცია ჯერჯერობით არ აცხადებს იმ ფეხბურთელთა გვარებს და მათ გუნდებს, რომლებიც ძალადობაში არიან ბრალდებულნი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მათ შორის ინგლისის ნაკრების ერთი ფეხბურთელია.

TV-სპორტი

ორშაბათი. 6 ოქტომბერი

НТВ + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 რუსეთის ჩემპიონატი. "შინიკი" – "სატურნ-REN TV"
15:05 ესპანეთის ჩემპიონატი
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:00 გერმანიის ჩემპიონატი
19:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
21:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:20 იტალიის ჩემპიონატი
00:00 სახვალიო ტელეპროგრამა
00:05 თავისუფალი დარტყმა
00:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ატლეტიკო მინეირო" – "ვასკუ და გამა"

НТВ + СПОРТ

11:00, 14:15, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "საჭადრაკო მიმოხილვა"
12:15 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი. ფინალები
14:30 ავტორბოლები. პოლოს თასი. ექვსსაათიანი რბოლა
16:00 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი. ფინალები.
შესვენებისას (17:00) პრესცენტრი
18:15 სპიდვეი. ნორვეგიის გრან-პრი
19:45 რბენის ციმბირული ფესტივალი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "რკინის ფაქტორი"
21:00 პროფესიული კრივი. ევანდერ ჰოლიფილდი – ჯეიმს ტუნი
23:00 "დღის თემა"
00:00 მოსკოვური გოლფი. ნიკ ფალდო რუსეთში
00:25 ტრიატლონი. მსოფლიო თასი ინგლისში
01:15 ახალი ამბები
01:30 სპორტული ცეკვები. "მერის თასი". პირველი ნაწილი
02:55 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კუბა. ვაჟები – ქალები. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

06:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი ქალებში. აშშ
11:30 მოტორბოლები. გრან-პრი იაპონიაში
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური აშშ-ში
13:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი ბელგიაში
14:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი სან რემოში
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი ქალებში. აშშ
17:00 სნუკერი. პრესტონის თასი დიდ ბრიტანეთში
20:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი ქალებში. აშშ
21:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი ქალებში. აშშ
23:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი სან რემოში
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:15 ფეხბურთი. უეფა
02:15 ფეხბურთი. ევროგოლები
03:30 მულტისპორტი
03:45 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კუბა

ფეხბურთი

"დინამოს" ტრადიციული მილოცვა

მიხეილ აბაიშვილი

ოთხად დაყოფილი საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნაწილი, ანუ პირველი ეტაპის პირველი წრე გუშინ მე-11 ტურის მატჩებით დასრულდა. სატურნირო ცხრილის სათავეში "დინამოა", რაც ჩემპიონატის დაწყებამდე საკმაოდ იოლი სავარაუდო იყო. თუმცა, ორი ტურის წინ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ პირველი წრის შემდეგ "დინამოს" გალიდერებას ცოტა ვინმე თუ მოელოდა. მე-9 ტურის შემდეგ "ვიტ ჯორჯია" "დინამოსთან" 4-ქულიანი ჰანდიკაპით დაწინაურდა და ვერავინ იფიქრებდა, რომ სეზონის დაწყებიდან სტაბილურად მოთამაშე ვეტერინართა გუნდი არათუ გაფანტავდა ამ უპირატესობას, არამედ კონკურენტს სულაც წინ გაუშვებდა.

მე-11 ტურის მთავარი მოვლენები განვითარდა ბათუმსა და ბოლნისში, სადაც სატურნირო ცხრილში დაწინაურებული ოთხეულიდან სამმა გუნდმა ითამაშა. ბოლნისში ადგილობრივმა "სიონმა" ლიდერს, "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა. არის მატჩები, რომელშიც გამარჯვება არა 3, არამედ 6 ქულის მომტანია. ასეთი ფასი უშუალო კონკურენტების დაპირის-პირებისას აქვს გამარჯვებას. ეს მატჩიც ასეთთა კატეგორიას ეკუთვნოდა. ქართულ საფეხბურთო სივრცეში "სიონი" სამართლიანადაა მიჩნეული "სახლის გუნდად". ბოლნისელები განსაკუთრებით კარგად თამაშობენ საკუთარ მოედანზე და უმეტეს შემთხვევაში ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდებს ბოლნისიდან სულაც უქულოდ ისტუმრებენ. ამიტომაც, "ვიტ ჯორჯიას" ზედმეტი სიფრთხილე ნამდვილად არ გამოუჩენია და, მართალია, შეტევებში ნაკლებად აქტიური თამაშის გამო გოლის გატანა ვერ მოახერხა, მაგრამ ამის გაკეთება არც მეტოქეს დაანება და კინკილა, მაგრამ მაინც ქულა შემატა სატურნირო ყულაბას.

იმ დროს, როცა "სიონი" და "ვიტ ჯორჯია" კატათაგვობანას ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, ბათუმში "დინამო" დაკარგული ლიდერობის დაბრუნებას ცდილობდა და ამ მიზნისთვის პირველივე წუთებიდან დაიწყო მასპინძლების შევიწროება. ზღვისპირელებმა მე-19 წუთამდე, ანუ მათი საჯარიმოს მისადგომებთან დარასელიას წაქცევამდე გაძლეს. მოულოდნელად საჯარიმო დარტყმის შესრულება ითავა რატი ალექსიძემ, რომელიც ძალზე იშვიათად აცხადებს პრეტენზიას სტანდარტების შესრულებაზე. თუმცა, მისი გადაწყვეტილება სრულიად გამართლებული აღმოჩნდა: რატის დარტყმის შემდეგ ბურთმა ცოცხალ კედელს გადაუფრინა, მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ კი ბადეში გაეხვია.

გოლის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და 10-წუთიანი შტურმიც მოუწყვეს "დინამოს", თუმცა, მხოლოდ ერთხელ დაარტყეს ზოიძის კარში. ბურთი ძელს მოხვდა. მეტის გაკეთება მათ სტუმრებმა არ დაანებეს.

პირველივე ტაიმში დარასელიას შეეძლო, ანგარიშში სხვაობა 2-მდე გაეზრდა, მაგრამ მის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ჯერ ქვაჩახიამ მოიგერია, შემდეგ - კარის ძელმა და სიტუაცია განიმუხტა. შეხვედრის პირველ ნახევარში ახალაიას გარღვევისა და ჩაწოდების შემდეგ ალექსიძეს კიდევ ერთხელ შეეძლო მასპინძელთა დამწუხრება, მაგრამ მეკარის ჯობნა ვერ მოახერხა.

მეორე ტაიმში მელქაძესაც ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად ვერ დაარტყა. კარგა ხნის შესვენების შემდეგ ამ მატჩში მონაწილეობა მიიღო ოთარ ხიზანეიშვილმა, რომელიც შუშაკმა მეორე ტაიმში შეიყვანა მოედანზე. რაკი "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღეს შუშაკის დაბადების დღეა. მისმა ფეხბურთელებმა არც ამჯერად დაარღვიეს ტრადიცია და 3 ქულით მიულოცეს მას (შარშან შუშაკის დაბადების დღეს დაემთხვა "დინამოს" მატჩი ბათუმში, რომელშიც თბილელებმა 3:1 გაიმარჯვეს).

დანარჩენი შეხვედრებიდან გამოვყოფთ გორის "დილას" საშინაო გამარჯვებას ქუთაისის "ტორპედოსთან". გორელებმა მყარად მოიკიდეს ფეხი პირველ სამეულში.

"ლოკომოტივისა" და "თბილისის" მატჩი გადაიდო, რადგან "თბილისმა" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში 5 ფეხბურთელი მიავლინა და ამით საგრძნობლად დასუსტდა. ხსენებული ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ესტონეთში გაემგზავრა. პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა "თბილისის" თხოვნა და "ლოკომოტივთან" მატჩი 4 ნოემბრისთვის გადადო.

5 ოქტომბერი, მე-11 ტური

მცხეთა - კოლხეთი	3:1
მერცხალი - სპარტაკი	2:3
გათუმი - დინამო	0:1
სიონი - ვიტ ჯორჯია	0:0
დილა - ტორპედო	1:0
ლოკომოტივი - თბილისი	გადაიდო

11 ტურის შემდეგ "დინამოს" 23 ქულა აქვს. მას კვალში უდგანან "ვიტ ჯორჯია" და "დილა" 22-22 ქულით, ხოლო "სიონი" 20 ქულით მე-4 საფეხურზეა.

რა ხდება ბექჰემების ოჯახში?

მას შემდეგ, რაც დევიდ ბექჰემი მადრიდის "რეალში" გადავიდა, საკმაო დრომ გაიარა, თუმცა, სამეფო კლუბის ინგლისელმა ლეგიონერმა ჯერაც ვერ შეძლო საბინაო პრობლემების მოგვარება. ახლა ბექჰემების ოჯახი მადრიდის უძვირფასეს სასტუმრო „Santo Mauro"-ში ბინადრობს და იქაურ ადმინისტრაციას დიდ პრობლემებს უქმნის. ბექჰემის პირადი ცხოვრება კვლავ პრესის ყურადღების ცენტრშია, სასტუმრო „Santo Mauro"-ს დანარჩენი მცხოვრებლები კი უდიდეს დისკომფორტს განიცდიან.

საქმე ის გახლავთ, რომ დევიდს და ვიქტორიას სურთ, სასტუმროს აუზში განმარტოებით ინებივრონ. ადმინისტრაცია იძულებულია, მდიდარი კლიენტების ეს კაპრიზი დააკმაყოფილოს. აუზს კი ბექჰემები ყოველდღე სტუმრობენ და „Santo Mauro"-ს დირექცია იძულებულია, ყველა დანარჩენ დამსვენებელს აუზზე უარი უთხრას. "ეს არ არის ის საქციელი, რომელსაც ჩვენ ინგლისელებისგან ველოდით", - აცხადებს სასტუმრო „Santo Mauro"-ს ერთ-ერთი სტუმარი.

თავად წყვილი კი თავის ამ კაპრიზს პერსონალური მცველებისთვის სამუშაოს გაადვილების სურვილით ხსნის. ბექჰემები ირწმუნებიან, რომ სავსე აუზში მათი დაცვა ბევრად უფრო გართულდება.

ადრე თუ გვიან, ბექჰემების ოჯახი საკუთარ სახლში გადავა საცხოვრებლად და „Santo Mauro"-ს სტუმრებიც შვებით ამოისუნთქავენ. მაგრამ რა ეშველება უძველეს ინგლისურ საფეხბურთო კლუბ "The Posh"-ს? ქალაქ პიტერბოროს ეს სამოყვარულო გუნდი იმავე სახელს ატარებს, რასაც ვიქტორია ადამსი. "Posh", რაც ინგლისურ ენაზე მშვენიერს ნიშნავს, ვიქტორია ადამსის მეტსახელია. შოუბიზნესის სამყაროში მას ხშირად მოიხსენიებენ "პოშ-სპაისად". ახლა კი ვიქტორიამ შეიტყო, რომ ის ამ სახელის

ბექჰემებს ოჯახური პრობლემები აქვთ.

REUTERS

ერთადერთი მატარებელი არ ყოფილა და საშინლად განრისხებულა. ბექჰემის მეუღლე აპირებს, საფეხბურთო კლუბს სასამართლოში უჩივლოს. "ქალბატონ ბექჰემთან შეხვედრას იანვრის შემდეგ ვცდილობთ, მაგრამ ამაოდ. ის მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს ურთიერთობის გარკვევას", - აცხადებს კლუბის პრეს-მდივანი. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ უკვე 80 წელიწადია, რაც პიტერსბოროს საფეხბურთო გუნდს "The Posh"-ს უწოდებენ...

გარდა იმისა, რომ ბექჰემები გარეშე ხალხს უქმნიან პრობლემებს, პირად ურთიერთობებშიც საკმაოდ დიდ სიძნელეებს განიცდიან. დასავლეთის პრესა ირწმუნება, რომ ბექჰემების წყვილი დაშლის პირასაა მისული.

ამბობენ, თითქოს დევიდ ბექჰემმა თავის ასისტენტ ქალთან გააბა რომანი და მასთან ერთად მადრიდის ღამის კლუბებში დასეირნობს. ვიქტორია კი ამ დროს ლონდონში იმყოფება და ამერიკელ რეპერთან, "ჯეი-Z"-თან ერთად ატარებს დროს.

მადრიდის "რეალის" ვარსკვლავი, სრულიად დაუფარავად, რებეკა ლუსთან ერთად გამოცხადდა დისკოთეკაზე. "აშკარად ჩანდა, რომ ამ ქალბატონთან ერთად დევიდი ძალიან კარგად გრძნობდა თავს, გოგონა კი სრულიად თავისუფლად ეარშიყებოდა მას. დევიდი უაღრესად ბედნიერი მეჩვენა", - ყვება ერთ-ერთი მოწმე.

რებეკამ და დევიდმა გამთენიისას დატოვეს დისკოთეკა. ისინი ბექჰემის მანქანაში ჩასხდნენ და გაუჩინარდნენ.

მოწყენილობას არც ინგლისში მყოფი ვიქტორია უნდა უჩიოდეს. ქალბატონი ბექჰემი ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში რეპერ "ჯეი-Z"-ს და პროდიუსერ დეიმონ დაშის საზოგადოებაში ატარებდა დროს...

"მშრალი რეკორდი" მოიხსნა

ოლივერ კანს შემცვლელი გამოუჩნდა

"ნულოვანი რეკორდი" მან უკვე წაართვა ოლივერ კანს. არაუგვიანეს 2006 წლისა კი მას გერმანიის ნაკრების კარშიც სურს ადგილის დაკავება. ბუნდესლიგის გუშინწინდელ მატჩში, "კიოლნის" წინააღმდეგ, ტიმო ჰილდებრანდმა ახალი რეკორდი დაამყარა – 825 წუთი გოლის გარეშე. ამ რეკორდით მან დიდი ნაბიჯი გადადგა გერმანიის ნაკრებისკენ. თუმცა "შტუტგარტის" ახალგაზრდა მეკარე საკმაოდ მოკრძალებულია. "წინ დიდი დრო მაქვს და იმედი მაქვს, ოდესმე მიზანს მივაღწევ. კანსა და ჩემს შორის ჯერ კიდევ დიდია განსხვავება. ჯერ 24 წლის ვარ და უამრავი კომპონენტი მაკლია", - ამბობს ჰილდებრანდი. მიუხედავად იმისა, რომ თავის კერპს, ოლივერ კანს, ის დიდ პატივს სცემს, ჰილდებრანდს ეყო გამბედაობა, მისი "მშრალი რეკორდი" 24 წლის ასაკში მოხსნა. შეგახსენებთ, რომ კანმა რეკორდი დაამყარა გასულ სეზონში, როდესაც "ბაიერნის" კარი 802 წუთის განმავლობაში შეინახა გოლის გარეშე.

ტიმო ჰილდებრანდი კანის შესაცვლელად ემზადება.

მიმდინარე სეზონი ახალი დაწყებულია, თუმცა, "შტუტგარტის" დაცვის ხაზმა უკვე საკმაოდ გაითქვა სახელი, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე საიმედომ ბუნდესლიგაში. თანაგუნდელების ხელშეწყობით, ჰილდებრანდს მაგიური "მშრალი 1000 წუთის" მიღწევის შანსიც აქვს, თუმცა, ციფრებზე ფიქრს ის ნაკლებ ყურადღებას უთმობს. მისი მთავარი ამოცანა გერმანიის ნაკრებში მოხვედრაა. ამისთვის ჰილდებრანდი დამატებით, ინდივიდუალურადაც ვარჯიშობს. მეკარისათვის არცთუ შთამბეჭდავი მონაცემების (185 სმ. 78 კგ.) ჰილდებრანდი საათში 60 ევროს იხდის, რათა შტუტგარტის ერთ-ერთ ფიტნეს-კლუბში ინდივიდუალური ფიზმოზადება გაიაროს.

ცხადია, შეგირდის ასეთი მონდომებით ძალიან კმაყოფილია "შტუტგარტის" მკაცრი მწვრთნელი ფელიქს მაგატი. "ტიმოს კიდევ ბევრი აქვს სასწავლი, თუმცა, ის, რომ 24 წლის ასაკში ასეთი მნიშვნელოვანი რეკორდის დამყარება შეძლო, მისი დიდი წარმატებაა", - აცხადებს მაგატი და აქვე ამატებს: "ამიერიდან მას უფრო დიდი გამოცდები ელის. მას ბევრი რამ ექნება დასამტკიცებელი".

ჰილდებრანდის რეკორდით გუნდის თითოეული ფეხბურთელი აღფრთოვანებულია. "ეს შესანიშნავია!", - ამბობს ჰორსტ ჰელდტი, ხოლო ანდრეას ჰინკელი, მცველი, რომელსაც ჰილდებრანდის რეკორდში დიდი წვლილი მიუძღვის, ამ წარმატებას მთელი გუნდის დამსახურებად მიიჩნევს: "ეს რეკორდი მთელ გუნდს ეკუთვნის". ამავე აზრზეა თავად ჰილდებრანდიც: "მადლობას ვუხდი ჩემ თანაგუნდელებს. ეს რეკორდი სწორედ მათი დამსახურებაა".

ინფოთეკა

ფეხბურთი. "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი მადრიდის "რეალსაც" გადასწვდა და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდის, რონალდოს შეძენასაც აპირებს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ "ჩელსის" წარმომადგენლები აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ მადრიდის "რეალთან". ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, შეთანხმება მომავალი წლისთვის გაფორმდეს და რონალდო "ჩელსის" შემადგენლობაში ჩაირიცხოს.

■ ■ ■

ფეხბურთი. რომის "ლაციოს" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ უარყო ხმები, თითქოს მის გუნდში კრიზისია. "კრიზისი? რა კრიზისი? ეს ხმამაღლა ნათქვამია. მოდი, ვცადოთ მატჩებში სამი ქულის აღება და მერე ვნახავთ, რომ ამის შესახებ ლაპარაკი აღარ არის. ფიზიკურად კარგად გამოვიყურებით. უბრალოდ, რომში ნებისმიერი მარცხი ისე აღიქმება, როგორც ტრაგედია. ისევე, როგორც ყველა დიდ გუნდში", - განაცხადა მანჩინიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. მძიმე კვირა "ნიუკასლისთვის" მაყორულ ნოტზე დასრულდა. "კაჭკაჭებმა" ინგლისის ჩემპიონატის მატჩში "საუთჰემპტონი" დაამარცხეს და წარუმატებელი სერია შეწყვიტეს. ალან შირერმა კი გაიტანა მორიგი გოლი, რომელიც პრემიერლიგის მატჩებში 250-ე აღმოჩნდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ლივერპულის" ახალგაზრდა ფორვარდს მაიკლ ოუენს "ლივერპულ"-"არსენალის" მატჩში ფეხი სტკიოდა და მეორე ტაიმში შეცვალეს. ეს მოხდა ერთი კვირით ადრე ინგლისელთათვის უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ თურქეთში, სადაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის ბედი წყდება. მერსისაიდელთა მწვრთნელმა განაცხადა, რომ რენტგენმა ძვლის დაზიანება არ აჩვენა, მაგრამ ოუენს ახალი გამოკვლევა ჩაუტარდება. მოკლედ, ფრანგი სპეციალისტის თქმით, ჯერ რაიმე დასკვნების გაკეთება, ითამაშებს თუ არა ოუენი თურქების წინააღმდეგ, ნაადრევია.

■ ■ ■

ფეხბურთი. შვეიცარიის ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა ჰაკან იაკინმა შეიძლება გამოტოვოს შვეიცარია-ირლანდიის 11 ოქტომბრის მატჩი. იაკინი შვეიცარიის ჩემპიონატში, "ქსამაქსი"-"ბაზელის" პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. მას ფეხი ეტკინა. იაკინი შეიძლება ეროვნული ნაკრების შემადგენლობიდანაც ამორიცხონ.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" ინგლისელი ლეგიონერის დევიდ ბექჰემის პორტრეტი, ნატურალურ ზომებში, დუბლინის საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდა. ესპანური "მარკას" ცნობით, ტილოს (მისი ავტორი ირლანდიული წარმოშობის ესპანელი ხუან ო'პერესია) მყიდველი ირლანდიელი ხელოვნების მოყვარული გახდა. მან "გალაკტიკოს" პორტრეტში 25 ათასი ევრო გადაიხადა.

■ ■ ■

ფეხბურთი. გაზეთ "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში კიევის "დინამოსა" და "ტოტენჰემ ჰოტსპურის" ყოფილმა ფეხბურთელმა სერგეი რებროვმა, რომელიც ამჟამად სტამბულის "ფენერბახჩეს" ღირსებას იცავს, კომენტარი გაუკეთა თურქეთისა და ინგლისის ნაკრებთა 11 ოქტომბრის შეხვედრას. რებროვის თქმით, ინგლისისა და თურქეთის სტადიონებზე გამეფებული ატმოსფეროს შედარება არ შეიძლება. ვისაც "გალათასარაისა" და "ფენერბახჩეს" დაპირისპირება უნახავს, იცის, თუ რას ნიშნავს, როცა მთელი მატჩის განმავლობაში ტრიბუნებიდან ფეხსაცმელებსა და მობილურ ტელეფონებს ისვრიან. მატჩისწინა მოთელვისას კი ყურადღებით უნდა იყო, რომ რაიმე საგანი არ მოგხვდეს. ინტერვიუს ბოლოს რებროვმა თქვა, რომ ინგლისელთა გამარჯვების იმედი აქვს, მაგრამ თვითმკვლელი არ არის, რომ სტადიონზე ბრიტანეთის დროშით წავიდეს.

■ ■ ■

ფეხბურთი. გაზეთ Independent-ის ცნობით, საფრანგეთის "პარი სენ-ჟერმენის" ყოფილი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი შეიძლება "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონის ასისტენტი გახდეს. ამ პოსტზე ბრაიან რობსონი, მარტინ ჯოლი და მაიკ ფილანიც აცხადებენ პრეტენზიას, მაგრამ ფრანგი სპეციალისტის შანსი გაცილებით დიდია. შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონის ყოფილი ასისტენტი მადრიდის "რეალს" ჩაუდგა სათავეში.

■ ■ ■

ფეხბურთი. შაბათს "ბეტისის" პრეზიდენტმა მანუელ ლუის დე ლა-პერამ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში კონტრაქტს გაუგრძელებს გუნდის ნახევარმცველს ხოაკინს. ამ კონტრაქტზე დიდი ხანია, საუბრობენ და, როგორც ჩანს, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში ხოაკინის მამამ, რომელიც ფეხბურთელის აგენტის ფუნქციებს ასრულებს, განაცხადა, რომ ყველა დოკუმენტი უახლოეს ორ კვირაში გაფორმდება. კონტრაქტის დეტალები ჯერ არ ხმაურდება, მაგრამ ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ ახალი კონტრაქტის ვადა 2010 წლამდე გაგრძელდება, ხოაკინის წლიური ხელფასი კი 1,3 მილიონი ევრო იქნება.

■ ■ ■

ფეხბურთი. "რეალ სოსიედადის" მწვრთნელმა რეინოლდ დენუეკსმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ კონფლიქტი მოუვიდა გუნდის ნახევარმცველ ხავიერ დე პედროსთან. ბოლო დროს 30 წლის ფეხბურთელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, რაც ზოგიერთებმა ისე აღიქვეს, როგორც მწვრთნელთან კონფლიქტის შედეგი. პრესამ შეიძლება დაწეროს ყველაფერი, რაც მოესურვება, ჩემი მხრიდან კი შემიძლია, დაგარწმუნოთ: დე პედრო ძირითად შემადგენლობაში არ ხვდება იმის გამო, რომ ჯერ საჭირო ფიზიკური კონდიციები ვერ აღიდგინა", - განაცხადა დენუეკსმა.

ინფოთეკა

ჩოგბურთი. მოსკოვში დასასრულს მიუახლოვდა კრემლის თასის გათამაშება ჩოგბურთში. გაირკვნენ ტურნირის ფინალისტები. ვაჟთა შორის შეჯიბრების მთავარ ჯილდოს სომეხი სარგის სარგსიანი და ამერიკელი ტეილორ დენტი გაითამაშებენ. სარგსიანმა ნახევარფინალში ორ სეტში დაამარცხა ამერიკელი ვინსენტ სპადეა - 6:2, 6:2. ტეილორ დენტმა კი სამსეტიან, დაძაბულ ბრძოლაში სძლია ფრანგ პოლ-ანრი მატიეს - 6:3, 2:6, 7:6 (7:1). ქალთა ნაწილში ფრანგი ამელი მორესმო და რუსი ანასტასია მისკინა დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ფინალის გზაზე მორესმომ ელენა დემენტიევა დაამარცხა - 6:4, 6:1, ხოლო მისკინამ ანა პისტოლეზი გამოთიშა გათამაშებას - 6:2, 6:0. ფინალში ანასტასია მისკინამ ორ სეტში დაამარცხა ამელი მორესმო – 6:2, 6:4 და კრემლის თასი მოიგო.

■ ■ ■

ჩოგბურთი. გერმანელი რაინერ შუტლერის გამარჯვებით დასრულდა ტოკიოს საერთაშორისო ტურნირი. ფინალში შუტლერმა ფრანგი სებასტიან გროსჟანი დაამარცხა - 7:6 (7:5), 6:2.

■ ■ ■

კალათბურთი. როგორც ცნობილია, კობი ბრაიანტს 19 წლის გოგონას გაუპატიურებაში ადანაშაულებენ. გოგონას მეგობარი ამტკიცებს, რომ ბრაიანტის მსხვერპლმა წლეულს ორჯერ სცადა თვითმკვლელობა, ამასთან, ის ჯერ კიდევ ბრაიანტთან ინციდენტამდე აპირებდა თავის მოკვლას. თუმცა, ამჟამად მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ფასდება, როგორც საკმაოდ ჯანსაღი.

■ ■ ■

კალათბურთი. მცველმა ერიკ სნოუმ ახალი გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმა "ფილადელფია 76"-თან. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა კლუბის პრეზიდენტმა ბილი კინგმა. სნოუ ფილადელფიაში 1998 წლიდან თამაშობს. ამ დროისთვის მისი საშუალო მაჩვენებელია 7,8 ქულა, 5,3 გადაცემა, 2,6 მოხსნა და 1,35 ჩაჭრა. შარშანდელ სეზონში სნოუ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო შედეგიან გადაცემებში (6,7-9).

■ ■ ■

ფორმულა 1. ფორმულა 1-ში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჟაკ ვილნევი მომავალი წლიდან "ბარის" რიგებში აღარ გამოვა. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა კანადელის აგენტმა კოეგ პოლოკმა. "ასეთი შეტყობინება მივიღეთ გუნდის მმართველი დირექტორის დეივ რიჩარდსისგან", - თქვა პოლოკმა. საინტერესოა, რომ პოლოკი ამ საჯინიბოს თვითონ ხელმძღვანელობდა, ვიდრე მისი ადგილი რიჩარდსმა არ დაიკავა.

■ ■ ■

ფორმულა 1. "ფერარიმ" და მიკროპროცესორების ცნობილმა მწარმოებელმა AMD, კომერციული და ტექნიკური თვალსაზრისით ურთიერთთანამშრომლობის შესახებ განცხადება გააკეთეს. ახალი კონტრაქტი 2006 წლამდეა ძალაში. ამ ხნის განმავლობაში Intel-ის კონკურენტი AMD "ფერარის" კომპიუტერული ტექნიკის, სისტემის აწყობასა და ინფორმაციის ანალიზში დაეხმარება.

■ ■ ■

ფორმულა 1. უილიამსის ტექნიკურმა დირექტორმა პატრიკ ჰედმა "ბი-ბი-სისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი გუნდი ფინელ კიმი რაიკონენს მხარს არ დაუჭერს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მიხაელ შუმახერის წინააღმდეგ. "წლეულს გუნდური ბრძანებები აკრძალულია. იცით თუ არა თქვენ ეს? - ამბობს ჰედი, - ამიტომ ჩვენ ისეთს არაფერს გავაკეთებთ".

■ ■ ■

